პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ-ფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამოცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— მოსკოვში მიემგზავრება ამერიკელ ინჟინერების ჯგუფი.
— შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ.
— გაიხსნა გომინდანის მესამე ყრილობა.—ყრილობის შენობას მრავალრიცხოვანი ჯარები იცავენ.
— ციურიხში (შვეიცარია) ეწყობა საბჭოთა გამოფენა.
— მღელვარება ბესარაბიაში—ბრძოლა მასიური დაპატიმრებების წინააღმდეგ.
— ხე-ტყის მრეწველობის მუშების გაფიცვა ავსტრალიაში.
— ხელმოწერილია საფრანგეთ-ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 17 მარტი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 61 (2407)

სრულიად საქართველოს
საბჭოთა მე-5 ყრილობა
მოწვეულია 1929 წლ. 8 აპრილისათვის ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ.
3. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.
4. საქართველოს დარაიონების შესახებ.
5. არჩევნები.

ს. ს. ცაკის მდივნის მაგიერ დ. ქუჩულორია.

პურისა და სიმინდის მოსავლიანობის საკითხი ჩვენში

სოფლის მეურნეობის მუშაკთა და მშრომელი გლეხების საყურადღებოდ

პურის და სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საკითხი ჩვენში სერიოზულად პირველად ახლა ისმება. საბჭოთა მთავრობას უკვე აქვს მტკიცე გადაწყვეტილება აწლიდან ყოველ წლივ გაადიდოს პურის და სიმინდის მოსავალი არა ნაკლებ ხუთი ექვსი პროცენტით. ისე, რომ მომავალი ხუთი წლის თავზე ეს გადიდება უდრიდეს არა ნაკლებ 30-35 პროც. დღევანდელ საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით.

საჭიროა თავიდან ავიცილოთ პირველ ყოვლისა ერთი გაუგებრობა: ბევრს მოსავლიანობის გადიდება და მოსავლის რაოდენობის გადიდება ერთი და იგივე გონია. ეს მხოლოდ შეცდომაა.

საქმე იმაშია, რომ მოსავლის რაოდენობის გადიდება შეიძლება ორი გზით: 1) ნათესის ფართობის გადიდებით და 2) ნათესის ერთ და იმავე ფართობზე მოსავლიანობის აწევით. რა თქმა უნდა, მოსავლის რაოდენობის გადიდებას ჩვენ ვცდილობთ ორივე ზევით ნაჩვენები გზით, ე. ი. როგორც ნათესის ფართობის გადიდებით, ისე ნათესის ერთ და იმავე ფართობზე მოსავლიანობის აწევით. მაგრამ ჩვენ წინაშე დღეს დგას განსაკუთრებით მეორე ამოცანა, ე. ი. მოსავლის რაოდენობის გადიდების საკითხი მიწის ერთ და იმავე ფართობზე მოსავლიანობის აწევის გზით. ეს ამოცანა წამოჭრილია დღეს ჩვენ წინაშე ორი გარემოებით: 1) მოსავლის რაოდენობის გადიდება ჩვენში ნათესი ფართობის გადიდების გზით ებჯინება სახნავ-სათესი მიწების სიმცირეს და ნაკლებობას; 2) სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკა ჩვენში მეტად დაბლა დგას და აქედან გამომდინარეობს ის, რომ გლეხის შრომის ნაყოფიერებაც ჩვენში მეტად დაბალია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სპეციალურ ტეხნიკურ კულტურებს.

აქედან აშკარაა შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევის აუცილებლობა. გლეხის შრომის ნაყოფიერების გადიდება, მაღლა აწევა უნდა მოხდეს გლეხურ, დაქუცმაცებულ და წვრილ მეურნეობათა შეერთებით ამხანაგურად მოწყობილ წარმოების ნიადაგზე. სხვადასხვაგვარი კოლექტიურ მეურნეობათა შექმნის გზით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მაღალი განვითარებული ტეხნიკა. ასეთ გაერთიანებულ საამხანაგო მეურნეობათა შექმნას და განვითარებას უკვე ჩაეყარა ჩვენში მკვიდრი საფუძველი. აქ უზრუნველყოფილია გლეხის, მიწის მუშის შრომის ნაყოფიერების აწევა, და, მაშასადამე, დიდი მოსავლის მიღება მიწის ერთ და იმავე ნაჭერზე, ვინემ ეს დღემდის იყო. მაგრამ კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვთან შედარებით ჯერ კიდევ ცოტაა, და რამდენადაც არ უნდა იმატოს კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვმა ახლო მომავალში, ჩვენ მაინც გვექნება წვრილი გლეხურ მეურნეობათა საკმარისად დიდი სიჭარბე. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით პურის და სიმინდის მოსავლის რაოდენობის გადიდება დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ ჩვენ თუ არა სწორედ ამ წვრილ, საშუალო და ღარიბ გლეხების მეურნეობათა გაუმჯობესებას, შევძლებთ ჩვენ თუ არა ამ მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებას და, მაშასადამე, გლეხის შრომის ნაყოფიერების მომატებას, მაღლა აწევას? **ჩვენ ვიძლევით ამ კითხვაზე გადაჭრით დადებით პასუხს**, ე. ი. რომ ჩვენ ამას შევძლებთ და შევძლებთ სწორედ იმ **ტემპით**, იმ **სიჩქარით**, რომელიც ჩვენ მოცემული გვაქვს საბჭოთა მთავრობის დადგენილებაში ამ საქნის შესახებ.

მართალია არიან ურწმუნოები, რომელთაც მოსავლიანობის ასეთი სიჩქარით ზრდა ჩვენში არ სჯერათ. ისინი ასაბუთებენ თავიანთ შეხედულებას, უმთავრესად ჩვენი სოფლის მეურნეობის უკიდურესი ჩამორჩენით და განუვითარებლობით. რა თქმა უნდა, ჩვენი სოფლის მეურნეობის ძალზე ჩამორჩენა ყველასათვის უტყუარი და უდავო ფაქტია.

მაგრამ სწორედ ეს გარემოება ჩვენ გვეუბნება იმის წინააღმდეგს, რასაც ჩვენ გვაჩვენებენ ისინი, ვისაც არ სწამს ჩვენი სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის სწრაფი ზრდა. რას ნიშნავს ის გარემოება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ასე დაქვეითებული და ჩამორჩენილია? რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ გლეხის შრომის ნაყოფიერება ჩვენში ასე დაბლა სდგას? ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლის მეურნეობას ჩვენში, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ბაღ-ვენახების და ტეხნიკურ კულტურების გაუმჯობესება არ განუცდია, მას აგრონომიული ტეხნიკა არ მიკარებია. სულ უბრალო, სულ უმარტივესი აგრონომიული ღონისძიებანი, რაც ხელმისაწვდომია საშუალო და ღარიბ მეურნეობისათვისაც კი, აქამდის ჩვენში არ ყოფილა ხმარებაში და, რაც დაუშვებელია, ამის შესახებ არც არავინ ზრუნავდა. მე ვამბობ ისეთ აგრონომიულ და აგრიკულტურულ ღონისძიებებზე, როგორიც არის, მაგ., სათესლე მასალის გაწმენდა, ჯიშიანი სათესლე მასალის ხმარება, თესლის მოწამვლა, თესლთა შერჩევა, კვრის გამოყენება ნიადაგის გასანოყიერებლად, ნიადაგის ადრე მომზადება თესვისათვის და სხვა და სხვა. მე არ ვამბობ აქ ნიადაგის განოყიერებაზე მინერალური და აზოტიური ნივთიერებებით, რაც შედარებით უფრო ძნელი საშოვნია და ძვირიც. მე ვამბობ ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია და რომლებიც დაუყოვნებლივ იძლევიან დადებით შედეგებს. რომ ეს ასეა, ამას გვიმტკიცებენ მრავალი ცდები და ფაქტები, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც. მაგალითისათვის შეიძლება დავისახელოთ აქ ზუგდიდის ამხანაგების ცდები, რის შესახებ ამ დღეებში ამხ. ჟვანიას წერილი იყო დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტში". გარდა ამისა, სამეგრელოში (ზუგდიდის და სენაკის მაზრებში) თურმე ჩვენ გვქონებია მეტად კარგი ნიადაგის გამანოყიერებელი ნივთიერება **ტკილი** (მერგელი), რომელსაც გლეხები ხმარობენ ამ მიზნით დიდი ხანია. აქამდის ჩვენი უყურადღებობით არ მოხდა ამ ტკილის ფართოდ გამოყენება ცხოვრებაში.

და აი, ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ჩვენ დაუდევრობას, უყურადღებობას სოფლის მეურნეობისადმი უნდა მოეღოს ბოლო. სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ნამდვილი **სამრეწველო ქვეყნად გადაქცევა**. ჩვენ ახლა მივადექით ისეთ ხანას, როცა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შემდგომი ზრდა-განვითარება, ე. ი. ინდუსტრიალიზაცია ებჯინება სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას, მის განუვითარებლობას. ჩვენ ვლაპარაკობთ საკვები მასალის და ნედლეულობის ნაკლებობაზე, რაც ქმნის უდიდეს სიძნელეს სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე. ჩვენ ეს სიძნელე რათაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა დავძლიოთ. საბჭოთა მთავრობა და მუშათა კლასი ღებულობენ ამისათვის ყოველგვარ ზომას. ეს უნდა იცნობოს გლეხობას, რაც შეიძლება ახლავე, დაუყოვნებლივ, იმიტომ, რომ ამ საქმეში აუცილებლად საჭიროა მისი დაინტერესება და მისი აქტიური მონაწილეობა. ყველა ეს ზომები და ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოსავლიანობის გადიდება, ემყარებიან თვით გლეხობის მასების მონაწილეობაზე. სამწუხაროდ, ჩვენი დაწესებულებები, რომელთაც ეს საქმე დაკისრებული აქვთ, იჩენენ გულგრილობას და სიზანტეს. საჭიროა იმათი გაღვიძება და დაკისრებული მოვალეობის პატიოსნად და პირნათლად შესრულება. უნდა იცოდეს ყველამ, რომ ეს საქმე არ ითმენს დაყოვნებას.

ფილიპე მახარაძე.

ჯერ კიდევ გვიან არ არის

ჩრდილოეთ-კავკასიაში და ყირიმში ორიოდე კვირის შემდეგ დაიწყება თესვა. სხვა რაიონებში თესვამდე დარჩა არა უმეტეს ერთი-ორთნახევარი თვისა. ერთხელ კიდევ უნდა შემოწმდეს—მართლაც გაკეთდა თუ არა ყველაფერი თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, ხომ არ არის სადმე რაიმე დიდი ნაკლი, რომლის გამოსწორება ჯერ კიდევ გვიან არ არის. ჩვენს განკარგულებაში მეტად მცირე დრო დარჩა, რაც ეხლა არ გაკეთდება, ის მთელი წლის განმავლობაში ველარ გამოსწორდება. მხოლოდ მთელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთსულოვანი ღონისძიებებით შეიძლება მრავალი მილიონი გლეხური მეურნეობის ამოძრავება და მათი საწარმოო ენთუზიაზმით აღფრთოვანება.

ამ უკანასკნელ დროს მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიან იმისათვის, რომ გლეხობა, ხალისით შეუდგეს თესვას. ამ ღონისძიებებიდან უდიდესია ახალი დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. გავაკეთეთ თუ არა ყველაფერი იმისათვის, რომ ამ დეკრეტს ფართო მასები გაეცნონ? ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მრავალ შემთხვევაში სოფელმა არც კი იცის დეკრეტის არსებობა. ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქიდან გვწერენ: „მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს ჯერ კიდევ არ მიუღწევია სოფლამდე, იგი არ წაუკითხავთ და არ აუხსნიათ სოფლის ყრილობებზე". „რაიონულ აღმასკომიდან არ მიგვიღია მოწერილობა, რომ ახსნა-განმარტების კამპანია ჩაგვეტარებიაო",—ამბობენ სოფლის საბჭოების თავმჯდომარეები. ხოლო რაიონული აღმასკომები ვერ ბედავენ ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარებას საოლქო აღმასკომის განკარგულების მიუღებლად.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად მიუტოვებელია. არ უნდა იყოს არც ერთი თუნდაც ყველაზე უფრო მიყრუებული სოფელი, სადაც აწვრილებით არ გაეცნონ ახალ კანონს გადასახადის შესახებ. ამასთან ერთად თავიდანვე საჭიროა ენერგიული ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც ავრცელებენ ხმებს, რომ კანონით გათვალისწინებული შეღავათები არ განხორციელდება და რომ კანონი მხოლოდ მანევრს წარმოადგენს თესვის კამპანიის წინ. გლეხებს ყველგან მტკიცედ უნდა შევათვისებინოთ, რომ დეკრეტის ყოველი მუხლი აუცილებლად და მთლიანად განხორციელდება და დეკრეტით გათვალისწინებული შეღავათი და უპირატესობა აუცილებლად მიეცემა გლეხობას დეკრეტით დაწესებულ ვადაში. უნდა შევეცადოთ, რომ ყოველი, თუნდაც ყველაზე უფრო ჩამორჩენილი, გლეხი მტკიცედ იყოს დარწმუნებული საბჭოთა კანონების სიმტკიცეში, განსაკუთრებით ისეთი კანონების სიმტკიცეში, როგორიც არის ახალი კანონი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირებისათვის.

იმ რაიონებში, სადაც კანონმა უკვე მიაღწია გლეხობამდე, სადაც გლეხობას აუხსნეს მთელი ის სარგებელი, რასაც ეს კანონი აძლევს ღარიბ და საშუალო გლეხებს, ერთსულოვნად აღნიშნავენ თესვისადმი ხალისის გაძლიერებას, რომ გლეხი სერიოზულად ემზადება თესვისათვის, ამას მრავალი სხვა მომენტიც ცხადყოფს. ასე, მაგალითად, ამ უკანასკნელ დროს ყველა ძირითად მწარმოებელ რაიონში თვალსაჩინოდ გადიდდა მოთხოვნილება მუშა საქონელსა და თესლზე.

გლეხობის ძირითადი მასა უზრუნველყოფილია საკუთარი თესლით, მაგრამ ისეთი მოსავლიანი რაიონებიდანაც კი, როგორიც არიან კაზახსტანი და ურალი, მოდის დაჟინებული მოთხოვნები ღარიბ გლეხობისა და კოლექტიურ მეურნეობებისათვის თესლის მიწოდების შესახებ. ეს გარემოება კვლავ გვიკარნახებს გულდასმით შევამოწმოთ—ყველაფერი თავის რიგზეა თუ არა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების თესლით უზრუნველყოფის საქმეში. სახელმწიფომ ამ მხრივ სერიოზული ზომები მიიღო. მარტო რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში ხარისხოვანი თესლის სახელმწიფო ფონდიდან და ადგილობრივი მარაგიდან გახაწილდება დაახლოებით 6.562.000 ცენტნერი. ეს მეტად დიდი ციფრია. თუ თესლი ნამდვილად იქნება გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებით და მაქსიმალური საწარმოო ეფექტიურობით, მრავალი მილიონი ღარიბი და საშუალო გლეხის მეურნეობა სერიოზულ დახმარებას მიიღებს სახელმწიფოს მხრივ. მთელი თესლის 80 პროცენტზე მეტი უკვე დაგზავნილია, დანარჩენი ამ დღეებში დაიგზავნება და უეჭველია, თავის დროზე მიუსწრებს თესვას. დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს სესხის მიმღებთა სიები, რომლებიც ყურადღებით უნდა შემოწმონ საწარმოო თათბირებმა, რათა თესლი მიიღონ ისეთმა მეურნეობებმა, რომლებსაც ის ნამდვილად ესაჭიროება და რომ თესლი მთლიანად გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე თესლის ღირსებას. უკვე გამოაშკარავდა ბევრი ისეთი შემთხვევა, როდესაც დაგზავნილ იქნა ცუდი ღირსების თესლი. შაქრის ტრესტმა ლენინგრადის ოლქისათვის გაგზავნა 26 ვაგონი ისეთი შვრია, რომლის აღმოცენების პროცენტიც 70-ზე დაბალი იყო. ყველაფერზე უფრო სამარცხვინო ის არის, რომ შაქრის ტრესტმა, როდესაც იგი ამ შვრიას გზავნიდა, იცოდა ეს გარემოება. თესლი შეცვლილ იქნა და გამოძიება დაიწყო. ცუდი ღირსების თესლი გაგზავნა აგრეთვე ორიოლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირმა.

თესლის მიწოდებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს აგრეთვე მარცვლის გაწმენდა. გასულ წელთან შედარებით, ამ მხრივ გვაქვს ზოგიერთი მიღწევა, მაგრამ მარცვლის წმენდა მაინც არ სწარმოებს საჭირო მასშტაბით. ისეთ უმნიშვნელოვანეს რაიონში, როგორიც არის ციმბირი, 1 მარტისათვის გაწმენდილი იყო მხოლოდ 1.200.000 ცენტნერი, მაშინ, როდესაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმით გათვალისწინებულია დაახლოებით 4.000.800 ცენტნერის გაწმენდა, ჩრდილოეთ-კავკასიაში გაწმენდილია 2 მილიონი ცენტნერი, გეგმით ნავარაუდევი 3 ნახევარი მილიონი ცენტნერის ნაცვლად, ცენტრალურ შავმიწადგიან ოლქში — 500.000 ცენტნერი, გეგმით ნავარაუდევი 3 მილიონის ნაცვლად. (გამოტოვებულია). თესვამდე კიდევ დარჩა იმდენი დრო, რომ დაშვებული შეცდომები რამდენადმე გამოვასწოროთ.

მეორე უადრესად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მანქანების მიწოდება. ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მოთხოვნილება მანქანებზე თვალსაჩინოდ გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომწოდებელი ორგანოების ცნობების მიხედვით, პირველ ოთხ თვეს გაიყიდა 21.811.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანა, გასული წლის 14.407.000 მანეთის ნაცვლად (ზრდა უდრის 51,4 პროცენტს). მოთხოვნილების ასეთი თვალსაჩინო ზრდის პირობებში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მანქანათმშენებლობის საწარმოო პროგრამის მთლიანად შესრულებას. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ს.მ.უ. საბჭომ დამატებითი ზომები უნდა მიიღოს პროდუქციის გასადიდებლად, ამავე დროს კი ცნობები ქარხნებიდან მანქანების დაგზავნის შესახებ მოწმობენ, რომ თებერვალში მანქანები ნავარაუდევ რაოდენობაზე ნაკლები დაიგზავნა. ხოლო ყურადღებით შემოწმებული ცნობებიდან სჩანს, რომ 1 მარტიდან გუთნები დაგზავნილია 8 პროცენტით ნაკლები ნავარაუდევ რაოდენობაზე, სათესი მანქანები—16 პროცენტით, ბუკერები—19 პროცენტით და დამახარისხებელი მანქანები—17 პროცენტით. ხოლო ცალკე ქარხნებში („სერპ ი მოლოტ") ეს პროცენტი კიდევ უფრო მაღალია.

ამ მხრივ იმ რაიონებში, სადაც თესვა გვიან იწყება, მდგომარეობა ჯერ კიდევ შეიძლება გამოსწორდეს, თუ მრეწველობა მარტში საფუძვლიანად შეუდგება ყველა დეფექტის გამოსწორებას. მარტის მთელი პროდუქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას თესვის კამპანიაში. სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამშენებლო ქარხნებში საწარმოო თათბირები დაუყოვნებლივ უნდა შეეცადონ—აწიონ შრომის დისციპლინა, უკეთ მოაგვარონ წარმოება და სხვ. უნდა შევეცადოთ, რომ სავსებით დაკმაყოფილებულ იქნას მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობის მუშაობით მყარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციების დაკავშირება და ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში არავითარი ნაკლი არ უნდა დავუშვათ.

გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმებმა რაიონების უმრავლესობაში ყოველ სოფლამდე მიაღწიეს. მეტად თუ ნაკლებად კონკრეტული ფორმით ყოველ სოფლის წინაშე დასახულია როგორც ის კონკრეტული ამოცანები, რომლებიც განხორციელებულ უნდა იქნან ნათესი სივრცის გაფართოების, მოსავლიანობის გადიდებისა და კოლექტივიზაციის განვითარების მიზნით, ისე ის ღონისძიებანი (თვითდაბეგვრა, სამანქანო კრედიტების და სხ.), რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დასახული ამოცანების განხორციელებას.

თესვის კამპანიის გეგმების შედგენისა და მოწესრიგების დროს ზოგიერთ ადგილას (ჩრდილოეთ-კავკასია, ქვემო ვოლგის მხარე) აღინიშნა, სხვადასხვა არსებითი შეცდომა, როდესაც ცდილობენ კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გაწევა გადააქციონ უბრალო ადმინისტრატიულ მბრძანებლობად.

ჩრდილოეთ-კავკასიაში ბევრ რაიონში სოფლის საბჭოები ცდილობენ, თესვის კამპანიის გეგმა ცალკე მეურნეობამდეც კი განახორციელონ. ისინი ხელმძღვანელობენ ნათესი სივრცის გაფართოების საერთო გეგმით და ყოველი მეურნეობისათვის აწესებენ, თუ რამდენი ჰექტარი და რა კულტურა უნდა დათესოს მან. იმის მაგიერ, რომ კარგად მოიფიქრონ, თუ სად იშოვოს თესლი და როგორ გაანაწილონ იგი საუკეთესოდ, როგორ მოაწყონ გასაქირავებელი პუნქტი და სხვ., ზოგიერთი სოფლის საბჭო მიმართავს ადმინისტრატიულ მბრძანებლობას. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია ვიკისროთ 25 მილიონი გლეხური მეურნეობის კონკრეტული დაგეგმვისა და მოწესრიგების ამოცანა. ეს ამოცანა ჩვენს ძალღონეს აღემატება; სადაც ამ ამოცანას კისრულობენ, არაფერი არ გამოდის, გლეხზე ადმინისტრატიული მბრძანებლობის გარდა. ამ მხრივ დაშვებული შეცდომები სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

გაზაფხულის თესვის კამპანიამ ახალი სტიმული უნდა მისცეს კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებას. უკანასკნელ დროს ამ მხრივ შემჩნეულია მუშაობის რამდენადმე შესუსტება. ტრაქტორების მოთხოვნილების არა საკმაო დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ზოგიერთ დაბრკოლებას. მაგრამ გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ იმ აზრს, თითქოს კოლექტივიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ტრაქტორიზაციის საშუალებით. უეჭველია, რომ ტრაქტორის საშუალებით უფრო ადვილია გლეხობის გაერთიანება მტკიცე კოლექტივში, მაგრამ რაკი ჩვენ საშუალება არა გვაქვს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ტრაქტორებზე, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლექტივიზაციის ტემპი უნდა შენელდეს. კოლექტიური მოძრაობა თანდათან უფრო ფართოდ ვრცელდება გლეხურ მეურნეობებში, სადაც არსებობენ საწარმოო საშუალებანი, რომლებიც, თუ კი გაერთიანდებიან და სათანადო კრედიტებს მიიღებენ, შეიძლება გადაიქცნენ საფუძვლად მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობებისათვის. კოლმეურნეობათა მშენებლობაში მიმდინარე წელს იმეორებენ წვრილ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შარშანდელ შეცდომებს. როდესაც ფართოდ განვითარდება მუშაობა მთელი სოფლების ნათესის კონტრაქტაციისათვის, შესაძლებელი გახდება ამ შეცდომების თავიდან აცილება.

ვიმეორებთ, თესვამდე მცირე დრო დარჩა და ეხლა ერთი დღის დაკარგვაც კი აღარ შეიძლება. ახალი ენერგიით უნდა შევუდგეთ ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას და თესვის კამპანიის უმაღლეს საფეხურზე გადაყვანას.

„პრავდა", 16 მარტი.

პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა ლიტვინოვის ოქმი

ბრძოლა პილსუდსკისა და სეიმს შორის.—ვარშავაში ნერვიული განწყობილება შეიქმნა

აჯანყება ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ შანდუნის პროვინციაში.—ბაი-ცზუნ-ჩის გაქცევა პეკინიდან

პოლონეთმა დაამტკიცა მოსკოვის ოქმი

ვარშავა, 15 მარტი. სეიმმა დაამტკიცა მოსკოვის ოქმი.

კამათში გამოსულმა უკრაინელთა კლუბის დეპუტატმა **ვასინჩუკმა** გაილაშქრა ოქმის რატიფიკაციის წინააღმდეგ.

„ოქმი,—განაცხადა მან,—გამომდინარეობს საქმის ფაქტიური მდგომარეობიდან, რასაც ახასიათებს უკრაინელთა მიწა-წყლის დანაწილება რუსეთსა, პოლონეთსა და რუმინეთს შორის. ვაცხადებ, რომ უკრაინელთა მიწა-წყლის დამტაცებლების არავითარი გამოსვლები და აქტები სავალდებულო არ არის უკრაინელებისათვის".

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ბელორუსთა მუშურ-გლეხური ბლოკის წარმომადგენელმა **გავრილიუკმა**, რომელმაც დასასრულ შემდეგი დეკლარაცია წაიკითხა:

„დასავლეთ ბელორუსიის მშრომელთა მასების სადარაჯოზე მდგომი ბელორუსთა მუშურ-გლეხური კლუბი კელოგის პაქტის ხელის მოწერას სთვლის საყოველთაო განიარაღების ეტაპად. მიუხედავად ამისა, იგი ხმას აძლევს რატიფიკაციის წინააღმდეგ, რათა გამომჟღავნდეს პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პოლიტიკა და არ გავრცელდეს ილუზიები იმის შესახებ, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია საზეიმო დეკლარაციებით".

მოსკოვის ოქმის რატიფიკაცია მოხდა ყველა პარტიის ხმათა უმრავლესობით კომუნისტებისა და სლავების ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ; ბელორუსების ნაწილმა თავი შეიკავა. (ადს).

ნერვიული განწყობილება ვარშავაში

ბრძოლა პილსუდსკისა და სეიმს შო-

ვარშავა, 15 მარტი. მწვავდება კონფლიქტი მთავრობასა და სეიმის ოპოზიციას შორის. მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა—სეიმის იმ კომისიას, რომელიც ჩეხოვიჩის საქმეს არჩევს, არ გადასცეს მთავრობის დადგენილებანი ბიუჯეტის გარეშე ასიგნობების შესახებ. ამის საპასუხოდ კომისიამ დაადგინა—გადაეცეს ჩეხოვიჩის საქმე საკონსტიტუციო ტრიბუნალის სასამართლოს. ოპოზიცია, რომელიც კვლავ განაგრძობს შეტევას, წამოაყენა საკითხი 1928—29 წლის ბიუჯეტში ზედმეტი თანხების დახარჯვის შესახებ. გამორკვეულია, რომ ამ საბიუჯეტო თვის განმავლობაში მთავრობამ მოასწრო დამტკიცებული თანხების 92 პროცენტის დახარჯვა. სეიმის ოპოზიციამ გადასწყვიტა შეიტანოს სეიმში წინადადება ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროში მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამოძიების შესახებ (ამ სამინისტროს მეთაურობს პილსუდსკის მოხრე მეძინსკი). პოლონეთის სოციალისტური პარტიის ფრაქციამ სეიმში შეიტანა შეკითხვა ეკონომიური კრიზისის გამწვავებისა და მთავრობის ღონისძიებათა შესახებ კრიზისთან საბრძოლველად. მთავრობის წრეებში დიდი დაბნეულობაა.

„გლოს პრავდი"-ს მებრძოლი ტონი სეიმის მიმართ შესამჩნევად შერბილდა. ოფიციოზი აღარ იმუქრება სეიმის დაშლით. იგი მხოლოდ ბრალს სდებს სეიმს, რომ ის სახელს უტეხს პოლონეთს საზღვარგარეთ, რის შედეგია პოლონეთის ფასიანი ქაღალდების კურსის დაცემა ნიუ-იორკის ბირჟაზე. საერთო განწყობილება უაღრესად ნერვიულია (ადს).

ამერიკელი ინჟინერები მოსკოვში მიემგზავრებიან

ნიუ-იორკი, 15 მარტი. ლონგაკრის საარქიტექტურო კანტორამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მარტის დამლევს კომპანიის ინჟინერების ერთი ჯგუფი მიემგზავრება მოსკოვში, სადაც ხელს მოჰკიდებს საბინაო მშენებლობას (ადს).

მღელვარება ბესარაბიაში

ვენა, 15 მარტი. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობით, ბესარაბიაში მუშურ-გლეხურმა ბლოკმა დაიწყო ფართო კამპანია იმ განზრახული კანონის წინააღმდეგ, რომლითაც ფიქრობენ კანონს გარეშე გამოაცხადონ მუშათა ორგანიზაციები, უნიტარული პროფკავშირები და მუშურ-გლეხური პრესა.

ბესარაბიის გაზეთების ცნობით, **კიშინიოვში და ბესარაბიის სხვა ქალაქებში აუარებელ მოწოდებებს ავრცელებენ. მოწოდებები მოითხოვენ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას, პროცესების შეწყვეტას, მუშურ-გლეხური ბლოკისა და უნიტარული პროფკავშირების შენობების გაღებას.** მოწოდებები ილაშქრებენ კლასობრივი იუსტიციის წინააღმდეგაც.

„დიმინეაც"-ის ცნობით, პროკურატურამ კიშინევში მასიური პროტესტის ზეგავლენით ბრძანება გასცა — გაანთავისუფლონ 34 პატიმარი, რომელნიც 14 დღე შიმშილობდნენ და რომელნიც მუშურ-გლეხურ ბლოკს და უნიტარულ პროფკავშირებს ეკუთვნიან. ამავე დროს საიდუმლო პოლიცია განაგრძობს ბესარაბიაში მასიურ დაპატიმრებას (ადს).

შეთქმულება ქემალ-ფაშას წინააღმდეგ

სტამბოლი, 15 მარტი. ქემალ-ფაშას წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების გამო დაპატიმრებულმა ქადრიე-ხანუმმა განაცხადა: სომეხ კალფაიანთან, თურქების ოსმანისა და ფერდის მონაწილეობით, გაიმართა კრება, რომელზედაც გადასწყდა ქემალის მოკვლა. ოსმანი და ფერდი სცდილობდნენ დახმარებოდნენ კალფაიანს, რომ რუმინეთში გაქცეულიყო, თვითონ კი მიიმალნენ. ოსმანი რუმინეთმა გასცა, ფერდი კი, რომელიც შეთქმულების მეთაურად ითვლებოდა, ვენაში გაიქცა. გამოძიება ამ დღეებში დამთავრდება (ადს).

საფრანგეთის ჯარისკაცები სიცივით იხოცებიან

პარიზი, 15 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„როდესაც დეპუტატთა პალატაში ირჩეოდა შეკითხვები საფრანგეთის ჯარის სანიტარული მდგომარეობის შესახებ რაინის ოლქში, სოციალისტმა დეპუტატმა ბარტმა განაცხადა, რომ გრიპი ბევრად უფრო გავრცელებული იყო ჯარისკაცებში ვიდრე სამოქალაქო მოსახლეობაში. ბარტმა აღნიშნა გაცივების ხშირი შემთხვევები ჯარისკაცთა შორის და ამას იმით ხსნიდა, რომ ჯარისკაცები საკმაოდ არ იყვნენ დაცულნი სიცივისაგან.

ორატორმა განაცხადა, რომ ყველაფერში დამნაშავეა უმაღლესი სარდლობა, რის გამოც მოითხოვა რეპრესიების მიღება უმაღლესი სარდლობის მიმართ" (ადს).

გაფიცვა ავსტრალიის ხე-ტყის მრეწველობაში

ლონდონი, 15 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მეექვსე კვირა დაიწყო, რაც გაფიცულნი არიან ხე-ტყის სახერხ საწარმოთა მუშები ავსტრალიაში. გაფიცულები არ დაეთანხმნენ სამედიატორო დადგენილებას, რომლის მიხედვითაც შემოღებულ უნდა იქნას 48 საათიანი კვირა, 44 საათიანის მაგივრად. არც ერთ მხარეს არა სურს დასთმოს. სიდნეიში დამქირავებლებმა გამოსთქვამენ „აღშფოთებას" იმის გამო, რომ, მიღებული ცნობებით, მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც **გაფიცულები თავს ესხმიან მოხალისე-შტრეიკბრეხერებს.** ახალ სამხრეთ-უელსის შტატის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღუთქვეს დამქირავებლებს, რომ მიიღებენ ყოველგვარ ზომებს მოხალისეთა დასაცავად (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ბაი ძუნ-ჩის გაქცევა

პეკინი, 15 მარტი. მიუხედავად ოფიციალური უარყოფისა, რომ ბაი ძუნ-ჩი არსად არ წასულა და პეკინშია, ჩინური პრესა კვლავ სხვადასხვა აზრს გამოსთქვამს ბაი ძუნ-ჩის ადგილმყოფელობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში არავის სჯერა, ვითომ ბაი ძუნ-ჩი ამჟამად პეკინში იმყოფებოდეს.

იაპონიის მისიის ორგანომ „ნორტ ჩაინა სტანდარტ"-მა მოათავსა წერილი სათაურით „ქარიშხალი პოლიტიკურ ჰორიზონტზე". წერილში აღნიშნულია ის საერთო მოუსვენრობა, რომელიც მთელ ჩინეთს მოიცავს. გაზეთი ამბობს: შეუძლებელია იმედის დამყარება ბაი ძუნ-ჩის ჯარზე, რომელიც პეკინში იმყოფება. შემდეგ სწერს: ორშაბათს ბაი ძუნ-ჩიმ ძალაუფლება გადასცა გენერალ-ლეიტენანტს პან ჩინ-მინგს, ხოლო თვითონ გაიქცა და ამით თავი მოარიდა უსიამოვნებას საკუთარ ჯარისკაცებთან, რომელთაც რამდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ.

გაზეთის ცნობით ჯარისკაცები ამ დღეებში შეუვარდნენ ბაი ძუნ-ჩის ბინაზე და გატაცებას დაემუქრნენ (ადს).

გომინდანის ც. კ. ყრილობისათვის ემზადება

პეკინი, 15 მარტი. გოვენის სააგენტო იუწყება: გომინდანის ც. კ.-მა მთელს ჩინეთში დაგზავნა ცირკულიარული დეპეშა, დეპეშა ჰკრძალავს გაზეთებსა და სააგენტოებს ხუნანის პროვინციის გლეხთა, მუშათა და ვაჭართა ორგანიზაციების დეპეშების გამოქვეყნებას, რადგან ეს დეპეშები მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ გომინდანის მომავალ მესამე ყრილობასთან (ადს).

გომინდანის მესამე ყრილობა

შანხაი, 15 მარტი. პარასკევს ნანკინში გაიხსნა გომინდანის მესამე ყრილობა, რომელსაც 211 დელეგატი დაესწრო. სხდომა 45 წუთს გაგრძელდა. ყრილობის გახსნის წინ გომინდანის აღმასკომმა დელეგატების შესამოწმებლად დანიშნა სამანდატო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ ტან ენ-კაი, ხუ ხუან-მინი, ჩან-კაი-შე და სხვ. პოლიტიკური წრეების აზრით, სამანდატო კომისიის დანიშვნა აღმასკომის მიერ მოწმობს იმას, რომ აღმასკომი ყრილობას დიდს მნიშვნელობას აძლევს. ყრილობა გახსნა დროებითი ყრილობის თავმჯდომარედ დანიშნულმა მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ხუ ხან-მინმა.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ნანკინში მიღებულია საგანგებო დაცვის ზომები მოსალოდნელი „კომუნისტური და რეაქციონური გამოსვლების" წინააღმდეგ. მთავარ ქუჩებს იცავენ პოლიციისა და ჯარისკაცების ნაწილები, რომელნიც აჩერებენ და ჩხრეკენ გამვლელ-გამომვლელთ.

რეიტერის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პირველ სხდომაზე ყველაზე უფრო „საეჭვო" დელეგატი იყო კანტონის დირექტორი, გუანსის დაჯგუფების ლიდერი ლი ტი-სინი. [illegible] საეჭვო პირად სთვლიან ამას წინად ხუნანის პროვინციაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. ნანკინში გაემგზავრა შანხაის უდიდესი პროფკავშირების 12-წარმომადგენელი იმ მიზნით, რომ ყრილობას აცნობონ შანხაის პროფკავშირთა შეხედულებანი.

მეამბოხეთა მოქმედება შანდუნის პროვინციაში

პეკინი, 15 მარტი. იაპონურ სააგენტოს ტოხოს ძინანელი კორესპონდენტი იუწყება:

„ქალაქი ტიანსიანი (შანდუნის პროვინციაში, 140 კილომეტრის მანძილზე ძინანის სამხრეთით, ტიან ძინ-პუკოუს რკინის გზის ხაზზე) მეამბოხეებმა დაიჭირეს. ამავე დროს „წითელი შუბების" რაზმებმა გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები ძინანსა და იანჯოუს შორის (ასი კილომეტრის მანძილზე ძინანის სამხრეთით, ტიანძინ-პუკოუს რკინის გზის ხაზზე).

ქალაქ ძიხოს და ჯანძუნის რაიონები (რამდენიმე ათი კილომეტრის მანძილზე ძინანიდან) დაიჭირა ნაციონალური მთავრობისადმი მტრულად განწყობილმა ჯარმა" (ადს).

პროვინციალური პოლიტიკური საბჭოების დათხოვნა

შანხაი, 15 მარტი. ნაციონალური მთავრობის პოლიტიკურმა საბჭომ დაადგინა—დაუყოვნებლივ დაითხოვოს პროვინციალური პოლიტიკური საბჭოები.

გომინის ოფიციოზური სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ რეფორმას ცენტრალური მთავრობის განმტკიცება მოჰყვებაო (ადს).

დობროჯეანუმ შესწყვიტა შიმშილობა

ვენა, 15 მარტი. სემიგრადის გაზეთები ადასტურებენ ცნობას დობროჯეანუს მიერ შიმშილობის შეწყვეტის შესახებ. გაზეთები უარყოფენ ბუქარესტში გავრცელებულ ხმებს დობროჯეანუს გარდაცვალების შესახებ და იუწყებიან, რომ მისი მდგომარეობა ხელოვნური კვების გამო გაუმჯობესდა (ადს).

მიტინგი იამამოტოს ხსოვნის აღსანიშნავად

ტოკიო, 15 მარტი. მემარცხენე პროფკავშირებმა გადასწყვიტეს—მოაწყონ საზეიმო მიტინგი ფაშისტების მიერ მოკლული პროლეტარული დეპუტატის იამამოტოს ხსოვნის აღსანიშნავად. პოლიციამ აკრძალა დემონსტრაციები, დროშებით სარგებლობა და ნაბეჭდ ფურცლების გავრცელება. საზეიმო კრებას დაესწრო ათასზე მეტი მუშა. შენობას იცავდა პოლიციელების გაძლიერებული რაზმი. პროლეტარული ორგანიზაციების წარმომადგენლების სიტყვას აწყვეტინებდნენ პოლიციელები. ბევრი ორატორი დააპატიმრეს. კრების დროს ფაშისტური ორგანიზაციის კაი კიუკაის წევრები ქუჩებში ავრცელებდნენ ანტიკომუნისტურ ფურცლებს (ადს).

საბჭოთა ყინულის მჭრელების მუშაობა

ბერლინი, 15 მარტი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, საბჭოთა ყინულის-მჭრელებმა „ერმაკ"-მა და „ტრუვორ"-მა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვებს შუა მდებარე არხში ყინულებიდან გაანთავისუფლეს სამი გემი. ყინულის-მჭრელები განაგრძობენ მუშაობას იმ 5 გემის განსათავისუფლებლად, რომლებიც არხის ბოლო ნაწილში იმყოფებიან. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ მონაწილეობას იღებს ყინულის-მჭრელების მუშაობაში (ადს).

შეტაკება მენშევიკებსა და მუშურ-გლეხური ბლოკის წარმომადგენლებს შორის

ვენა, 15 მარტი. სემიგრადის გაზეთების ცნობით, ქვა ნახშირის რაიონში ლუპენში (რუმინეთი) სოციალ-დემოკრატებმა მოაწყეს კრება, რომელსაც 4.000 მემაღაროე დაესწრო. ამათში ბევრი უნიტარისტი და მუშა-გლეხთა ბლოკის მომხრე იყო. **კრებაზე სოციალ-დემოკრატებსა და ბლოკის მომხრეებს შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც 60 კაცამდე დაშავდა.**

სოციალ-დემოკრატებსა და ბლოკის მომხრეებს შორის შეტაკება მოხდა აგრეთვე ბუქარესტში სოციალ-დემოკრატი დეპუტატის რადაჩეანუს მოხსენებაზე. **მძიმედ დაშავდა ერთი მუშა, რამოდენიმე მუშა მსუბუქად დაშავდა** (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 15 მარტი. ბელორუსთა გრომადის ვილნოს პროცესზე მხარეთა კამათი დამთავრდა.

პროკურორმა მხარი დაუჭირა ბრალდებას და მოითხოვა სასამართლოსაგან პირველი ინსტანციის განაჩენის დადასტურება. პროკურორის პასუხი გასცეს დამცველებმა. სასამართლო სათათბიროდ გავიდა (ადს).

უკანასკნელი ცნობები

კუმანსკის დაპატიმრება

ბერლინი, 16 მარტი. კუმანსკის დაპატიმრების გამო „ველტ ამ აბენდ" იუწყება: კუმანსკის კავშირი ჰქონდა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და თვიურ ჯამაგირს იღებდა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების ერთ მოხელის საშუალებით. გაზეთს დამტკიცებულად მიაჩნია კუმანსკის კავშირი გერმანიის მრეწველთა კავშირთან და ცნობილ მრეწველ რეხბერგთან. კუმანსკის ურთიერთობა რეხბერგთან დაკავშირებული იყო ყალბი საბჭოთა დოკუმენტების, უმთავრესად კომინტერნის ყალბი დოკუმენტების გავრცელებასთან. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ კუმანსკის არა ერთხელ ჰქონდა შეხვედრა ფაშისტების ბელადთან გიტლერთან. ამ შეხვედრათა დროს საუბარი შეეხებოდა გერმანიის პოლიტიკური ცხოვრებას. კუმანსკი სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა გიტლერს ფაშისტური გამოსვლის შემთხვევაში.

დასასრულ გაზეთი იუწყება, რომ დღეს პოლიციამ მოახდინა ჩხრეკა, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს პოლიციის სამმართველოში დასაკითხავად მიწვეულ ზოგიერთ რუს ემიგრანტების დაპატიმრება.

ლატვიის კომპარტიის ცეკას დაპატიმრება

რიგა, 16 მარტი. გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ, ვითომ „სხდომის დროს, რომელზედაც იხილავდნენ მოსკოვიდან მიღებულ ინსტრუქციებს", დაპატიმრებული იქნა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

დაპატიმრების დროს ვითომ აღმოუჩენიათ ბევრი დიდ მნიშვნელოვანი საბუთი, სხვათა შორის „მეწერ-მოწერა ლატვიის სექციასთან მოსკოვში, კომინტერნის დავალებები, ინსტრუქციები და ფინანსიური ანგარიშები".

კომპარტიის ცეკას ვითომდა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია კიდევ 15 კაცი. მასიური დაპატიმრება მოხდა აგრეთვე ლვინსკის მაზრაში (ადს).

კონფლიქტი სეიმსა და მთავრობას შორის

ვარშავა, 16 მარტი. კონფლიქტი სეიმის ოპოზიციასა და მთავრობის შორის რამდენიმედ შერბილდა. ყოფილი ფინანსთა მინისტრ ჩეხოვიჩის პასუხისგებაში მიცემის საკითხის განხილვა გადადებულია 20 მარტისთვის, იმ მიზნით, რომ „პილსუდსკის არ [illegible]", რომელიც დიდის ზეიმით იქნება გადახდილი წინა დღეს. სეიმის თავმჯდომარე დაშინსკი ყოველმხრივ ცდილობს დაითანხმოს მხარეები დათმობაზე, რათა საქმე არ მივიდეს შეჯახებამდე.

გამოცხადებულია, რომ გადადგება ფინანსთა სამინისტროს საერთო დეპარტამენტის გამგე, პილსუდსკის მომხრე დაუინსკი, რომელსაც მემარჯვენეები ბრალს სდებენ სახელმწიფო კაპიტალიზმის მომხრეობაში. ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა ნედზინსკიმ მიიღო ჟურნალისტები და განუცხადა მათ, რომ მან არავითარი კავშირი არა აქვს იმ ბოროტმოქმედებასთან, რომელიც მოხდა მის უწყებაში (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა ახალი კონვენცია

თეირანი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. დავთიანმა და სპარსეთის საგარეო მინისტრმა ფაზინმა ხელი მოაწერეს სპარსეთ-საბჭოთა ახალ კონვენციას, რომელიც ადასტურებს სპარსეთის სრულ საბაჟო ავტონომიას ამჟამად არსებული ტარიფების საფუძველზე (ადს).

ბელგიის წინადადება უარყოფილ იქნა

ბერლინი, 15 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, იქ დამთავრდა ექსპერტთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა ბელგიის მთავრობის წინადადება იმ იარაღის სიის შემუშავების შესახებ, რომლის წარმოებასაც კონტროლი უნდა გაეწიოს. ბელგიის წინადადება უარყოფილ იქნა. (ადს).

საფრანგეთ-ესტონეთის სავაჭრო ხელშეკრულება

პარიზი, 15 მარტი. ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას საფრანგეთს და ესტონეთს შორის. ხელშეკრულება ემყარება უმეტესი უპირატესობის პრინციპს ორივე მხრივ. (ადს).

მასალები პარიზის კომუნის შესახებ

მოსკოვი, 16 მარტი. მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტმა ამას წინად პარიზში შეიძინა ახალი მასალების დიდი კოლექცია პარიზის კომუნის შესახებ. დოკუმენტთა შორის გვხვდება კომუნარების: როსილის, ფერეს და როშფორის პირადი წერილები. როშფორის წერილი დაშიფრულია და დღევანდლამდე ვერ გაურჩევიათ. შემდეგ, ინსტიტუტმა შეიძინა ტიერის დეპეშები, რომლებიც შეიცავენ ბრძანებებს ვერსალის ჯარების სარდლებისადმი (ადს).

საბჭოთა გამოფენა შვეიცარიაში

მოსკოვი, 16 მარტი. ციურიხში სახელმწიფო მრეწველობის ადგილობრივი მუზეუმის თაოსნობით ეწყობა პირველი საბჭოთა გამოფენა შვეიცარიაში. გამოფენაზე იქნება საბჭოთა გრაფიკის, წიგნის, პლაკატის და ფოტო-თეატრალური მაკეტების განყოფილებანი (ადს).

ჰენრი სტიმსონი

შეერთ. შტატების ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი

ამერიკის კომპარტიაში

პოლიტიკური კომიტეტის შემადგენლობა

ნიუ-იორკი, 15 მარტი. ამერიკის კომპარტიის ყრილობაზე არჩეულ იქნა პოლიტიკური კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: ფოსტერი, გიტლოუ; ბედახტი; მინორი; [illegible], ბროუდერი; კრუზე; ვაინსტონი; ენგდალი, ვოლფი, დიუნი, შოფბაუერი, ლოვესტონი და ვრატარიჩი. სამდივნოში: ფოსტერი, გიტლოუ და ბედახტი. (ადს).

ნოსკეს შეურაცყოფისათვის

ბერლინი, 15 მარტი. სასამართლომ, რომელიც არჩევდა ჟურნალისტ ფრიდრიხის საქმეს (ფრიდრიხი პასუხისგებაში მისცა ნოსკემ შეურაცყოფისათვის), არ შეიწყნარა მოპასუხის შუამდგომლობა მოწმეების დაბარების შესახებ.

პროკურორმა ილაპარაკა „ნოსკეს დიდი დამსახურების შესახებ სამშობლოს წინაშე", რის შემდეგაც სასამართლომ ფრიდრიხს ერთი თვით პატიმრობა მიუსაჯა (ადს).

მუშები აღშფოთებულნი არიან ტროცკის გამოსვლით

კიევი, 16 მარტი. დომბალის სახელობის ტრამვაის სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, მოისმინა რა ინფორმაცია ტროცკის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ ბურჟუაზიულ პრესაში და გაიცნო რა იაროსლავსკის წერილი, რომელიც ეხება ამ გამოსვლებს, ერთხმად მიიღო მიმართვა ინგლისის, გერმანიის და საფრანგეთის მუშებისადმი:

„ძვირფასო ამხანაგებო! ტროცკიმ, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გადასახლებულ იქნა ანტისაბჭოთა არალეგალური მუშაობისათვის, ბურჟუაზიულ გაზეთებში მოათავსა წერილები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; ეს წერილები სავსეა ცილისწამებით და წარმოადგენენ ინსინუაციებს საბჭოთა კავშირისა და საკავშირო კომპარტიის წინააღმდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია დუმილით შევხედოთ ტროცკის ამ აღმაშფოთებელ დანაშაულს. მოგმართავთ თქვენ—დასავლეთის მუშებს თქვენ, რომელნიც საბჭ. ხელისუფ. არსებობის პირველ დღიდანვე უდიდესი ყურადღებით ადევნებდით თვალს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დიად ბრძოლას და გვეხმარებოდით უამრავი გარეშე მტრის მოგერიებაში,—თხოვნით განაცხადოთ ძლიერი და გადამჭრელი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ტროცკი ტალახში სვრის ჩვენს საბჭოთა კავშირს.

ვაცხადებთ თქვენს წინაშე: ბურჟუაზიის წინააღმდეგ უდიდესი, ჯერ ისტორიაში გაუგონარი ბრძოლის მძიმე წლებში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი გმირობა და თავგანწირვა. მრავალი ათასი გვამით არის მოფენილი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამარჯვების გზა. მშიერი და ფეხშიშველი, წითელარმიელის ფარაჯაში გამოწყობილი ჩვენი მუშები თავგამოდებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ პერეკოპზე და უკრაინის ველებზე. ისინი ამარცხებდნენ ძლიერი არტილერიით და ტანკებით შეიარაღებულ მტრებს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა შიმშილობის წლებში აუტანელი ტანჯვა და წვალება განიცადა და დაამტკიცა, რომ პროლეტარული რევოლიუციის ინტერესები მისთვის უმაღლეს კანონს წარმოადგენს. ჩვენი მუშები ბრძოლაში მჭიდროდ დაკავშირებულნი არიან კომპარტიასთან. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს კავშირი შენარჩუნებული იქნება მომავალშიაც. რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელიც შესძლებს მუშათა კლასისა და კომპარტიის ძმური, ურყევი და მტკიცე კავშირის გაწყვეტას. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება და ტანჯვა გადაგველოდება. მაგრამ მუშათა კლასი, რომელმაც ოქტომბერში ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, არ შეუდრკება ამ დროებითი დაბრკოლებების წინაშე, ისე, როგორც აქამდის არ შეუდრკა. ჩვენ დავრჩით ისეთივე, როგორიც ვიყავით 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამეს. ჩვენ სამარცხვინოდ მიგვაჩნია ტროცკისთვის, ოქტომბრის რევოლიუციის მონაწილისთვის, წითელი არმიის ყოფილი ხელმძღვანელისათვის, მისი გამოსვლა ინგლისის ბურჟუაზიულ პრესაში. იმ დროს, როცა პროლეტარული რევოლიუციის მრავალი ათასი ხუნდებში გაჭედილი საუკეთესო შვილი, იტანჯება მუსოლინის საპყრობილეებში, ჯურღმულებში, რუმინეთისა და პოლონეთის საკატორღო სატუსაღოებში, როცა დასავლეთის მუშათა კლასის ყველა პატიოსანი და საუკეთესო წარმომადგენელი არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში იბრძვის გათავხედებულ ფაშიზმს, ტროცკი ხელს უწყობს მუშათა კლასის ჯალათებს—სისხლის მსმელ ნოსკეს გერმანიაში და მუშათა კლასის სხვა სულთამხუთავებს. სირცხვილი და ზიზღი ტროცკის! მოგიწოდებთ თქვენ—დაიწყოთ გადამჭრელი ბრძოლა ტროცკის ცილისწამებლური გამოსვლების წინააღმდეგ" (ადს).

კიევი, 16 მარტი. დომბალის სახელობის ტრამვაის სახელოსნოების მუშებმა და მოსამსახურეებმა სტამბოლში ტროცკის გაუგზავნეს შემდეგი წერილი:

„მისტერ ტროცკი! უდიდესი ზიზღით და აღშფოთებით წავიკითხეთ ცნობები თქვენი კონტრრევოლიუციონური გამოსვლების შესახებ, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გიგზავნით თქვენ, პროლეტარული რევოლიუციის საქმის მოღალატეს, საბჭოთა სამშობლოს მოღალატეს, ჩვენს წყევლას. თუ თქვენ ოდნავ მაინც შეგრჩენიათ სირცხვილი და ნამუსი, თუ ინგლისის დოლარებს ჯერ მთლიანად არ დაუბნელებიათ თქვენი გონება, მოისმინეთ ჩვენი უბრალო მუშური სიმართლე, და არა ის „სიმართლე", მოწამლული სიცრუით და ცილისწამებით, რომელითაც სავსეა თქვენი წერილები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ არ ვაპირებთ თქვენთან კამათს. რაც იქნება მუშათა კლასის დამცირება, არამედ გიცხადებთ, რომ თქვენ მოღალატე და გამცემი ხართ. თქვენ ჩაიდინეთ ყველაზე უფრო სამარცხვინო დანაშაული, რისთვისაც სასტიკად აგებთ პასუხს პროლეტარიატის წინაშე" (ადს).

სვერდლოვსკი, 16 მარტი. ბურჟუაზიულ პრესაში ტროცკის მიერ გავრცელებული ცილისწამების გამო, ურალის ტრანსპორტის მუშათა სახელით ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის საოლქო განყოფილების პლენუმმა გამოსთქვა თავისი აღშფოთება. პლენუმმა წინადადება მისცა ყველა ორგანიზაციას—ჩაატარონ კავშირის წევრებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტროცკის კონტრ-რევოლიუციონური მუშაობის შესახებ. (ადს).

„დროშა" № 5
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშაბათს, მარტის 19-ს, დილის 12 საათზე
შედგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.
ს. ს. ცაკის მდივანი: ი. ვარძიელი.

წერილი პარიზიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ელზასელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.—რადიკალები მხარს უჭერენ პუანკარეს იმპერიალისტურ პოლიტიკას.—პუანკარეს აგენტი—გრუმბახი იცავს ბურჟუაზიულ პოლიტიკას ელზასში.—ნაციონალისტური უმრავლესობა ნდობას უცხადებს... ელზასელებს.—მორგანი და რეპარაციები. — ვატიკანი, იტალია და საფრანგეთი.—ამნისტია უარჰყვეს.

პარლამენტმა უკანასკნელი თვე თითქმის მთლიანად მოანდომა კამათს ელზას-ლოთარინგიის საკითხის შესახებ. როგორც ყოველთვის, რეაქციონური მთავრობა ცდილობდა ელზასელების მისწრაფება ავტონომიისადმი ჩაეკლა რეპრესიული ზომებით: საპატიმროებით, გაზეთების კონფისკაციით, დეპუტატთა უფლების გაუქმებით და სხვ. მაგრამ დაწყნარების ნაცვლად, მოძრაობა უფრო და უფრო გაიზარდა და მძლავრ ტალღად გადაიქცა. რეპრესიებმა საწინააღმდეგო შედეგები გამოიღეს.

პარლამენტში გამართულმა კამათმა ახალი არაფერი მოიტანა; ორატორებს, მეტადრე ელზასელებს, უნდა აღეარებინათ ელზასის მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდის ფაქტი.

რა ზომებს ხმარობდა მთავრობა ელზასის მწვავე საკითხის გადასაჭრელად? საფრანგეთის იმპერიალიზმს, რასაკვირველია, არ შეეძლო ელზასელების არსებითად დაკმაყოფილება, რადგან იმპერიალიზმის ბუნებას ახასიათებს—ტაციობა, ჩაგვრა, ყოველგვარი ეროვნული დამოუკიდებლობის ჩახშობა და უმცირესობათა გამოყენება საკუთარი ძალისა და, ეგრეთ წოდებული, პრესტიჟის გადიდების იარაღად. სამაგიეროდ საფრანგეთის რეაქციამ მთლიანად დააკმაყოფილა თავისი ღვიძლი ძმა ელზასში—კლერიკალური რეაქცია. პუანკარემ ქვეყნის წინაშე აღთქმა დასდო, რომ თითსაც არ შეახებს ელზასის სამღვდელოების უზენაეს პრივილეგიებს. ჩვენ ვხედავთ ასეთ „პარადოქსს“. ელზასის ავტონომიისადმი მისწრაფებას მთავრობა და ბურჟუაზია თითქმის სისხლის სამართლის დანაშაულად სთვლიან. ამავე დროს თვით მთავრობა, ბურჟუაზიის დახმარებით, რელიგიურ ავტონომიას ანიჭებს კლერიკალიზმს და ბნელეთის მოციქულებს. ეკლესია კი სრულებითაც არ ზრუნავს ეროვნული კოლექტივის ბედნიერებისათვის, იგი მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ დაიკმაყოფილოს რელიგიური მისწრაფებანი, დაეუფლოს მოზარდი თაობის გონებას, იმ ქვეყნის რესპუბლიკანური მთავრობა, სადაც კანონით ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოცალკევებულია, ჰქმნის განსაკუთრებულ ოლქს—ელზასს, რომელსაც საფრანგეთის ეს კანონი არ ეხება. საფრანგეთი შეუერთდა ელზასის კლერიკალიზმს. სწორედ ეს შეადგენდა როგორც საფრანგეთის, ისე ელზასის რეაქციონერების მუდმივ მიზანს.

როგორც საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. ბერონმა დაგვანახვა, ორივე ქვეყნის რეაქციონერებმა ჩალის ფასად მისცეს კაპიტალისტებს ელზასის კოლოსალური ბუნებრივი სიმდიდრენი.

ეს კიდევ ცოტაა, ნახევრად ფაშისტური კაპიტალიზმის მთავრობამ შეიმუშავა ახალი კანონი, რომელიც მიმართულია ანტიიმპერიალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგ. ამ კანონით კაპიტალისტურ რეაქციას სურს ორი კურდღლის დაჭერა: ელზასელი ავტონომისტებისა და კომუნისტებისა, რომლებიც ებრძვიან კოლონიალურ იმპერიალიზმს და საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას. ატმოსფერა უფრო და უფრო იკუმშება. ფაშიზმი ახლოვდება ამა თუ იმ ფორმით. რადიკალები მას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ.

ამას გვიდასტურებს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ რადიკალებმა, მიუხედავად ყოველგვარი რესპუბლიკანური ტრადიციებისა, ნება მისცეს პუანკარეს მთავრობას, რომ საპატიმროში შეაგდეს ჩვენი ამხანაგი მარტი, თუმცა იგი დეპუტატად არის ამორჩეული. წინად, ომამდე, ასეთი ფაქტი წარმოუდგენელი იქნებოდა. ყველა პატიოსანი დემოკრატი ასეთ საქციელს „დემოკრატიული“ პრინციპების შებღალვად ჩასთვლიდა, ბლანკი, როშფორი, ჟერო რიშარი, აირჩიეს თუ არა დეპუტატებად, თითქმის მაშინვე გამოუშვიდნენ საპატიმროდან. ახლა მასა ერთსა სწყვეტს, მთავრობა მეორეს. საკმარისია პუანკარემ ნდობის საკითხი დასვას, რომ რადიკალები კურდღლებივით მიიმალონ ბუჩქებში.

განსაკუთრებით სამარცხვინო იყო „სოციალისტების“ ორატორის, ცნობილი სოციალშოვინისტის გრუმბახის როლი. ის ერთსა და იმავე დროს ფეხს ულოკავს პუანკარეს და ლაქიასავით ელაქუცება ბურჟუაზიულ დემოკრატიას. პუანკარეს შემდეგ ის ყველაზე მეტად სძულთ ელზასში, მაგრამ სამშობლოს და ელზასის მხსნელის როლს მაინც თამაშობს. გრუმბახი მძვინვარედ ებრძვის კომუნიზმს და ელოლიავება იმპერიალიზმს.

კაპიტალიზმის ძირდამპალი სტაბილიზაციის ეპოქა მეტის-მეტად მდიდარია ბურჟუაზიისათვის გადაუჭრელი პრობლემებით, ელზასის გადაუჭრელი პრობლემის შემდეგ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ასევე გადაუჭრელი სარეპარაციო პრობლემა. როგორც ვიცით, ექსპერტების კომიტეტში მთავარი ადგილი უჭირავს ბანკების მეფის მორგანს. უკანასკნელ სიტყვას, რასაკვირველია, ის იტყვის. ჯერ ბრძოლა სწარმოებს ციფრებითა და არგუმენტებით. გერმანიამ, ასე ვსთქვათ, ჯიბეები გადმოუყარა მთელ ქვეყანას და დაანახვა, რომ ცალიერია. რადგან მსოფლიო ბანკირმა მორგანმა იცის, რომ ხსნას ამერიკისაგან ელიან მოდავე მხარეებისათვის პირობების მოკარნახედ ის იქნება. უკვე ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მორგანი თავის დახმარების პირობად მოითხოვს რეინის პროვინციების განთავისუფლებას მოკავშირეთა, უმთავრესად, საფრანგეთის ჯარებისაგან. კამათს ბოლო არ უჩანს, არ სჩანს შესაძლებლობა, რომ გადაიჭრას რეპარაციების რაოდენობის საკითხი, აგრეთვე განსაზღვრულ იქნას ის ვადა, რომლის განმავლობაშიაც გერმანიამ გადასახადი თანხები უნდა გაისტუმროს.

მუსოლინის შეთანხმება ვატიკანთან აქ დიდ მღელვარებას იწვევს. ეს შეთანხმება ყველას საფრანგეთის საწინააღმდეგო მანევრად მიაჩნია. მუსოლინის სურს პაპა გამოიყენოს არა მარტო თავის შინაური მდგომარეობის განსამტკიცებლად, არამედ კოლონიალური მტაცებლობისთვისაც. რეაქცია მიუთითებს იტალიის დიქტატორის ამ გამარჯვებაზე, რომ იგი მაგალითად დაუსახოს საფრანგეთს: „თავი დაანებეთ ეკლესიასთან ბრძოლას და პაპის წყალობა ისევე მოგეფინებათ, როგორც მუსოლინის“.

„დემოკრატიამ“ იმდენჯერ უღალატა თავის პრინციპებს, რომ აღარავის აოცებს მისი ახალი ღალატი: მან უარჰყო ამნისტია პოლიტიკურ პატიმართათვის. თუმცა იმავე პალატამ, სამი თვის წინად, ხმათა უმრავლესობით, აღიარა ამნისტიის პრინციპიალური საჭიროება...

ხ. რაპოპორტი.

პარიზი, 4 მარტი.

საავტომობილო ქარხნის პროექტის შედგენა

მოსკოვი, 16 მარტი. მანქანების მშენებლობის მთავარ სამმართველოს კოლეგიამ განიხილა ახალი საავტომობილო ქარხნის აგების საკითხი. კოლეგიამ საჭიროდ სცნო აღძრას შრომისა და თავდაცვის საბჭოში საკითხი „ავტოსტროი“-ს მშენებლობის სამმართველოს დაუყოვნებლივ მოწყობის შესახებ. „გიპრომეზ“-ს დაევალა შეადგინოს საავტომობილო ქარხნის აგების პროექტი. ახალ ქარხანაში უნდა დამზადდეს მსუბუქი ნახ. ტონიანი და 1 მეოთხ. ტონიანი მანქანები. ქარხნის აგებისათვის უფრო შესაფერ ადგილად ცნობილია მოსკოვის ან ნიჟნი-ნოვგოროდის რაიონი (ადს).

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისათვის

(ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტისაგან)

ყველა ნიშანი იმის მაჩვენებელია, რომ ჩქარი ნაბიჯით ვუახლოვდებით ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. მსხვილი მრეწველობის დიდი კრება, რომელიც თებერვლის პირველ რიცხვებში „სავოის ოტელში“ შესდგა ლონდონში და რომელმაც გადაწყვიტა კომერციული დელეგაცია გაგზავნოს მოსკოვში და დაუყოვნებლივ ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტი შექმნას ნორმალური აღებ-მიცემობის დასამყარებლად, დიდათ დამახასიათებელი მოვლენაა: სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსიურ წრეებში იცვლება განწყობილება მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის მიმართ.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი სენსაცია გამოიწვია ინგლისის საზოგადოების ყველა წრეში და შეაშფოთა რეტროგრადები, რომელნიც შეურიგებელი კონსერვატიზმის წამოსასხამში არიან გახვეულნი; შეშფოთებულია აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდა და მისი მოკავშირე არამზადა რუს თეთრგვარდიელთა ემიგრაცია, რომელიც სასკანდალო ცნობებით კვებავს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ პრესას.

აქ დიდ ინტერესს იწვევს ეს ახალი მოძრაობა. მე გავემგზავრე ინგლის-საბჭოთა კომიტეტის ახალ ბიუროში, რომელიც ვესტმინსტერში მოთავსებული და ვინახულე მისი მდივანი ვიქტორ ჯონსი; იგი უკვე საქმეებითაა დატვირთული: ცნობებს სთხოვენ, თანაგრძნობის წერილებს აწვდიან, უკვე საქმიან წინადადებებს აძლევენ და სხვ. დროს უქონლობის გამო მხოლოდ მოკლე საუბარი მქონდა ჩემთან, რომელშიაც გამოხატა იმედი, ან, უკეთ ვსთქვათ, რწმენა, რომ ახლად დაწყებული მოძრაობა დამთავრდება აღებ-მიცემობის აღდგენით ორივე სახელმწიფოს შორის და ინგლისის მომავალი მთავრობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი არჩევნების შემდეგ, იძულებული გახდება დიპლომატიური ურთიერთობა გაებას საბჭოთა კავშირთან.

როგორც „დეილი ქრონიკლი“ სწერს, ესაა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი, რომელიც ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად გადაიდგა არკოსის და საბჭოთა საელჩოს სკანდალური დარბევის დღიდან.

თვით მსხვილ მრეწველთა გადაწყვეტილება წარმოადგენს იმ დიდი მოძრაობის დასასრულს, რომელიც კარგა ხანია დაიწყო ინგლისში. რა არის ამ უკან დახევის მიზეზი?

საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი სიმპატიით როდი აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისის კაპიტალიზმის მეთაურებმა გადასწყვიტეს, გადადგან ნაბიჯი, რომელიც უდრის იმ ჭეშმარიტების აღიარებას, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე ევროპას და განსაკუთრებით ინგლისს არ ძალუძთ თავი დააღწიონ ეკონომიურ ქაოსს, სადაც ისინი არიან ჩაფლულნი. ეს თავის თავად იგულისხმება აგრეთვე, რომ კაპიტალიზმი გამოეთხოვა დიდი ხნის იმედს, რომ საბჭოთა რეჟიმი დაემხობა. ამ უკანასკნელმა თავისი თავი გააცნო ევროპის კაპიტალიზმს, მიუხედავად გააფთრებული იერიშებისა, ეკონომიური და ფინანსიური ბოიკოტისა, ცილისწამების და უსინდისო კამპანიისა. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი კი არ დრეკს მუხლს კაპიტალიზმის წინაშე, პირიქით, კაპიტალიზმი იძულებულია საბჭოთა კავშირს მიმართოს.

კაპიტალისტებს ინტერესი, სიკვდილის და სიცოცხლის საკითხი ამოძრავებს. ამიტომ „თანამგრძნობებს“ ნუ ელით ინგლისის კომერციული დელეგაციის წევრებს შორის. ეს საქმის ხალხია და მეტი არაფერი.

მათ საბჭოთა კავშირისკენ უწინარეს ყოვლისა ის ინდუსტრიული და კომერციული დეპრესია ეწიკება, რომელიც რამდენიმე წელიწადია გრძელდება და რომელსაც დასასრული აღარ უჩანს. ამას გარდა მოქმედობს შური, რადგან ინგლისში ხედავენ, რომ საბჭოთა კავშირი პირს იბრუნებს ამერიკისაკენ, რომელიც ინგლისის უძლიერესი მოქიშპე გახდა მთელს მსოფლიო ბაზარზე.

დღეს სხვადასხვა წრეებს შორის პირდაპირ შეჯიბრება ხდება ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენის გულისთვის. ესაა უწინარეს ყოვლისა საარჩევნო შეჯიბრება, რაიცა საყოველთაო არჩევნების მოახლოებით აიხსნება. ზოგიერთი კონსერვატორი დეპუტატიც კი მონაწილეობას იღებს ამ შეჯიბრებაში. მათ უეჭველია „საარჩევნო განაჩენის“ შიში ამოძრავებთ. განა ეს საუკეთესო საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ურთიერთობის გაწყვეტა არასოდეს პოპულიარული არ იყო ფართო საზოგადოებაში?

ამ კამპანიის დროს, მართალია, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ბევრმა მოწინააღმდეგემ ხმა დაიდაბლა. ისინი ხედავენ, რომ მათი ცილისწამება და მათი მდაბალი ხერხი აღარ სჭრის. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არასოდეს არ გვავიწყდება, რომ ისინი გულში პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისადმი მტრობას ატარებენ.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 2 მარტი.

ამხ. რიკოვი მოსკოვის გაზის ქარხნის მუშათა კრებაზე

მოსკოვი, 16 მარტი. მოსკოვის გაზის ქარხნის მუშათა საარჩევნო კრებაზე 13 მარტს ამხ. რიკოვმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. ამხ. რიკოვმა დაახასიათა ქალაქებისა და მუშათა ცენტრების სასურსათო მომარაგების საქმე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პურის წიგნაკების შემოღება მიზნად ისახავს მშრომელ მოსახლეობისათვის პურის მიწოდების საქმის გაუმჯობესებას.

ამხ. რიკოვი შეეხო შრომის ნაყოფიერების საკითხებს. შრომის დისციპლინის შესუსტების შემთხვევებს ამხ. რიკოვი, სხვათა შორის, ხსნის იმით, რომ მრეწველობაში იბმიან სოფლიდან გამოსულ მუშათა ახალი კადრები, რომელნიც ფაბრიკას უყურებენ, როგორც თავიანთი გლეხური მეურნეობის გაუმჯობესების წყაროს. მეორეს მხრივ, ახალგაზრდობა ხშირად საკმაო პროლეტარულ შეგნებას არ იჩენს, იგი მოითხოვს განაკვეთის გათანაბრებას ძველ გამოცდილ მუშაკებთან. ყველა ამ მოვლენას უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს (ადს).

დახმარება მაღაროში დაღუპულთა ოჯახებს

მოსკოვი, 16 მარტი. მემაღაროეთა კავშირის ცეკამ „მარია“-ს მაღაროში დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად გადასდო 10.000 მანეთი (ადს).

ახალი თურქული ანბანის შემომღებ კომიტეტის შუამდგომლობა

მოსკოვი, 16 მარტი. ახალი თურქული ანბანის სრულიად საკავშირო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის ცეკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა მას 1928—29 წელს საბჭოთა კავშირის ბიუჯეტიდან დამატებით მიეცეს 525.000 მანეთი წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ახალი თურქული ანბანის საფუძველზე. ამ თანხიდან განზრახულია უზბეკისტანის რესპუბლიკას (ტაჯიკისტანის ჩაითვლით) მიეცეს 105.000 მანეთი, თურქმენისტანს—52.500 მანეთი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს—71.400 მანეთი, ხოლო დანარჩენი—რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ეროვნულ რესპუბლიკებს (ადს).

დიდი ქარბუქი

დონის-როსტოვი, 16 მარტი. 14 მარტს ღამით როსტოვზე გადაიარა დიდმა ქარბუქმა. რკინის გზით მიმოსვლა კავკასიასთან როსტოვის გზით შესწყდა. თოვლის ზვავების გამო მატარებლები სადგურებშია შეჩერებული. გზების გასაწმენდად გამოწვეულია იქნა რკინის გზის მახლობელი სოფლების და სტანიცების მოსახლეობა. ქალაქში ქარმა დასწყვიტა მაღალი ძაბვის მავთულები. მიღებულია სასწრაფო ზომები ელექტრო ქსელის აღსადგენად.

პარტიაში

გავსწმინდოთ პარტია ბიუროკრატებისა, კარიერისტებისა და გადაგვარებულთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთად-ერთ ლეგალურ პოლიტიკურ პარტიისაკენ მიილტვიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც სხვა პირობებში სოციალ-დემოკრატიისა ან სხვა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების რიგებში იქნებოდნენ“,—გავანთავისუფლოთ პარტია ასეთი ელემენტებისაგან.—ფართოდ გავშალოთ წმენდისათვის მზადება—დავიხმაროთ უპარტიო მასები პარტიის წმენდის ჩატარებაში

როგორ უნდა ჩავატაროთ წმენდა

(წინადადების წესით)

პარტიის წმენდის საკითხი სდგას როგორც პარტიის კონკრეტული ამოცანა უახლოეს პერიოდისათვის. მომავალი საკავშირო პარტკონფერენცია ალბად ამ ამოცანის შესახებ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

პრესაში უკვე იბეჭდება წერილები, რომლებშიაც წარმოდგენილია წმენდის ჩატარების სხვადასხვაგვარი მეთოდი. სარაიონო კონფერენციებზე და თბილისის პარტკონფერენციაზე კამათში გამოსული ამხანაგები ბევრს ლაპარაკობდნენ წმენდის შესახებ და ასახელებდნენ წმენდის ჩატარების ზოგიერთ ფორმებს.

სანამ წმენდის მეთოდებს და ფორმებს განვიხილავდეთ, საჭიროა მტკიცედ გამოვარკვიოთ ერთი ძირითადი დებულება, რომელიც ყურადღების უმთავრეს საგანს უნდა შეადგენდეს პარტიის წმენდის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ეს დებულება მდგომარეობს შემდეგში: პარტიის გამწმენდ კომისიებს და ყოველ კომუნისტს უნდა ახსოვდეს, რომ წმენდა ტარდება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად არის გამოსადეგი ესა თუ ის ამხანაგი აქტიური მუშაობისათვის სოციალისტურ მშენებლობაში. აი, ის ძირითადი დებულება, რომელიც გამოსავალ წერტილს უნდა შეადგენდეს პარტიის ყოველი წევრისა და კანდიდატის შემოწმების დროს.

ვინ უნდა გაირიცხოს პარტიიდან, თუ კომუნისტების შემოწმებას მივუდგებით ზემოაღნიშნული საზომით?

აი, ჩვენს წინაშე არის გაბიუროკრატებული და მასებისაგან მოწყვეტილი კომუნისტი, რომელმაც უკვე დიდი ხანია დაჰკარგა პარტიული სახე და რომელიც საბჭოთა ჩინოვნიკად გადაიქცა. ასეთ კომუნისტს უყვარს თავის თბილ კაბინეტში ჯდომა, მაგრამ არ უყვარს ადგილკომის საზოგადო კრებებით, სადაც ის შეიძლება გააკრიტიკონ. ხოლო უჯრედში დადის უხალისოდ, დადის მოვალეობის გამო, ხშირად არც კი დადის და ამის საბუთად მოჰყავს „მეტად მნიშვნელოვანი საქმეებით დატვირთვა“.

აი, პარტბილეთიანი კაცი—მლიქვნელი, რომელიც გრიბოედოვის მოლჩალინის მსგავსად სცდილობს პასუხისმგებელ ამხანაგს ასიამოვნოს, დაიმსახუროს მისი ნდობა და მისი მფარველობით მიაღწიოს პირად კეთილდღეობას.

მე მხედველობაში მყავს აგრეთვე ისეთი კომუნისტი, რომელიც ზოგჯერ ძალიან კარგი მუშაკია, მაგრამ სისუსტეს იჩენს ეგრედწოდებული „მშვენიერი სქესის“ მიმართ. მთელ რიგ შემთხვევაში ასეთი ტიპის კომუნისტს არ შეუძლია გაუძლოს „მომჯადოებელი თვალების ელვარებას, ფიგურის მოხდენილობას“ და მზად არის შეასრულოს „მშვენიერი ქალების“ ყველა „კაპრიზები“.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ კომუნისტს ბევრი სხვა ღირსებანი შეიძლება ჰქონდეს, ის მაინც არ შეიძლება სოციალიზმის საიმედო მშენებელი იყოს.

კომუნისტის ოჯახური ცხოვრება წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს კომუნისტის ფსიქიკაზე და ცოტად თუ ბევრად აშკარავებს ყველა მის პირად თვისებებს. ცოლი, დედა, სხვა ნათესავები და არანათესავები, რომლებთანაც კომუნისტს ურთიერთობა აქვს მის ოჯახურ ცხოვრებაში ერთგვარ გავლენას ახდენენ მასზე და „განსაზღვრავენ“ მის შეგნებას. სწორედ ამიტომ წმენდის დროს შესწავლილ უნდა იქნას კომუნისტის ოჯახური მდგომარეობა და მის პირადი ცხოვრება.

ცოლთან გაყრა, რომელიც გახშირდა კომუნისტებს შორის, უმეტეს შემთხვევაში თავდება იმით, რომ კომუნისტი, რომელმაც ცოლი მიატოვა მისი „ჩამორჩენილობის“ გამო, ცოლად ირთავს მღვდლის, თავადის ქალიშვილს, ყოფილი ფაბრიკანტის ქვრივს და სხ.

ყველა ეს მომენტები აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში. ყველა ამ ტიპების ჩამოთვლა, რომლებმაც თავი იჩინეს ჩვენს პარტიაში, საგაზეთო წერილში შეუძლებელია. მე დავახასიათე ზოგიერთი მათგანი და სრულებით არ შევხებივარ სოფლის კომუნისტის ტიპებს. ამის შესახებ საჭიროა ცალკე მოვილაპარაკოთ.

ეხლა აღვნიშნავ ზოგიერთ მეთოდებს, რომლებიც, ჩემის აზრით შეიძლება გამოვიყენოთ წმენდის დროს.

მე ვადგენ ასეთ მეთოდს: პარტიის გამწმენდმა კომისიებმა უჯრედში მისვლისთანავე უნდა მისცენ წინადადება უჯრედის წევრებს, რათა შეიტანონ წერილობითი განცხადება იმ კომუნისტების შესახებ, რომელთა წინააღმდეგაც არსებობს რაიმე უარყოფითად დამახასიათებელი საბუთები. მეტად მიზანშეწონილი იქნება, თუ კომისია გამოაცხადებს, რომ იგი განცხადებას მიიღებს ყველასაგან. ამასთან, უპირატესობა უნდა მიეცეს იმ განცხადებებს, რომლებიც ამხანაგების ჯგუფის მიერ იქნება შეტანილი.

ეს საჭიროა შემდეგი მოსაზრებებით: თუ საწინააღმდეგო განცხადება შეტანილია „ერთ“ ამხანაგის მიერ, აქ შეიძლება ადგილი ექნეს პირადი ანგარიშის სწორებას; თუ განცხადება შეტანილია ამხანაგების ჯგუფის მიერ, მაშინ მეტი შანსები არსებობს იმისათვის, რომ ეს დახასიათება უფრო ობიექტიური იქნება. რასაკვირველია, აქაც შეიძლება ექნეს ადგილი შეცდომებს და ცილისწამებას, მაგრამ ვიმეორებ, გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე ინდივიდუალური განცხადების დროს.

კომისიამ დახმარებისათვის უნდა მიმართოს უპარტიოებსაც. აქაც ისეთივე მეთოდი უნდა გამოვიყენოთ; ამასთან განცხადებანი, რომლებიც შემოტანილია უპარტიოთა და უჯრედის წევრთა მიერ ერთი და იგივე კომუნისტის შესახებ, უნდა შევადაროთ ერთმანეთს. ამ განცხადებათა შედარებით შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ამა თუ იმ კომუნისტის შესახებ.

თუ კომუნისტს უარყოფითად ახასიათებენ პირად ცხოვრებაში, აუცილებლად უნდა გავეცნოთ მის ოჯახურ წრეს და იქ, ზეპირი დაკითხვის ან მისი ნაცნობების, მშობლების, მეზობლების მიერ მოცემულ წერილობითი დახასიათებით დეტალურად შევისწავლოთ კომუნისტის ცხოვრების ეს მხარე.

როცა კომისია დაამთავრებს მასალების შეგროვებას და მას უკვე ექნება წინასწარი შეხედულება, იგი კვლავ უნდა მივიდეს უჯრედში და იქ იქონიოს მსჯელობა იმ ამხანაგების შესახებ, რომელთა წინააღმდეგაც განცხადება იყო შეტანილი. უჯრედის ღია კრება, უპარტიოებთან ერთად, პირველად გასაწმენდი ამხანაგის თანდასწრებით და შემდეგ უმისოდ, უყრის კენჭს მის დატოვებას, თუ არ დატოვებას პარტიაში. ამ მეთოდის საშუალებით შეიძლება ზედმიწევნით იქნას დახასიათებული ესა თუ ის ამხანაგი და გამოირკვეს ის, თუ როგორ უყურებს მას როგორც პარტიული, ისე უპარტიოთა მასა.

მთელი ამ მუშაობის შემდეგ კომისიამ უნდა გამოიტანოს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც, თავის თავად ცხადია, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას უმაღლეს პარტიულ ინსტანციაში.

ი. რუხაძე.

„ფასად შეცვლილი“ მენშევიკი

პარტია თავის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მორიგ ამოცანად ისახავს თავის რიგების გენერალურ გაწმენდას. წმენდის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვა პარტიებიდან გამოსულებს, კერძოდ ყოფილ მენშევიკებს. ლენინი სწერდა პარტიის პირველ გენერალური წმენდის დროს: „პარტია უნდა გაიწმინდოს გაიძვერებისა, გაბიუროკრატებულ, უპატიოსნო ელემენტებისა, მერყევი კომუნისტებისა და იმ მენშევიკებისაგან, რომლებმაც გამოიცვალეს „ფასადი“, მაგრამ გულში კი მენშევიკებად დარჩნენ“. (ხაზი ჩვენია ს. მ.) საქართველოს პირობებში ლენინის ამ დირექტივას, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კომუნისტური პარტიის რიგებში დღეს მრავალი ყოფილი მენშევიკი ირიცხება. მათ შორის არიან ისეთები, რომელთაც არა მარტო გარეგნულად, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, მთელი თავიანთი შინაგანი შეგნებით უარყვეს მოღალატური მენშევიკური პარტია. პარტიაში დღეს ჩვენ გვყავს ისეთი ყოფილი მენშევიკები, რომელნიც სხვა კომუნისტებთან ერთად მტკიცედ დგანან კომპარტიის სადარაჯოზე.

ამავე დროს ისეთებიც საკმაოზე მეტია, რომელთაც „გამოიცვალეს ფასადი, მაგრამ გულში კი მენშევიკებად დარჩნენ“ ასეთი ელემენტებისაგან, რომელთაც მხოლოდ პარტიული ბილეთით გაარჩევთ სხვებისაგან, უნდა გაიწმინდოს ჩვენი რიგები. მენშევიკური მერყეობა გაცილებით უფრო საშიშია პარტიის რიგებში, ვიდრე მის გარეთ. ლენინის პარტია მუდამ იმარჯვებდა თავისი იდეური სიმტკიცით და ერთსულოვანებით.

ამის შემდეგ, მე მინდა მოგითხროთ ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტის შესახებ, რომელიც ზემოთქმულის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს.

გრიგოლ რევაზოვი, ტრამვაის მუშა, მენშევიკური პარტიის წევრი 1901 წლიდან 1923 წლამდე. 1925 წელში ის შედის კომპარტიაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რევაზოვს აქვს თბილისში საკუთარი სახლი, მას ჰყავს მდგმურები, ღებულობს ბინის ქირას და სხ. ამრიგად ჩვენს წინაშე არის კაცი, რომელმაც 22 წ. დაჰყო სხვა პარტიაში, რომელსაც აქვს კერძო საკუთრება და შემოსავალი ამ საკუთრებიდან. ასეთი კაცი ირიცხება კომპარტიის წევრად. ის ატარებს კომუნისტის მეტად საპატიო და მეტად საპასუხისმგებლო სახელს. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ელემენტი ვერ გამოდგება კომპარტიის წევრად, მას პარტბილეთი უფრო პირად სარგებლობისათვის ესაჭიროება.

რევაზოვსაც დიდხანს არ დაუყოვნებია თავისი ანტიკომუნისტური ბუნების გამომჟღავნება. მის სახლში განთავისუფლდა ერთი ოთახი. „კომუნისტი“ რევაზოვი იქცევა ისე, როგორც ეს შეშვენის ყოველ თავის ჯიბის მოყვარულ სახლის მეპატრონეს. ის ეძებს ახალ მდგმურს, მაგრამ ისეთს, რომლისგანაც რაიმე სარფი იქნება. ყოველ ზომებს ღებულობს, რომ სახლში არ შეიპაროს კომუნისტი ან პროფკავშირის წევრი.

რევაზოვსაც ბედმა გაუღიმა. მაკლერის საშუალებით ის მალე ნახულობს ოთახის მსურველს, სირაძეს, რომელსაც გაურიგდა 20 მანეთად თვეში და ექვსი თვის ქირა წინდაწინვე გადაახდევინა. ახალი მდგმური დაბინავდა რევაზოვის სახლში. გავიდა რამდენიმე ხანი და რევაზოვი მისთვის სრულიად მოულოდნელ და სამწუხარო ფაქტის წინაშე დადგა. ახალი მდგმური—„სირაძე“ კომუნისტი აღმოჩნდა. ის იძულებული იყო ბინის დაქირავების დროს არ გაემხილა მისი ნამდვილი სოციალური მდგომარეობა, რადგან რევაზოვი კომუნისტებსა და პროფკავშირის წევრებს ახლოსაც არ აკარებდა თავის სახლს.

განრისხებული სახლის პატრონი ისე ადვილად არ ურიგდება ბედს. თუ გრიგოლ რევაზოვი ვაჟკაცია, თეხს აუდგამს თავის სახლიდან არასასურველ პირს, და აი, იწყება რევაზოვის სახლში ჩხუბი და აყალ-მაყალი. „კომუნისტი“ სახლის პატრონი იბრძვის კომუნისტ მდგმურის წინააღმდეგ. მოსვენებას არ აძლევს უკანასკნელის ცოლშვილს. მთელი სახლი აკლებულია ყოველდღიური ჩხუბით და დავიდარაბით. ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთი შეიქნა ახალი მდგმურისათვის რევაზოვის სახლში ცხოვრება. საქმე იქამდი გამწვავდა, რომ თოფ-იარაღიც ამოშვადა. რევაზოვი ამ ღვთისწუნებულ მდგმურს სიკვდილით ემუქრება. მილიცია ხშირი სტუმარია რევაზოვის სახლში, რომ დააწყნაროს თავზე ხელაღებული, ხულიგანი სახლის პატრონი.

თავისთავად ცხადია, რომ გაუგებრობით გაკომუნისტებული, ტიპიური წვრილი ბურჟუა, აშკარა ანტიკომუნისტური ელემენტი გრიგოლ რევაზოვი, პარტიის რიგებიდან შორს იქნა გადასროლილი. ფასად გამოცვლილი ყოფილი მენშევიკები, რომელნიც ზედმეტ ბარგად ჰკიდიან პარტიას უნდა ჩამოშორებულ იქნან ჩვენი რიგებიდან. გრიგოლ რევაზოვის მაგალითი ამას ერთხელ კიდევ მოგვაგონებს.

სერგო მეგრელიშვილი.

ტაბლა-საკურთხის მოყვარული

(თბილისი)

რომ კომუნისტი რელიგიას უნდა ებრძოდეს—ეს თითქმის ყველასათვის ნათელია. რომ პარტიის წევრს სასულიერო პირებთან კავშირი არ უნდა ქონდეს—არც ეს ჭეშმარიტება მოითხოვს ბევრ მტკიცებას. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში არის ერთი ჯური კომუნისტებისა, რომელიც სრულიად ნორმალურად სთვლის ატაროს პარტიული ბილეთი და ამავე დროს მადიანად შეექცეს მღვდლის „პატიოსან“ შრომით შეძენილ—ტაბლა-საკურთხებს

აი ფაქტიც.

ვაკეში, მოქ ამირაძის სახლში, სცხოვრობს მღვდელი ბაგრატ სუქიასოვი ოჯახით, ჩვენ ამ „პატივცემულ“ ოჯახს არც კი ვახსენებდით, რომ მის სრულუფლებიან წევრად არ ითვლებოდეს მიხეილ აბელის ძე მერაბოვი, პარტიის წევრი და ამავე დროს მღვდელ სუქიასოვის სიძე.

მერაბოვის წარსულიც არ არის მაინც და მაინც ნათელი. ის მუშაობდა ლაგოდეხში სახალხო მოსამართლედ, მაგრამ „იურიდიულ ასპარეზზე“ იმდენი „ფხა“ გამოიჩინა, რომ სატუსაღოშიც ამოყო თავი. სატუსაღოდან განთავისუფლების შემდეგ მერაბოვი ჩქარა მოეწყო საქ. სახ. ვაჭრობის ერთ-ერთ მაღაზიის გამგედ, დაქორწინდა მღვდლის ქალიშვილზე და შეუდგა „თბილ-ტკბილ“ ცხოვრებას.

რასაკვირველია, ჩვენ მერაბოვს ვერ უსაყვედურებთ იმას, რომ მან მღვდლის ქალიშვილი აირჩია თავის ცხოვრების თანამგზავრად. კაცია და გემოვნება... მაგრამ პირდაპირ დაუშვებლად მიგვაჩნია ის გარემოება, როცა პარტიის წევრი ცხოვრობს მღვდლის ოჯახში და იზიარებს ამ ოჯახის ჭირსა და ლხინს.

მერაბოვი კი სწორედ ასე იქცევა. მღვდელ სუქიასოვს „ჩაბარებული“ აქვს სოფლები: წყნეთი, ნაზზალადევი და კიდევ სამი სხვა, სადაც მას თითქმის ყოველ-დღე მოსდის ძღვენი: ქათმები, შეშა, მაწონი, ნაზუქი და ღვინო. მერაბოვსაც ეს უნდა. გაშლიან სუფრას (განსაკუთრებით, როცა საეკლესიო ქეიფებია), სუფრის ერთ თავში წამოსკუპდება მღვდელი, მეორე თავში მღვდელი და იმართება სადღეგრძელოები.

რამდენად შესათავსებელია პარტიის წევრობასთან უვიცი გლეხობისაგან აღებულ ტაბლა-საკურთხებით ქეიფი, ამაზე ალბად იმსჯელის ის უჯრედი, სადაც მიხეილ მერაბოვი ირიცხება.

ჯ.—ნი.

მისალმება საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას

ახალციხის საბჭოთა მე-6 ყრილობა, რომელიც გამოხატავს მრავალრიცხოვანი ასი ათასი მშრომელი მოსახლეობის ნება-სურვილს, მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს პროლეტარიატის სახელოვან ავანგარდს—ლენინურ შტაბს. ყრილობა აცხადებს, რომ კომპარტიის (ბ) ცეკას ნაცადი ხელმძღვანელობით სავსებით იქნება უზრუნველყოფილი სოფლის გარდაქმნა სოციალისტურ ნიადაგზე და, მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, მტკიცე საძირკველი ჩაეყრება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატის ბელადს—საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას!

გაუმარჯოს ლენინური რიგების მთლიანობას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ამერიკაში.—პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულება და ლერონის მისია—„კელოგის პაქტის ფინანსიური დამატება“.—განიარაღების საბოტაჟი.—სოციალ-დემოკრატია ფაშიზმის სამსახურში.

ეჭვს გარეშეა, რომ ყალბი საბჭოთა დოკუმენტების დამამზადებელთა აღმოჩენა (ბერლინში) და მათი აღიარება, ერთის მხრით, გააძნელებს ჩვენი მტრების ანტისაბჭოთა პროვოკაციულ მუშაობას, ხოლო მეორე მხრივ ზურგს გაუმაგრებს იმ ელემენტებს, რომელნიც ჩვენთან ურთიერთობის განახლების და განვითარების მომხრეებად გამოდიან.

როგორც ვიცით, ერთი ამ „დოკუმენტთაგანი“ მიმართული იყო ამერიკელ სენატორ ბორას წინააღმდეგ; თითქოს ის მოსყიდული იყოს საბჭოთა მთავრობის მიერ. ამით უნდოდათ ბორასა და მისი თანამოაზრეებისათვის ჩირქი მოეცხოთ და ჩაეფუშათ მათი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს ამერიკა-საბჭოთა კავშირის დაახლოებას. ამაში დაინტერესებულნი არიან, როგორც ორლოვები (თეთრი ემიგრაცია), ისე ინგლისელი იმპერიალისტები და მათი ანტისაბჭოთა მოკავშირენი, აგრეთვე სხვა ქვეყნების ზოგიერთი კაპიტალისტური წრეები, რომელთაც ეშინიათ, რომ ამერიკა-საბჭოთა კავშირ შორის ურთიერთობის გაფართოება მათ ეკონომიურ ინტერესებს ზიანს მიაყენებს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ანტისაბჭოთა კამპანია მიმართულია არა მარტო ჩვენი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, არამედ არა ნაკლებ თვით ამერიკის წინააღმდეგ.

და გასაგებია, რომ ამერიკაში, ყალბი საბჭოთა დოკუმენტების გამოაშკარავების შემდეგ, ძლიერდება მოძრაობა ჩვენთან ურთიერთობის განსავითარებლად და საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. სენატორი ბორა, რომლის მორალური ავტორიტეტი უდავოდ განმტკიცა ორლოვის და კომპანიის მხილებამ, აცხადებს, რომ გუვერის საგარეო პოლიტიკა, რომელიც საგარეო ვაჭრობის გაფართოებას ემყარება, აუცილებლად გამოიწვევს საბჭოთა კავშირის ცნობას ახლო მომავალში. მან დასძინა: „საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა უნაყოფო იქნება, თუ იგი ანგარიშში არ გაუწევს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე მოსახლე 160 მილიონიან კაცს“. ბორა სენატის საგარეო საქმეთა თავმჯდომარეა, ამასთან ის გუვერის საგარეო პოლიტიკის მომხრედ ითვლება, და ამიტომ მის განცხადებას განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება. საყურადღებოა აგრეთვე ცნობილ ამერიკელ ეკონომისტის ჯონსონის (რომელიც ამას წინედ იყო საბჭოთა კავშირში) გამოსვლა. იგი სწერს: „მსოფლიო სამეურნეო მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს ორივე ქვეყნის ურთიერთობის განახლებას. ჩვენ გვჭირდება უცხოეთის ფართე გამსაღებელი ბაზრები. საბჭოთა კავშირი შეიძლება გადაიქცეს უდიდეს ბაზრად მათ შორის“. ჯონსონი, აღნიშნავს რა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა პროვოკაციის უსაფუძვლობას, მოითხოვს, რათა შეერთებულმა შტატებმა იკისრონ საბჭოთა კავშირის და შეერთ. შტატების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის თაოსნობა ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხის განსახილველად.

ყველაფერი ეს საგულისხმოა. ამერიკა სულ უფრო ინტერესდება ჩვენთან დამოკიდებულების განვითარებით.

ამას უკარნახებს მას სამრეწველო პროდუქციის გამსაღებელ და თავისუფალ თანხების მოსათავსებელ ბაზრების გამოძებნის აუცილებლობა. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ხელშეკრულება უდიდეს „ჯენერალ ელექტრიკ კომპანი“-სთან ჩვენთვის მნიშვნელოვანი რაოდენობის კრედიტის გახსნის შესახებ, ახალი ხელშეკრულება მასთანვე ტექნიკურ დახმარების აღმოჩენაზე და მთელი რიგი სხვა გარიგებანი ამერიკულ ფირმებთან.

მაგრამ ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას და მის უფრო გაფართოებას მეტად უშლის ხელს ის გარემოება, რომ მხარეთა შორის პოლიტიკური დამოკიდებულება არ არის მოწესრიგებული. აქედან—ამერიკაში ძლიერდება მოძრაობა ჩვენი დიპლომატიური ცნობის სასარგებლოდ. ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის ნორმალურ ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობის დამყარება აგრეთვე უნდა დააჩქაროს ერთის მხრივ იმ ნაბიჯებმა, რომლებსაც სხვა კაპიტალისტური ქვეყნები სდგამენ ჩვენთან დაახლოებისათვის, მეორე მხრივ ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობამ, რომელიც კი არ ნელდება, არამედ უფრო იზრდება.

რა თქმა უნდა, ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას ჯერ კიდევ მრავალი სერიოზული დაბრკოლება ელობება წინ. მაგრამ ამ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ამას მოითხოვენ, რასაც გუვერის მთავრობა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება ანგარიში გაუწიოს. ამ მხრივ, სხვათა შორის, დამახასიათებელია, რომ მის მთავრობაში უკვე აღარ შედის კელოგი (ყოფ. საგარეო საქმეთა მინისტრი), რომელიც საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგეა.

⁂

ამ მოძრაობამ საბჭოთა კავშირთან დაახლოებისათვის, რომელსაც უკანასკნელ დროს ადგილი აქვს ევროპასა და ამერიკაში, ერთი წუთითაც არ უნდა შეანელოს ჩვენი სიფხიზლე ომის საფრთხისადმი. ამ მოძრაობის გვერდით ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ იმპერიალისტები აგრძელებენ მზადებას საბჭოთა კავშირზე გამოლაშქრებისათვის.

ამ მხრივ კერძოდ ყურადღებას იქცევს პოლონეთ-რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულება და გენერალ ლერონის მოხსენება (ასევე საიდუმლო) საფრანგეთის შტაბისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი შეუერთდა კელოგის პაქტს ომის აკრძალვის შესახებ, ის რუმინეთთან 1928 წლის ოქტომბერში სდებს სამხედრო ხელშეკრულებას, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. ამის შემდეგ რუმინეთიც შეუერთდა ამ პაქტს, და ორივემ ერთად ხელი მოაწერა მოსკოვის ოქმს, მაგრამ ხსენებული ხელშეკრულება ისევ ძალაში დარჩა. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენს დებულებას, რომ სხვადასხვა სამშვიდობო აქტები იმპერიალისტებს ესაჭიროებათ თავის აგრესიულ ზრახვების დასაფარავად და რომ ასეთი აქტები ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად იქცევიან, როცა იმპერიალისტები რომელიმე მომენტს ხელსაყრელად მიიჩნევენ ამ ზრახვების გასატარებლად.

პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება, რომელიც უეჭველია, ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელობითაა დადებული, გულისხმობს მათ გაერთიანებულ გამოსვლას საბჭოთა უკრაინის „განთავისუფლებლად“, ე. ი. მის დასაპყრობად, და საერთოდ, საბჭოთა კავშირის დასამსხვრევლად. რა თქმა უნდა, საქმის ვითარება ოდნავადაც ვერ შესცვლის თუ პოლონეთის და რუმინეთის მთავრობები განაცხადებენ, რომ მათი ხელშეკრულება თითქო „თავდაცვითი“ ხასიათისა იყოს. ხელშეკრულების თანახმად, „საშიშროების“ დროს მათ გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა დაუყონებლივ უნდა დაიწყონ შეტევა საბჭოთა კავშირზე. მაგრამ განა განმარტება უნდა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას ატარებს, არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებისათვის, მათ შორის პოლონეთის და რუმინეთისათვის. ეს თვითონ მათ მშვენივრად იციან. პირიქით, ცნობილია, რომ როგორც პოლონეთი და რუმინეთი, ისე სხვა ქვეყნების ავანტიურისტები ამზადებენ ომს ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ იმპერიალისტებს რად უღირთ განაცხადონ, რომ საბჭოთა კავშირი ქმნის მათთვის საშიშროებას და თავისი გამოლაშქრება ჩვენს ქვეყანაზე „თავდაცვითი“ ომად მონათლონ.

ამ მიმართულებით ისინი, როგორც აღვნიშნეთ, განაგრძობენ მზადებას. აიღეთ, მაგ., ლერონის ხსენებული მოხსენება. მას საფრანგეთის გენშტაბის სპეციალური დავალებით შეუსწავლია პოლონეთის არმიის ბრძოლის უნარიანობა. ის ჩივის, რომ ეს უნარიანობა ძალიან დაბალია, რომ პოლონეთის ჯარი ვერ გაუმკლავდება საბჭოთა წითელ ლაშქარს და მოითხოვს პოლონეთის არმიის რეორგანიზაციას, მისი ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების მიზნით. ამნაირად, საფრანგეთი (ინგლისთან ერთად) ცდილობს პოლონეთის (და სხვა ხელქვეით ქვეყნების) სამხედრო გაძლიერებას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ლერონი „ვერ ამჩნევს“, თუ რაში მდგომარეობს, ერთი მხრით, ჩვენი მუშურ-გლეხურ არმიის სიძლიერის, ხოლო მეორე მხრით პოლონეთის და სხვა იმპერიალისტურ ჯარების სისუსტის საიდუმლოება. ჩვენი არმია პროლეტარულ-კლასობრივ შეგნების და ნებისყოფის მატარებელი ძალაა, რომელმაც იცის, რომ მოწოდებულია მშრომელთა ინტერესების დასაცავად მსოფლიო ყაჩაღების თავდასხმისგან და მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობის უზრუნველსაყოფად. ის მჭიდროდაა დაკავშირებული მთელ მშრომელ მოსახლეობასთან, რომელიც მას აქტიურად უმაგრებს ზურგს. ყველაფერი ეს განსაზღვრავს მის მაღალ ბრძოლის უნარიანობას და რკინისებურ დისციპლინას, რაც არა ერთხელ განუცდიათ თავის ზურგზე იმპერიალისტების ურდოებს საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად წარმოებულ ომების დროს.

იმპერიალისტური ჯარები კი? ისინი მშრომელთა დამონების იარაღს წარმოადგენენ. ამას სულ უფრო იგნებს მათი მუშურ-გლეხური შემადგენლობა, რომელშიც კლასობრივი შეგნება ძლიერდება. ამიტომაა, რომ იმპერიალისტური მთავრობები უნდობლად უყურებენ თავისავე ჯარებს. ისინი საფუძვლიანად შიშობენ, რომ ეს ჯარები მათ ნაკლებად გამოადგებათ პროლეტარულ დიქტატურის დამხობის საქმეში. ამ მხრივ მათ გაკვეთილიც აქვთ მიღებული (მაგ., აჯანყება საფრანგეთის ფლოტში 1919 წ.), ამავე დროს მშრომელი მასები ამხედრებული არიან როგორც ექსპლოატატორულ კლასების, ისე მათი ჯარების წინააღმდეგ.

და ამაოდ ცდილობენ ლერონები ასწიონ ბურჟუაზიულ არმიების ბრძოლის უნარიანობა საბჭოთა კავშირთან ომის მიზნით. ადვილად შესაძლებელია, რომ ამ არმიებმა, თუ ისინი გამოყენებულ იქნენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოზე თავდასხმისათვის, იარაღი თავის მთავრობის წინააღმდეგ შეაბრუნონ. ამასთან, პოლონეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები, ცხადია, ვერავის დაარწმუნებენ, რომ ისინი „თავს იცავენ“ საბჭოთა კავშირისაგან. მათი მტაცებლური ზრახვები, ერთის მხრით, და საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობის მოყვარეობა—მეორე მხრით — მშრომელ მასებისათვის უცნობი არ არის.

მაგრამ როგორადაც არ უნდა იყოს, პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულება და ლერონის მოხსენება ჩვენ ზედმეტჯერ გვეუბნებიან ომის საფრთხეზე, რომელსაც იმპერიალისტები ჩვენს წინააღმდეგ ამზადებენ. იმპერიალისტების და მათი დამქაშ სოციალ-დემოკრატების შეუბრალებელი მხილება, მათი პაციფისტური ლაყბობის სიცრუის გამოაშკარავება, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით—საერთაშორისო მუშათა კლასის მობილიზაცია ომის საშიშროებასთან საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის შემდგომი გაძლიერება—ასეთი არის და იქნება ჩვენი პასუხი იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ზრახვებზე.

⁂

ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიაზე, სხვათა შორის, ირჩეოდა საკითხი იმ სახელმწიფოსათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ, რომელსაც თავს დაესხმიან. სათანადო პროექტი ამ რამოდენიმე წლის წინედ წარადგინა ფინეთის მთავრობამ, და იგი დროგამოშვებით ხდებოდა ერთა ლიგის საბჭოს მსჯელობის საგნად, მაგრამ რაიმე გარკვეული დადგენილება ამაზე ჟენევის საკრებულოს უკანასკნელ დრომდე არ გამოუტანია. ეხლა კი „პრინციპიალურად“ მოიწონა მან ეს წინადადება, რომლის საბოლოო მიღება განზრახულია ლიგის საბჭოს სექტემბრის სესიაზე.

ამავე დროს სესიამ, ბრიანის და ჩემბერლენის წინადადების თანახმად, გადასწყვიტა, რომ, ლიგის საბჭოს მიერ ხსენებულ პროექტის მიღების შემდეგ, ეცნობოს იგი იმ სახელმწიფოებს, რომელნიც ლიგაში არ შედიან, რომ მათაც შეუერთდნენ ამ პროექტს. აქ მხედველობაში ყავთ ჩრდილოეთ-ამერიკა, რომლის ფინანსიური რესურსები ინგლისს და ამერიკას სურთ გამოიყენონ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც თავდამსხმელ მხარედ იქნება გამოცხადებული. სხვათა შორის, რომ ამერიკა დაიყოლიონ პროექტში მონაწილეობაზე, მას კელოგის პაქტის ფინანსიურ დამატებად ასაღებენ.

ჩვენთვის ნათელია, თუ ვის წინააღმდეგაა უმთავრესად მიმართული მთელი ეს კომბინაცია. პირველ ყოვლისა საფუძვლიან ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ აღნიშნული პროექტი წამოაყენა ფინეთის მთავრობამ, რომელიც მოსკოვის ოქმსაც კი არ უერთდება. ცხადია, რომ ფინეთს თავდასხმით არავინ ემუქრება, და თუ ის მაინც ფინანსიურ დახმარებას მოითხოვს „თავდამსხმელის“ „მოსაგერიებლად“, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ფინეთის მესვეურები თვითონ ატარებენ აგრესიულ ზრახვებს, რომელნიც, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. ერთ დროს ისეთი აზრიც იყო წამოყენებული, რომ თავდამსხმელ მხარედ ის სახელმწიფო ჩაეთვალათ, რომელიც ერთა ლიგაში არ შედის. თუმცა ეს დებულება შემდეგ უარყვეს, რადგან მეტად აშკარა იყო მისი ანტისაბჭოთა ხასიათი, მაგრამ ამით არსებითად სრულებით არ იცვლება მდგომარეობა. განა მტკიცება უნდა, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო საბჭოთა კავშირს ომს აუტეხს, ერთა ლიგა არ დააყოვნებს თავდამსხმელად ჩვენ გამოგვაცხადოს. ამგვარად, ფინეთის პროექტის მიღება არის ომის წაქეზება ჩვენი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. და ამაოდ ცდილობენ იმპერიალისტები ეს პროექტი სამშვიდობო ღონისძიებად მონათლონ.

რა პრაქტიკული შედეგი შეიძლება მოყვეს ამ ნაბიჯს? უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკა უარს იტყვის პროექტში მონაწილეობის მიღებაზე. ეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას არ უნდა ამ შემთხვევაში ევროპის მიმართ რაიმე ფინანსიური ვალდებულებები იკისროს, შემდეგ იმიტომ, რომ პროექტი თვით ამერიკის წინააღმდეგაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას. უეჭველია, რომ ინგლისშიც, რომელიც დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, გამოიწვევს უკმაყოფილებას თანხმობა სხვა ქვეყნის ომის საჭიროებისათვის ფინანსების გაღებაზე, რასაც პროექტი გულისხმობს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ფინეთის წინადადება და ერთა ლიგის საბჭოს მიერ მისი გაზიარება, როგორც ვსთქვით, კი არ ამცირებს ომის საფრთხეს, არამედ უფრო აძლიერებს მას.

⁂

ჟენევაში შეკრებილი მინისტრები საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ საკითხებს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, არჩევდნენ არა ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე, არამედ მის გარეშე, საიდუმლო მოლაპარაკების გზით.

ერთი ასეთი საკითხთაგანი განიარაღებაა. ამ მოკლე ხანში გაიხსნება განიარაღების მომამზადებელ კომისიის მეექვსე სესია. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით, ამ სესიაზე განსახილველად უნდა დაისვას ჩვენი წინადადება ნაწილობრივი განიარაღების შესახებ (როგორც ვიცით, სრული განიარაღების საბჭოთა პროექტი უარყოფილ იქნა). იმპერიალისტები იმ თავითვე ყოველნაირად ცდილობენ, რომ გააჭიანურონ საბჭოთა წინადადების დასმა და საჯარო განხილვა. ამ მიზნით ისინი აგვიანებდნენ მოსამზადებელ კომისიის მოწვევასაც. მაგრამ ისინი, ჩვენი დაჟინებითი მოთხოვნის გამო და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, ბოლოს იძულებული შეიქნენ დათანხმებულიყვნენ ამ კომისიის სესიის მოწვევაზე (15 აპრილისათვის) და საბჭოთა პროექტის დასმაზე მის დღის წესრიგში.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს მათი პოზიციის შეცვლას ამ საკითხში. მინისტრები ჟენევაში იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ როგორ აეცილებიათ თავიდან ჩვენი წინადადების განხილვა, ისე რომ მშვიდობისმოყვარეთა სახელი შეინარჩუნონ. მაგრამ ვერავითარი ხრიკებით ვერ მოახერხებენ ისინი თავის იმპერიალისტურ ზრახვების დამალვას, იმის დაფარვას, რომ ისინი განიარაღების საბოტაჟს ეწევიან და, პირიქით, სულ უფრო იარაღდებიან. კელოგის პაქტისა და მოსკოვის ოქმის შემდეგ ეს უფრო აშკარა გახდება ფართე მასებისათვის.

იმპერიალისტების პაციფისტური თვალთმაქცობა, ცხადია, მშრომელ მასების თვალში ვერ მიჩქმალავს მათი შეიარაღების ფაქტს. ამერიკა, კელოგის პაქტის ინიციატორი, შეუდგა სამხედრო მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამის მშენებლობას (აგებს ახალ 15 კრეისერს). ინგლისი თავის მხრივ აშენებს ახალ სამხედრო გემებს და ადიდებს სამხედრო ბიუჯეტს. ასევე იქცევიან საფრანგეთი და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები. ერთი მხრივ იზრდება წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, მეორე მხრივ წარმოებს მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს პირველ ყოვლისა გამოხატულებას პოულობს კაპიტალისტურ ქვეყნების სამხედრო მშენებლობის გამალებულ გაძლიერებაში.

საბჭოთა დელეგაციას განიარაღების მომამზადებელ კომისიის მომავალ სესიაზე ერთხელ კიდევ მიეცემა შესაძლებლობა საქვეყნოდ ამხილოს ასეთი მდგომარეობა და ომის მოახლოებული საფრთხეზე მიუთითოს მშრომელ კაცობრიობას.

⁂

შეიარაღებასა და საერთაშორისო დამოკიდებულებათა გამწვავებას, ბუნებრივია, კაპიტალისტურ ქვეყნებში თან სდევს მუშათა კლასზე ეკონომიურ და პოლიტიკურ შეტევის გაძლიერება. იმპერიალისტები ყოველ ზომას ღებულობენ, რომ ჩაახშონ რევოლიუციონური მოძრაობა, რათა ომის შემთხვევაში ზურგი გამაგრებული ექონიონ.

ეს ცდა მეტ-ნაკლებობით ყველგან ღებულობს ძალა-უფლების ფაშიზაციის ფორმას. მუშების კლასობრივ ბრძოლასთან ერთად ძლიერდება ფაშისტური მოძრაობაც. ფაშისტური ორგანიზაციები სულ მეტ თავხედობას იჩენენ. ბურჟუაზიის მიერ ბატონობის შესანარჩუნებლად უკვე სრულებით არ არის საკმარისი პარლამენტარული რეჟიმი, და ის ფაშისტური დიქტატურისაკენ მიილტვის. ყველგან გეზი აქვთ აღებული იტალიის მაგალითის გადმონერგვისაკენ თავიანთ ქვეყნებში. „მაგარი ხელისუფლების“ ლოზუნგი გერმანიაში, პილსუდსკის ბრძოლა სეიმთან, ბრძოლა პარლამენტის პრეროგატივების შეზღუდვისა და პრეზიდენტის უფლებათა გაფართოებისათვის როგორც პოლონეთსა და გერმანიაში, ისე სხვაგან — პირველი საფეხურებია ფაშიზმის გზაზე.

აღსანიშნავი აქ ის არის, რომ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია თანდათან აშკარად გადადის ფაშიზმის მხარეზე. მემარცხენე გერმანული გაზეთი „ველტ ამ აბენდ“ სამართლიანად აცხადებს, რომ „გერმანიაში ფაშიზმი, ემყარება რა სოციალ-დემოკრატიას, შეტევაზე გადადის“. ამას მოწმობს თუ გინდ ბერლინის სოციალ-დემოკრატ პოლიცეი-პრეზიდენტის ცერგიბელის მიერ ანტიფაშისტურ დემონსტრაციის აკრძალვა და რეპრესიულ ზომების მიღება ამ დემონსტრაციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიის ასეთ მოქმედებაში არაფერია გასაკვირი. მან დიდი ხანია თავისი ბედი ბურჟუაზიულ წყობილებას დაუკავშირა, ხოლო რაკი ბურჟუაზია თავის ხსნას რევოლიუციისგან ფაშიზმში ხედავს, საერთაშორისო მენშევიზმის დროშად ფაშიზმი ხდება.

ბერლინში ამას წინედ შემდგარ საერთაშორისო ანტიფაშისტურ კონგრესზე ნათლად გამოირკვა როგორც ფაშიზმის ზრდა, ისე სოციალ-დემოკრატიის სამარცხვინო როლი მის დახმარების საქმეში, და ფაშისტური მეთოდებით, ფაშისტურ ორგანიზაციებსა და პოზიციასთან ერთად, მისი ბრძოლა რევოლიუციონურ მოძრაობასთან და კომუნიზმთან. უდავოა, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთი გამომჟღავნება და ფაშიზმის საფრთხე დააჩქარებს მუშათა მასების დარაზმვას კომპარტიების გარშემო.

გ. კ—ლი.

ჭიათურა

მტკივნეული საკითხი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის სამრეწველო რაიონში მუშაობს 30-მდე ქარხანა, სადაც ირეცხება მაღაროებიდან ამოღებული შავი ქვის მადანი.

ეს ქარხნები გაფანტულნი არიან საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე და ამასთანავე დაშორებულნი არიან რკინის გზის სადგურიდან, სადაც სწარმოებს მადანის დატვირთვა და ვაგონების გამზადება ფოთში გასაგზავნად.

მადანი ქარხნებიდან რკინის გზამდე გადააქვთ ურმებით.

ჭიათურაში მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით, შავი ქვის ტრესტს დასჭირდა ურმების დიდი რაოდენობა. ყოველდღიურათ საჭირო იყო ათასამდე ურემი, რომ ტრესტს შესრულებინა თავისი საექსპორტო გეგმა.

შავი ქვის ტრესტი თავიდანვე ჩავარდა ცუდ მდგომარეობაში ურმების სიმცირის გამო. ათასი ურემის მაგივრად მუშაობდა 100—200 ურემი. იყო ისეთი თვეებიც, როდესაც ურმების რიცხვი ძლივს აღწევდა 50-ს.

ურმების სიმცირის გამო ფერხდებოდა მადნის გადაზიდვა ქარხნებიდან და ვაგონების დატვირთვა, რაც, თავისი მხრივ, ახდენდა უარყოფით გავლენას მარგანეცის გაზიდვაზე საზღვარგარეთ.

შავი ქვის ტრესტმა მიმართა მრავალგვარ ზომებს, რომ უზრუნველეყო ჭიათურა ურმების სათანადო რიცხვით, მაგრამ ამ ზომებმა ვერ გამოიღო სათანადო ნაყოფი.

მეურნეებისათვის აგებულია განსაკუთრებული ბინები საქონლის მოსათავსებლად. ჭიათურა მომარაგებულია ბზის, თივის და სიმინდის საკმაო რაოდენობით. ჭიათურის კოოპერატივს მიეცა 30.000 მანეთი ფურაჟის დასამზადებლად. მოწყობილია აგრეთვე ბინები ჩამოსულ მეურმეებისათვის.

ურმების სიმცირე ჭიათურაში გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, ზამთრის სიცივეებით. ზამთრობით ძნელი ხდება ურმების მუშაობა აქაურ გზებზე, საქონელი მალე იღლება გაყინულ გზებზე და მეურნეებიც ერიდებიან ზამთრობით მუშაობას.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჭიათურის რაიონის მოსახლეობის დიდი რაოდენობა ჩაბმულია მაღაროებში. ის ოთხი ათასი კაცი, რომელიც დღეს მუშაობს ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში, არის ჭიათურის და ახლო-მახლო რაიონების მოსახლე. გასულ წლებში ეს მოსახლეობა აწვდიდა ჭიათურას ურმებს, დღეს კი ბევრი მეურმე მუშაობს ქარხანა-მაღაროებში და ამიტომ ჭიათურის რაიონს ვეღარ გამოჰყავს სამუშაოდ ურმები.

შავი ქვის ტრესტმა დროზე ვერ გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და დაგვიანებით შეუდგა მეურმეების ძებნას ჭიათურის გარეშე. საჭირო იყო ზომების დროულათ მიღება და მეურმეების სათანადო მტკიცე კადრის შექმნა.

ამჟამად ტრესტი ისევ განიცდის ურმების ნაკლებობას. დღეს ჭიათურაში მუშაობს 400 ურემი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ტრესტის მოთხოვნილებას. ადგილობრივ მეურმეების გარდა, მოწვეული არიან მეურმეები გორის მაზრიდანაც. მიღებულია ცნობები, რომ მოკლე ხანში გორის მაზრიდან ჩამოვა 20 ურემი.

როგორც იყო ნათქვამი, ჩამოსულ მეურმეებისათვის ჭიათურაში არსებობს საუკეთესო პირობები ბინის და ხელფასის მხრივ.

ჩამოსული მეურმეები უზრუნველყოფილ იქნებიან ბინებით, თავლებით და საქონლისათვის იაფი საკვებით.

ჭიათურაში უკვე დაიჭირა თბილი ამინდი, რაც საგრძნობლად გაზრდის ურმების რიცხვს.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა
14 მარტი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, ჭიათურის განყოფილებაში წერილში „რატომ ეცემა შრომის ნაყოფიერება“ გაიპარა შეცდომა.

მეორე აბზაცში ქვევიდან სწერია: კულაკები თავისი წრეებით აწარმოებდნენ განყენებულ მუშაობას... და სხვა; უნდა იყოს: კლუბები თავისი წრეებით.. და სხვა.

საჩუქარი და მადლობა წითელარმიელებს

ა.-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველომ მდინარე რიონისა და მტკვრის ფსკერის გასასუფთავებელ სამუშაოების შესასრულებლად სამხედრო უწყებას სთხოვა მესანგრე წითელარმიელთა სპეციალური ნაწილის გამოყოფა.

სამხედრო უწყებამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა.

მდინარე რიონზე და მტკვარზე ეხლაც აწარმოებენ მუშაობას კავკასიის ცხენოსან ბრიგადის მესანგრე-წითელარმიელები. მათ მიერ ჩატარებულია დიდი მუშაობა მდინარეებიდან ხის კუნძების, დაძირულ ნავების (მტკვარში) და გადაბრუნებულ წყალსაქაჩავების ამოსაღებად.

ამ საქმის კეთილსინდისიერად და წარმატებით შესრულებისათვის, ამ.-კავკ. ნავთსადგურების და შინაწყლებზე მიმოსვლის სამმართველომ მესანგრე წითელარმიელებს და მათ მეთაურებს გამოუცხადა ულრმესი მადლობა და საჩუქრის სახით ყაზარმაში დაუდგა რადიო.

სტუდენტ-აგრონომების გაგზავნა მაზრებში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი მაზრებში აგზავნის უკანასკნელი კურსის 100 სტუდენტს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ ლაშქრობაში მოსავლიანობის გასადიდებლად.

გარდა ამისა აგრონომიული ფაკულტეტი გამოყოფს სტუდენტების კადრს, რომლებიც მიმაგრებული იქნებიან კოლმეურნეობათა ცენტრსა და აგრო-პუნქტებზე.

აგრონომიული ფაკულტეტი თავის-თავზე ღებულობს დახმარების გაწევას თბილისის ახლობელი სოფლებისათვის სასოფლო-სამეურნეო დარგში.

ქუთაისი

რიონჰესის მშენებლობა

ქუთაისი, 15 მარტი. მუშაობა რიონჰესის აგებაზე გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. ამჟამად მიწის და კლდის სამუშაოები საგუბარის მარჯვენა ნახევარზე მთლად დამთავრებულია. მთავრდება ჯებირის ბეტონით წყობა, სულ შესრულებულია 5.1000 კუბ. მეტრი ბეტონის სამუშაო. აგრეთვე მთავრდება საგუბრის გრანიტით შემოგება—სულ შესრულებულია 620 კვ. მეტრი. ამავე დროს სწარმოებს ფარის დასამაგრებელი ნაწილების დადგმა.

მუშაობის საერთო მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ რიონის მოსალოდნელი ადიდება არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს მშენებლობისათვის. ახლო მომავალში დამთავრდება ჯებირების აგება საგუბარის მარცხენა ნაწილზე.

პირველ გვირაბში მუშაობა სწარმოებს ორივე მხრიდან. სულ გავლილია 500 მეტრი.

მეორე გვირაბში მუშაობა ადგილობრივი პირობების გამო სწარმოებს მხოლოდ ერთი მხრიდან. გავლილია დაახლოებით 100 მეტრი.

სადერივაციო არხზე მუშაობის დაწყებიდან სულ ამოღებულია დაახლოებით 110.000 კუბ. მეტრი მიწა. (ადს).

ქუთაისის წყალსადენი

ქუთაისი, 15 მარტი. სამშენებლო სეზონის დაწყების გამო, საგრძნობლად გაფართოვდა მუშაობა ქუთაისის წყალსადენის აგებაზე.

ახალი აუზისა და დასაწმენდების აგება, რაც გასული წლის აპრილში დაიწყო, მთავრდება. ამ დღეებში დაიწყება წყალსაქაჩავის და წყალმიმღების აგება, აგრეთვე მიმღები ხილსადენისა და მჭირხნავი მილის მოწყობა.

მიმდინარე წელს სამუშაოებისათვის გადადებულია 450.000 მანეთი.

წყალსადენის აგება დამთავრდება 1931 წლის პირველ ნახევარში. წყალსადენი დღე-ღამეში მოაწოდებს ქალაქს 300.000 ვედრო წყალს. (ადს).

სახლის ჩამონგრევა

გუშინ, დილით, მოედნის შესახვევში ჩამოინგრა ორ-სართულიანი სახლი № 10. სახლი ისე მოულოდნელად დაინგრა, რომ მდგმურების ერთმა ნაწილმა ვერ მოასწრო სახლიდან გამოსვლა.

სახლის ორი ზემო სართული ჩაინგრა სარდაფში.

ნანგრევების ქვეშ მოჰყვა სამი მდგმური—ასტხიკ სისოიანცი, მანუშაკ სტეპანიანცი და ოჩიკ ჩახმახიანცი.

სისიანცი და სტეპანიანცი იქვე გარდაიცვალენ. მათ გაჭყლეტილი ჰქონდათ თავი. ჩახმახიანცი მძიმედ დაშავდა. მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

კატასტროფის ადგილზე გამოცხადდნენ ქალაქის აღმასკომის, სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები.

დაღუპულთა გვამები ნანგრევებიდან ამოიღეს სახანძრო რაზმის თანამშრომლებმა.

როდესაც სახლის დარჩენილ ნაწილს შლიდნენ, მძიმედ დაიჭრა სახანძრო რაზმის თანამშრომელი ი. ბოგდანოვი და მსუბუქად აივაზოვი.

დანგრეულ სახლში ცხოვრობდა 15 მდგმური.

როგორც გამოირკვა, ეს სახლი აშენებულია რამდენიმე ათეული წლის წინად. აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ სახლის დათვალიერების შემდეგ სცნო, რომ მასში ცხოვრება საშიში იყო. მდგმურებს წინადადება ჰქონდათ მიცემული სახლი გაენთავისუფლებიათ.

ქრონიკა

სას.-სამ. კოოპერაციის ხელმძღვანელი ორგანოების გადარჩევა

ჩვენი თანამშრომლის მიერ „სოფლის კავშირში“ მიღებული ცნობით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოების გადარჩევის კამპანია დაიწყება 20 მარტიდან. გადარჩევის კამპანიის დაწყების წინ შესდგება სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები.

შეთანხმება სახელგამსა და პოლიტგანათლების მთავარ-მმართველობას შორის

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად საქ. პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ „სახელგამთან“ დასდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად პოლიტგანის ყველა სამაზრო ორგანოები მათ გამგებლობაში მყოფ ყველა ბიბლიოთეკისა და სამკითხველოებისათვის საჭირო ლიტერატურას მხოლოდ სახელგამიდან შეიძენენ.

სახელგამი ვალდებულია პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის მითითების მიხედვით მიაწოდოს ქალაქის და მაზრის ყველა ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს ყველა თავისი ახალი გამოცემანი. სახელგამმა სამკითხველოებისათვის დასაგზავნი წიგნები უნდა გამოსცეს ყდით.

1.000 მანეთიანი მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორას გუშინ წარუდგინეს 1926 წლის უპროცენტო სესხის ობლიგაცია № 47 სერია 2849, რომელსაც აღნიშნული სესხის მეათე ტირაჟში ხვდა ათას მანეთიანი მოგება.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტყეების გაშენება.** სატყეო კულტურის სექცია წელს შეუდგება მცენარეების დარგვას თბილისის მახლობელ უბნებში. პირველ რიგში ნერგებით შეიმოსება მთაწმინდის მიდამოები.

◆ **ქვაფენილების შეკეთება.** თბილისის ქუჩებში ქვაფენილების შესაკეთებლათ შემოდგომამდე დაიხარჯება 30.000 მანეთი.

◆ **თბილისის მაზრის კურორტები.** თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სექცია შეუდგა სამზადისს თბილისის მაზრის კურორტებზე ბინების შესაკეთებლათ.

ს. მ. უ. საბჭოში

◆ **ფეხსაცმელების ქარხანა.** ტყავის მრეწველობის ტრესტს დაევალა შეუდგეს თბილისში ახალი ფეხსაცმელების ქარხნის პროექტის დამუშავებას. ქარხანაში შემოღებული იქნება მექანიზაცია.

◆ **ხელოვნური სასუქების ქარხანა.** ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმთან გამოყოფილია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ხელოვნური სასუქების ქარხნის პროექტის დამუშავება. ქარხნის აგების დაწყება გადაწყვეტილია მომავალი საბიუჯეტო წლიდან.

სხვადასხვა

◆ **ჩაის ახალი პლანტაციები.** საზ-ბა „საქართველოს ჩაის“ ცნობით, წელს დასავლეთ საქართველოში გაშენებული იქნება ჩაის ახალი პლანტაციები 525 ჰექტარზე.

◆ **გლეხკომების კონფერენცია.** გლეხკომების წარმომადგენელთა კონფერენცია მოწვეულია თბილისში აპრილის პირველ რიცხვებში.

◆ **მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა.** განათლების კომისარიატი შეუდგა მოწაფეთა სოციალური შემადგენლობის გამოკვლევას.

◆ **სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოების** და გლეხკომების რესპუბლიკანური თათბირი გადადებულია უახლოეს დროისათვის.

◆ პურის წიგნაკების შემომწმები ცენტრალური კომისია მუშაობას აწარმოებს კვირაუქმე დღეებშიაც დილის 10 საათიდან, საღამოს ათ საათამდე.

◆ ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე (საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში, ფურცელაძის ქ., № 1), სამშაბათს, 19 მარტს, საღამოს 7 საათზე; პროფ. აკ. შანიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ხანმეტი იერემიის კემბრიჯული ნაწყვეტები“. შესვლა თავისუფალია.

◆ დღეს, საღამოს 7 ნახ. საათზე მკურნალ-სტუდენტთა სამეცნიერო წრეში (სოც. ჰიგიენის ინსტიტუტში) ფ. სიჭინავა გააკეთებს მოხსენებას: „თამბაქო და მისი მავნებლობა“.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—ლორიას, ბაქოდან—აივაზოვას.

„დროშა“ № 5

გამოვიდა და იყიდება ყველგან „დროშა“ № 5. შინაარსი: დამსწრე—საქ. მუშ-გლეხკორთა პირველ თათბირზე, ჯ. ფაინბერგი—კომინტერნის 10 წ. თავი, ე. მ.—პარიზის კომუნა, გ. ქუჩიშვილი—კომუნისტების ანდერძი (ლექსი), ამიერ-კავკასიის ფედერაციის 7 წ. თავი, გენს ლორბეერ—ახალგაზრდა დედა (მოთხრობა), საბჭოთა აჭარისტანის 8 წლის თავზე, სურათი—ოვანეს თუმანიანი, წითელ-არმიელები სტუმრად მუშებთან, გ. ჩიტაია—საქ. მუზეუმის იშვიათი კოლექცია, ამხ. ი. სვერდლოვი, იაკობ მანსვეტაშვილი—1881 წლის 1-ლი (14) მარტის ამბების გარშემო, ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 60 წ. თავი, თვითმპყრობელობის დამხობის 12 წ. თავი, ალ. კოგანი—საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმება, „ქრისტეს მოადგილე“ და ფაშიზმი, ჩვენი ფოტო-ქრონიკა, იუმორი. ჟურნალში მოთავსებულია ოთხმოცზე მეტი სურათი. ფასი—15 კაპ.

„ტეხნიკა და ცხოვრება“

გამოვიდა ჟურნალი „ტეხნიკა და ცხოვრება“ № 1—2. შინაარსი: მეთაური—8 წლის თავი, ბ-ი—საქართველოს ელექტროფიკაცია გასაბჭოების 8 წ. თავზე, ინჟ. ბ. ჭიჭინაძე—საქართველოს ჰიდრო-სადგურთა სასეზონო ენერგიის გამოყენების პერსპექტივები, ინჟ. ა. გულისაშვილი—რკინის ცემენტაცია, ინჟ. ი. ყიფშიძე—გეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, ინჟ. კომპანიონი—გლაუკონიტების ბუდობი ჩვენში, ინჟ. ვ. კაკაბაძე—ენერგიის სხვადასხვა წყაროები, ინჟ. მ. ანდრესენი—ტეხნიკის უახლესი მიღწევები ენერგეტიკის დარგში, ექ. ი. ხმალაძე—წარმოების სანიტარულ-ჰიგიენურ შესწავლისათვის, აგრ. კ. გაბიჩვაძე—ღვინის შეზავება ანუ შერევა, მიწის მომწყობი ნ. წიწივაძე—მიწადმოწყობა და ბინების მშენებლობა სოფლად, დ. მიქელაძე—ალპინიზმი და მისი პერსპექტივები საქართველოში, ვ. კ. — სრ. საქ. ინჟ. - ტეხნიკოსთა ყრილობის გამო და სხვ.

ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა“

გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა“-ს № 6. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი წერილები: მ. ცხაკაია—8 მარტი, დ. ქუჩულორია—სამაზრო აღმასკომების მომავალი არჩევნები, ა. რიჟამაძე—ქალაქის საბჭოების მუშაობის გაცხოველების გამო; შ. გომართელი—საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის, ვ. ფაშაკიძე—გლეხთა ურთიერთ დახმარება ჩვენში, ხ. თენიეშვილი—ქალთა საერთაშორისო დღე, დ. თოფურია—5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენისათვის სოციალ-კულტურულ დარგში, იოს. ვარძიელი—ადგილობრივი მრეწველობა თბილისში, იოს. ფორცხალავა—ბრძოლა ბიუროკრატიზმთან საბჭოთა დაწესებულებებში, ვ. მჭედლიშვილი სამაზრო გლეხთა სახლების შესახებ გ. ბაზოვი—ახალი ეპოქა მშრომელ ებრაელთა ცხოვრებაში და სხვა.

კინო

სახკინმრეწვი—„ღრუბლების თავშესაფარი“

სცენარი—სულაკაურის, რეჟ. შ. ბერიშვილი, ოპერატ. პოლიკევიჩი.

მთის მწვერვალებისაკენ მიემართებიან ნისლები. ეს მთები ღრუბლების თავშესაფარია. ასე იწყება მნიშვნელოვანი და სადღეისო ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება კოლექტივი ფშავეთის მთებში და როგორ ებრძვის იგი კერძო პირს.

მაყურებელი ხედავს თუშურ ყველის დამზადების პროცესს როგორც მანქანების, ისე მამაპაპური წესით. კერძო მესაკუთრე პრიმიტიული საშუალებით იბრძვის. მეცხვარე მოჯამაგირეებიდან შემდგარი კოლექტივი ადვილად ამარცხებს მას მანქანების გამოყენებით. მანქანების საშუალებით დამზადებული ყველის უპირატესობას დღითი-დღე გრძნობენ გაუბედავი და საშუალო შეძლების მეცხვარეებიც.

უყურებ ამ ამბავს და ფიქრობ, რა შუაში იყო აქ ღრუბლები? მაგრამ მალე ირკვევა. ჩნდება „სიყვარული“. კარგი „კულტურ-ფილმი“ იკარგება; მის ადგილს იჭერს „მხატვრული“ ფილმი, დამუშავებული ტრაფარეტული ხერხებით და პრიმიტიული გაგებით. ამ მხატვრულ „ავადმყოფობის“ შედეგია ეს მეტად რომანტიული სათაური.

დიდი იდეა: კოლექტიური წარმოების დაპირისპირება კერძო წარმოებასთან—გვერდზე რჩება. ამ თემის დამაჯერებელი კინო-ენით დამუშავება დიდ დაკვირვებას მოითხოვს. არ კმარა, რომ „კულაკი“ უთუოდ იყოს ბოროტი და ტრადიციის მომხრე, არც ის არის მთავარი, რომ კოლექტივის ნაწარმოები უეჭველად უფრო მაღლა უნდა იდგეს კერძო მესაკუთრისაზე.

თუ კერძო მესაკუთრე იმავე მანქანებს გამოიყენებს მაშინ? და ამ შეკითხვაზე სურათი სდუმს. ვერ იცავს კოლექტივს.

სურათი ახალი ყოფის სხვა მეტად მნიშვნელოვან საკითხებსაც ეხება (ქორწინების საკითხი), მაგრამ ამისათვის საჭიროა მთლიანი სიუჟეტი, დამაჯერებელი და რეალური ფაბულა და არა მისი „სხვათა შორის“ გამოტანა.

აღარ გავაგრძელებთ „ღრუბლების თავშესაფარის“ იდეოლოგიურ მნიშვნელობაზე საუბარს, მით უმეტეს, რომ სურათის ძირითად მხარეს შეადგენს მეორე ხარისხოვანი მასალა: „სიყვარული“ და „პეიზაჟი“.

მონტაჟი ზოგიერთ ადგილას ქმნის გაუგებრობას.

კარგი ოპერატორული მუშაობა, სუფთა ფოტო და მსახიობ თაყაიშვილის თამაში „დოყლაპის“ ნიღაბით, სურათისადმი ინტერესს აძლიერებს.

მიუხედავად აღნიშნულ ნაკლოვანებებისა, რაც უმთავრესად სცენარის სისუსტით აიხსნება, სურათი მაინც „გაყინულ წერტილის“ ადგილიდან დაძვრაა. ვფიქრობთ, ჩვენი კინოწარმოება მომავალში საგრძნობლად შეკვეცავს „მხატვრულ აღმაფრენას“, რაც აუცილებელია კულტურ-ფილმის ძირითად მასალის გასაშლელად.

ბ. ვ.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი

„ვერტერი“.—მუს. მასსენესი

ამ თხზულების იდეოლოგია სრულიად უცხოა ჩვენთვის, მით უმეტეს იმ ფორმებით, რომელნიც ჩამოყალიბებულია მასსენეს ოპერის ლიბრეტოში. მაგრამ ვერტერის ფაბულა ქმნის საშუალებას მუსიკოსის ნიჭის გაქანებისათვის, და მასსენემაც სავსებით ისარგებლა ამ გარემოებით. „ვერტერი“ ჩაითვლება მასსენეს საუკეთესო თხზულებად. იგი გამუსიკალებულია ისე, რომ სცენიური დრამის მთელი სიმძიმე გადასულია სცენიდან ორკესტრში, ე. ი. თვით მუსიკაში და მის ინსტრუმენტალობაში.

პეჩკოვსკი კარგი მსახიობია და სჩანს, რომ მისი სცენიური ხაზი მტკიცეა. ვერტერის შინაარსს იგი ეკიდება არა როგორც ოპერის ლიბრეტოს, არამედ მას თვით წყარო ამ ლიბრეტოსი და ლიტერატურა მის ირგვლივ კარგად აქვს მოფიქრებული: ამასთან პეჩკოვსკის შესამჩნევად აქვს შესწავლილი მასსენეს მუსიკალური ხაზი, შემდგარი მრავალ მუსიკალურ კონტრასტებისაგან. პეჩკოვსკის შემოქმედებას ახასიათებს მომღერლისათვის არაჩვეულებრივი არტისტული პრინციპიალობა: მან მშვენივრად იცის თავისი ხმის მატერიალებისათვის როგორც სასარგებლო, ისე წამგებიანი მუსიკალური მომენტები, მაგრამ იგი იმდენად მისდევს მასსენეს მუსიკალურ გეგმას, რომ ამ გეგმის სიმტკიცეს ხშირად ამსხვერპლებს საკუთარ სარგებლობას და ხმას ატრიალებს არა ისე, როგორც მისთვის სასარგებლოა, არამედ ისე როგორც ამას მოითხოვს მუსიკალური ქსელი.

რეზეზოვა შარლოტას როლში მოკლებულია ნატურალობას და მის განსახიერებაში შარლოტას ტრაგედია გადაქცეულია მელოდრამად. მომღერალმა ვერ იპოვა ხმას ვერც საჭირო სიმტკიცე, ვერც დამაჯერებელი ინტონაცია. რეზეზოვას აქვს თავის რეპერტუარში მრავალი როლი, რომელნიც მას ეხერხება და ამიტომ მან არ უნდა მოჰკიდოს ხელი იმისთანა სურათს, რომლის ფსიქოლოგიური საძირკველი რადიკალურად ეწინააღმდეგება მის საკუთარ ფსიქიკას.

ბლანკმანს ეხერხება სოფის როლი ვოკალურად, მაგრამ იგი არ უნდა ივიწყებდეს, რომ მეორე მოქმედებაში მისი ბავშური მხიარულება მიმართულია ვერტერისა და სცენის სხვა მონაწილეებისაკენ, და არა მაყურებლებისა და ლოტბარისაკენ. ლოტბარს მომღერალი ან სრულებით არ უნდა უცქეროდეს (ე. ი. მუსიკა უნდა ქონდეს გაზეპირებული), ან უცქეროს ისე, რომ მაყურებელი ამას ვერ ხედავდეს. ამ უბრალო დებულებას არღვევს ჩვენი ოპერის თითქმის მთელი შემადგენლობა.

ინაშვილმა თავის ხმისათვის უცხო როლში (ალბერტის როლი უფრო შეეფერება ლირიულ ბარიტონს) მშვენივრად იჩინა თავი და როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად გაამართლა ალბერტის სურათი. მესამე მოქმედებაში მცირე სცენას კი მან მისცა პირდაპირ მხატვრული ხასიათი და გაცილებით მტკიცე რეალობა:

სახ. არტისტ. ი. ფალიაშვილის ლოტბარობიდან აღმოჩნდა, რომ მას უყვარს მასსენეს მუსიკა და გატაცებით ეკიდება მას. ოპერის ზოგიერთი ადგილები მას შესანიშნავად აქვს დამუშავებული, მათ შორის მესამე მოქმედების პირველ სურათის მშვენიერი კომპოზიცია.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

„როგორ“

კ. კალაძის პიესა, დადგმა დ. ანთაძის, მხატვ. ე. ახვლედიანი. ქუთაის-ბათუმის თეატრი — კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

„როგორ“— ქართველი პროლეტარული მწერლის ორიგინალური პიესა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა მიმდინარე წლის ქართული თეატრის სეზონში. „როგორ“ თავისი შინაარსით ცდილობს წარსულ ბრძოლების გადმოცემას. მოქმედება იშლება 1905 წ. ამბების ფონზე.

აჯანყებულ სოფელს „დასაწყნარებლად“ ეწვევა ყაზახთა რაზმი. მათ „დამწყნარებელ“ მუშაობას ხელმძღვანელობს ადგილობრივი ბოქაული ალმასხან ქარუმიძე. ყაზახებთან შეტაკების შემდეგ წითელ რაზმელები გაიხიზნებიან ტყეში. ყაზახები სწვავენ რაზმელთა სახლ-კარს და აწიოკებენ გლეხებს.

ბოქაული ალმასხან ქარუმიძე მიემგზავრება ქალაქში დამაბეზღებელ მოხსენებით. მატარებელს, რომლითაც მიემგზავრება ბოქაული ქარუმიძე, გზაში ხვდებიან წითელ რაზმელები, მოხსენების წართმევის მიზნით. ბოქაული მოახერხებს გაპარვას. შემდეგ მოქმედება ვითარდება ქალაქში. რაზმელები მეტად რთული კომბინაციით ცდილობენ მოატყუონ ბოქაული. აქ გამოყენებულია რაზმელის მოჩვენებითი ღალატი, გადაცმა და სხვ. მაგრამ ბოქაული დის საშუალებით, რომელსაც უყვარს რაზმელთა მეთაური ბეგლარი, გაიგებს მოსალოდნელ საფრთხეს, რის ასაცილებლადაც თავის მაგიერ პოლიციელებათ გადაცმულ რაზმელებს გააყოლებს გადაცმულ დას. ბოქაულის მაგიერ რაზმელებს ხელში შერჩებათ ქალი. მათ თავშესაფარს გარს შემოერტყმება პოლიციელები, რომელთანაც ბრძოლაში რაზმელთა უმრავლესობა დაიხოცება. ბრძოლის დასასრულს დის გადასარჩენად გამოცხადდება ბოქაული, მაგრამ ის, ერთ-ერთ რაზმელის ტყვიით განგმირული, ათავებს თავის ჟანდარმულ მოღვაწეობას.

მთელ ამ ამბავს მოხუცი რაზმელი უყვება მუშებს, რომელნიც ღამით სდარაჯობენ ქარხანას. ამბავის მოყოლის დასასრულს თენდება და მუშები გაძლიერებული ენერგიით და ენტუზიაზმით იწყებენ ყოველდღიურ საქმიანობას.

პიესის შინაარსი უეჭველად ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. „როგორ“ უმთავრესად გვიჩვენებს რევოლიუციონურ გლეხობის თვითმპყრობელურ რეაქციასთან თავგანწირულ ბრძოლას, 1905 წ. წითელ რაზმელთა გმირულ თავდადებას რევოლიუციის საქმისათვის. ეს წარსულ ბრძოლების რომანტიკაა. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი თაობის, მუშათა და გლეხთა ფართო ფენების რევოლიუციონურად აღზრდისათვის წარსული ბრძოლების წარმოდგენას და განცდას. მაყურებელი „როგორი“-ის გმირების ბრძოლას და სწრაფვას უშუალოდ განიცდის. ის ეცნობა მათ ინტერესებით და სცოცხლობს სცენაზე მომქმედ პირებთან ერთად. ეს ნიშნავს, რომ ავტორმა დასძლია მასალა და გარკვევით ჩამოაყალიბა იგი.

„როგორ“ ქართულ პროლეტარულ დრამატურგიის პირველი ნაწარმოებია, დიდ სცენაზე დადგმული, ამასთანავე დაწერილი ახალგაზრდა ავტორის მიერ—ამ მიზეზების გამო ის არ არის აცილებული მთელ რიგ ნაკლოვანებებს. მთავარია მათ შორის: ფსიქოლოგიური სიღრმის უქონლობა. გრძნობების შინაგანი ბუნების გადმოშლის მაგიერ ჩვენ ხშირად ვხედავთ გარეგნულ პოზას. დრამატურგიულ ნაწარმოებისათვის უმთავრესია მოქმედების ცოცხალი და მოხერხებული განვითარება. „როგორ“ ამ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს, მაგრამ გადაჭარბებაც აქვს ადგილი. სიტყვიერ მასალის სიძუნწესთან ერთად მოქმედება კინემატოგრაფიულ სიჩქარემდე მიდის.

დადგმა მაქსიმალურად ავსებს და ამრავალფეროვანებს პიესის მთავარ იდეას. მთლიანად პიესა დიდი ოსტატობით არის განსახიერებული. კონსტრუქციის უბრალოება, რითაც კიდევ მეტად მიღწეულია მხატვრული სიძლიერე. პირველ მოქმედებაში მოხერხებულად არის გამოყენებული კინო. დამდგმელს შეტანილი აქვს ფრიად თვალსაჩინო ორიგინალური ხერხი: ჩვეულებრივ ტილოზე ლანდებით ნაჩვენებია როგორც პეიზაჟი, ისე ზოგიერთი ეპიზოდები მონაწილეთა მოქმედებისა. თითქმის იქმნება მოლაპარაკე კინოს ილიუზია. ეს ხერხი მეტად გაბედულია, უბრალო ტილოზე მოქმედების ჩვენება კიდევ მეტად კუმშავს მასალას რაც მთლიანად დამახასიათებელია ამ დადგმისათვის.

ხაზგასმით აღსანიშნავია მსახიობთა თამაში. აქ არ არის ხელოვნურობა. უშანგი ჩხეიძე წითელ რაზმელთა მეთაურის ბეგლარის როლში იძლევა დამაჯერებელ რეალურ ფიგურას. აქ მის შესრულებაში სრულად სჩანს რევოლიუციონერ მებრძოლის გადამწყვეტი და პირდაპირი ბუნება. ი. ზარდალიშვილი იძლევა ბოქაულის ცოცხალ სახეს, ყოველგვარი შტამპისა გარეშე. კარგია შ. ღამბაშიძე ერთ-ერთ წითელ რაზმელის როლში. შედარებით ფერმკრთალია ან. ჭიჭაძის თამაში. მკაფიო და დამაჯერებელ სახეებს იძლევიან დანარჩენი მსახიობებიც (გომელაური, პ. ჭიჭინაძე, შ. ჩხეიძე და სხვ.) არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ახალგაზრდა მსახიობ კ. კვანტალიანის თამაში. ამ მსახიობის გამოყვანა თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქუთაის-ბათუმის თეატრის თვალსაჩინო მიღწევად. პიესაში სავსებით უმნიშვნელო როლიდან მან შექმნა საინტერესო და შესამჩნევი ფიგურა. ეს მოწმობს მას, რომ მსახიობი გაიზრდება თვალსაჩინო სერიოზულ ძალად.

დადგმის საერთო დამახასიათებელია სოციალური ალღოს სიმახვილე.

პიესა „როგორ“ უნდა ჩაითვალოს თავის მხატვრული ღირსებებით ქუთაის-ბათუმის თეატრის აქტივში. მისდამი დიდ ინტერესს გამოიჩენენ მუშათა მაყურებლის ფართო მასები. ეს უკვე მტკიცდება ქუთაისის და ბათუმის დადგმების მაგალითით.

ზანი.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარულ მწერალთა ჯგუფი ბუაჩიძის, სამსონიძის, ლორთქიფანიძის, მაშაშვილის, ნაროუშვილის, ვაკელის, იუღის და რადიანის შემადგენლობით მიემგზავრება 18 მარტს ფოთში პროლეტარული ლიტერატურის კვირეულის ჩასატარებლად. კვირეულის შინაარსი: მოხსენება რუსეთის, უკრაინის და საქართველოს თანამედროვე ლიტერატურაზე და განსაკუთრებით პროლეტარულზე, დისპუტი შემდეგ თემაზე: „რას მოითხოვს საბჭოთა საზოგადოებრიობა თანამედროვე მწერლისაგან“; ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ გასამართლება; პროლეტარული მწერლების შემოქმედების საღამო; მუშების მოგონების საღამო; საღამოები ჩატარდება ყველა მუშათა კლუბებში და სკოლებშიაც. ფოთიდან ჯგუფი მიემგზავრება ქუთაისში.

მუსიკალური განათლების დეფექტები

ღონისძიებანი კონსერვატორიის მუშაობის გაჯანსაღებისათვის

(მუშათა და გლეხთა სპეციალურ კომისიის დასკვნიდან)

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალურმა კომისიამ დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით, გამოიკვლია მუსიკალური განათლების მდგომარეობა თბილისში და, გამოტანილი დასკვნების მიხედვით, შეიმუშავა ღონისძიებები მუსიკალური განათლების გასაჯანსაღებლად.

სპეციალური კომისია აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კონსერვატორიას გასულ პერიოდში აქვს მთელი რიგი მიღწევები (თეორეტ. ფაკულტეტის მუშაობის გაუმჯობესება, საწარმოო კოლექტივის ნაყოფიერი მუშაობა და სხვ.) მიუხედავად ამისა, კონსერვატორია საჭიროებს საფუძვლიან გადახალისებას. მის წინაშე დასმულ ამოცანებთან შეფარდებით, დღევანდელი სახით კონსერვატორია არ იძლევა სახელმწიფოსათვის საჭირო მუსიკალურ-ვოკალურ ძალებს. კონსერვატორიას უნდა მიეცეს წარმოებითი განხრა; მან უნდა მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები: პედაგოგები, თეორეტიკოსები, პიანისტები, ინსტრუმენტალისტები და აგრეთვე ანსამბლის შემსრულებელნი (ორკესტრი და გუნდი) რიცხვი მოწაფეებისა კონსერვატორიაში დიდია. 350-დან მოწაფეთა რიცხვი უნდა შემცირდეს 200-მდე. მოწაფეების განაწილება ფაკულტეტების მიხედვით უნდა იკისროს ხელოვნების განყოფილებამ. კერძოდ პედ. ფაკულტეტზე მოწაფეთა რიცხვი აყვანილ უნდა იქნეს 50-მდე. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კონსერვატორიის მოწაფეთა სოციალურ შერჩევას. უმთავრესად იგი უნდა შეივსოს მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსულ იმ ახალგაზრდებით, რომელთაც დაამთავრებიათ მუს. მუშფაკები, მუს. ტეხნიკუმები და მუს. სკოლები. ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობას. ამის მიხედვით უნდა მოხდეს კონსერვატორიის გაწმენდა. მიღების არსებული წესი მკაცრად უნდა იქნეს დაცული არაპროლეტარულ ელემენტების მიმართ. შეღავათები უნდა მიეცეს მუსიკ. ნიჭით დაჯილდოებულ, მუშებისა და გლეხების შვილებს, მომავალ წლიდან კონსერვატორიასთან აუცილებლად უნდა დაარსდეს პედ. ფაკულტეტი. ფაკულტეტებთან უნდა მოეწყოს სამეცნიერო მეთოდოლოგიური წრეები იმ მიზნით, რომ გამომუშავებულ იქნას სწავლების განსაზღვრული სისტემა და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყველა ფაკულტეტების ინსტრუმენტების განახლება (როიალები, ფლეიტები და სხვ.).

კონსერვატორიასთან საჭიროა დაარსდეს აგრეთვე მომღერალთა გუნდი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს უმთავრესად საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკების რევოლიუციონურ-მხატვრულ რეპერტუარის შესასწავლად. გუნდში შესვლა აუცილებელი უნდა იყოს ვოკალური ფაკულტეტის ყველა სტუდენტებისათვის, და აგრეთვე იმ სტუდენტებისათვისაც, რომელთათვის საგუნდო სიმღერა საჭიროა.

კონსერვატორიის ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასთან არ არსებობს საოპერო სტუდია, რომელიც აუცილებელია კონს. კურსდამთავრებულებისათვის. განსახკომმა და ხელოვნების განყოფილებამ, პრაქტიკულად უნდა დაამუშაონ საოპერო სტუდიის დაარსების საკითხი იმ ანგარიშით, რომ მომავალ სასწავლო წლიდან სტუდია გაიხსნას.

საჭიროა მუშფაკის მსგავსად კონსერვატორიასთან მოეწყოს საკვირაო კურსები, მუშებისათვის. ამავე დროს მიღებული უნდა იქნას ზომები მუშათა საკვირაო კონსერვატორიის დაარსებისათვის.

საწარმოო კოლექტივმა უფრო გეგმიანად უნდა წაიყვანოს თავისი მუშაობა, იმ მიზნით, რომ რეგულარულად დაუკავშირდეს წარმოებებს, მუშათა კლუბებს, მოაწყოს სისტემატიურად კონცერტები, როგორც კლუბებში, ისე წითელი არმიის ნაწილებში და სხვ.

პოლიტიკური საგნების სწავლება უნდა გაუმჯობესდეს, რისთვისაც ამ საქმისათვის უნდა შერჩეულ იქნენ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები.

სოფლად და ქალაქად ბევრია მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ძალები, რომელთაც საკუთარი საშუალებით გზას ვერ იკაფავენ, კონსერვატორიას უნდა დაევალოს ამ ძალების გამოძებნა, და მათი მომზადება კონსერვატორიისათვის.

უნდა გადიდდეს სტიპენდიანტთა რიცხვი, ღარიბი და ნიჭიერი ახალგაზრდობის წრიდან.

არსებული მუსმუშფაკები არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას. რამოდენიმე მუშფაკის ნაცვლად ჯერ-ჯერობით თბილისისათვის საკმაოა ერთი მუშფაკი, რომელიც შევსებულ უნდა იქნეს უმთავრესად მუშებით და გლეხებით.

მუსიკალური ტეხნიკუმები და სკოლები უნდა გაერთიანდეს ერთ მთლიან ქსელში, რომელსაც იდეოლოგიური ხელმძღვანელობა და კონტროლი უნდა გაუწიოს განსახკომმა და ხელოვნების განყოფილებამ. ზემოხსენებულ სკოლების და მუშფაკების პედაგოგიური პერსონალი უნდა გადახალისდეს მისი ღირსების გაუმჯობესების მიზნით.

დღემდე განსახკომი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა მუსიკალურ განათლებას საქართველოში; უნდა დაევალოს განსახკომს და ხელოვნების მთავარ სამმართველოს შეიმუშაონ მუსიკალური განათლების ერთიანი გეგმა და სისტემატიური ხელმძღვანელობა გაუწიონ მუსიკალურ განათლებას. განსახკომმა უნდა აწარმოოს აგრეთვე კონს. კურსდამთავრებულთა აღრიცხვა მათი მაქსიმალური გამოყენების მიზნით.

კონსერვატორიაზე პარტიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად აუცილებლად უნდა მოეწყოს მასთან პარტუჯრედი.

კონსერვატორიის ადმინისტრაციის მუშაობას ახასიათებს მრავალი ნაკლი, რომელთა შორის უმთავრესია უდისციპლინობა, ინტრიგა და კინკლაობა მასწავლებლებს შორის, (რაც ძალიან ცუდად მოქმედობს კონსერვატორიის მუშაობაზე), კავშირის მოუწესრიგებლობა მუს. მუშფაკებთან და ტეხნიკუმებთან, და სხვა.

კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ზემოხსენებულ ღონისძიებათა გატარება შეუძლებელია, ადმინისტრაციის არსებულ ხელმძღვანელობის დროს, საჭიროდ სცნობს ლ. ქუთათელაძის მოხსნას სახ. კონსერვატორიიდან.

რადიო სოფლად

თბილისის მაზრაში რადიო-დადგმულებათა ქსელი თანდათანობით ფართოვდება. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გლეხობამ შეიგნო რადიოს დიდი მნიშვნელობა და თვითონვე მოითხოვს რადიო-აპარატების დადგმას. თუ წარსულ წელს მაზრაში ითვლებოდა 27 რადიო-დადგმულობა, ამჟამად მათი რიცხვი 34-მდე გაიზარდა. უკანასკნელ 2—3 თვის განმავლობაში გლეხობამ თბილისის პოლიტგანის დახმარებით მოაწყო ახალი რადიო-დადგმულობანი ბოგვში, აცქალაში, ყაზბეგში, ხოშში, მანგლისში და ბუდიონოვკაში. წარსულ კვირას თბილისის პოლიტგანმა მიიღო მაზრიდან გლეხობის მიერ რადიო-აპარატის შესაძენათ შეგროვილი 400 მანეთი.

რადიო-გადაცემა

კვირა, 17 მარტი

დღეს რადიო-გადამცემი სადგური გადასცემს შემდეგ პროგრამას:

პიონერთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; საუბარი (ციკლიდან „ბრძოლის მნიშვნელობა მავნებლებთან“—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; რადიო-პიესა თემაზე „დაზოგვა“—ქართულ ენაზე და საკონცერტო განყოფილება (აღმოსავლეთის მუსიკა); ტრანსლიაცია მოსკოვიდან „პიონერებისა და მოწაფეების თვეობა ეროვნული შუღლის წინააღმდეგ საბრძოლველად და დელეგაციების გამგზავრება მიწადმოქმედ ებრაელთა კომუნებში“; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); მორზეს ანბანი—ქართულ ენაზე; პიონერთა რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე; გლეხის საათი „მზადება ნაადრევი ბოსტნეულობისათვის, სათესლე მასალის მომზადება და თესვის დრო“—ქართულ ენაზე; საუბარი (ციკლიდან „რევოლიუციონური კანონიერება“, „მემკვიდრეობითი უფლების საკითხები სოფლის პირობებში“—ქართულ ენაზე; ჩვენი პოეტები და მწერლები მიკროფონთან; მოხსენება „წიგნი მასებს“—ქართულ ენაზე (საქ. სახელგამი); ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება; „ჰოფმანის ზღაპრების“ ტრანსლიაცია ოპერიდან. საბინინის მონაწილეობით.

ორშაბათი, 18 მარტი

პიონერისა და მოწაფის საათი. ინსცენირება „პარიზის კომუნა“—რუსულ ენაზე; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გაზეთი „წითელარმიელი“ რადიოთი—ქართულ ენაზე; ლექცია ბუნებისმეტყველებიდან (ციკლიდან „ადამიანთა მოდგმის გაუმჯობესება“—ქართულ ენაზე; მოხსენება „პარიზის კომუნის 58 წლის თავი“—ქართულ და რუსულ ენებზე (ამხ. მიხა ცხაკაია); ამინდის ბიულეტენი და დროის შემოწმება; მოხსენება „საერთაშორისო მიმოხილვა“ რუსულ ენაზე; ინფორმაცია სამკითხველოების გამგეებისა და მასწავლებლებისათვის; ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო: „პარიზის კომუნა“ პოეზიასა, მუსიკასა და ლიტერატურაში ერთი კვირის პროგრამის გადაცემა—ქართულ და რუსულ ენებზე; უკანასკნელი ცნობები; მორზეს ანბანი—რუსულ ენაზე.

სამშაბათი 19 მარტი

პიონერისა და მოწაფის საათი—ქართულ ენაზე; საუბარი (ციკლიდან „მოსავლიანობას გადიდება“; „ნაადრევი ხნა-თესვის მნიშვნელობა“—ქართულ ენაზე. რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; გაზეთი „პროლეტარი“ რადიოთი—სომხურ ენაზე; დროის შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; კომკავშირის რადიო გაზეთი—ქართულ ენაზე; რადიოს მეგობართა საზოგადოების საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); ერთი კვირის პროგრამის გადაცემა—ესპერანტოს ენაზე; ოპერა „ვერტერის“ ტრანსლიაცია პეჩკოვსკის მონაწილეობით; უკანასკნელი ცნობები.

მეცნიერება და ტექნიკა

ფეხმძიმობის ასაცდენი უკანასკნელი საშუალება

მიუხედავად ორსულობის აცდენის მიზანშეუწონლობისა ევგენიური და საზოგადოდ ხალხის კეთილდღეობის თვალსაზრისით, იგი (ე. ი. ორსულობის აცდენა) მაინც ძალიან ხშირად ხდება სრულიად მიზანშეუწონელ საშუალებით, რომელნიც თითქმის დამღუპველად მოქმედობენ დედაკაცის ორგანიზმზე (მაგ., აბორტი, სხვადასხვა ხსნარები და სხვა „შინაურული“ საშუალებანი). სწორედ ეს არის მიზეზი ისეთი საშუალების ძებნისა ორსულობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც არ მოუტანდა ზიანს დედაკაცის ორგანიზმს და ამავე დროს განაყოფიერების აქტი, რაც შეიძლება ნორმალურ ფარგლებში მოხდებოდა. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ ასეთ საშუალებად მიღებულ იქნა მამაკაცის თესლის შეყვანა დედაკაცის სისხლში. ამ მანიპულიაციის სავსებით გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ სისხლის თავისებურება. სისხლი ადამიანისათვის წარმოადგენს ფიზიოლოგიურ ბარიერს ანუ ორგანიზმის დამცველს, მოხდება, თუ არა სისხლში რომელიმე უცხო ელემენტი, რომელიც თავისი შემადგენლობით და აგებულობით არ არის ორგანიზმში არსებულ ნივთიერების მსგავსი, მის საწინააღმდეგოდ გაჩნდება ე. წ. ანტისხეულები, რომელნიც ბრძოლას აწარმოებენ ამ უცხო ელემენტების წინააღმდეგ და მის მოქმედებას აბათილებენ.

ვიღოთ მაგალითად კვერცხის ცილა. თუ მას ჩვენ შევჭამთ, ის კუჭ-ნაწლავში განიცდის მთელ რიგ ცვლილებებს შემადგენლობის და აგებულების მხრივ და ბოლოს ასეთნაირად შეცვლილი შეიწოვება და გადადის სისხლში, მაგრამ თუ ჩვენ ცილას პირდაპირ შევიყვანთ სისხლის მილში, იგი უკვე ჩვენი ორგანიზმისათვის იქნება უცხო სხეული, ვინაიდან იგი არ არის გადამუშავებული კუჭ-ნაწლავის მიერ და არა აქვს მიღებული ის აგებულება და შემადგენლობა, რა სახისაც სხვა ცილები არიან და რა სახის ცილებისაგანაც შესდგება ჩვენი ორგანიზმი. ამრიგად ამ შემთხვევაშიც წარმოიშობა სისხლში შეყვანილ ცილის საწინააღმდეგო ანტისხეულები, რომელნიც ცილის შხამიან ანუ ტოქსიურ მოქმედებას აბათილებენ. მაშასადამე ყოველი უცხო სხეული, პარენტერალურად, ე. ი. ნაწლავების გარეშე შეყვანილი პირდაპირ სისხლში ითვლება ტოქსინათ, შხამათ ორგანიზმისათვის და უკანასკნელის ბუნებრივი ძალების წყალობით სისხლში მის წინააღმდეგ წარმოიშობა ანტიტოქსინები.

გადავიდეთ ეხლა ჩვენ საკითხზე.

განაყოფიერება ხდება მამაკაცის თესლის შემადგენელ ნაწილის ე. წ. სპერმატოზოიდის და დედაკაცის კვერცხის შეერთებით. სპერმატოზოიდი—ეს მოძრავი თავკომბალას მაგვარი უჯრედია და საშოში მოქცევის შემდეგ თვითონ გაიკვლევს ხოლმე გზას კვერცხისაკენ, რომელიც თავისი შინაგან სეკრეციის თავისებურობის წყალობით დადებითი ხემოტაქსისით, ე. ი. მიდრეკილობით არის აღჭურვილი სპერმატოზოიდისადმი. მიაღწევს რა სპერმატოზოიდი კვერცხს, ის მის განსაკუთრებულ ადგილას ჩაესობა, ჩაძვრება შიგ და აქეთ გათავდება განაყოფიერება.

დაორსულების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ხელის შეშლა სპერმატოზოიდის მისვლისათვის კვერცხთან. მრავალმა მექანიკურმა საშუალებებმა ვერ ჰპოვეს გამოყენება, ზოგმა იმიტომ, რომ თვით აქტი უკულმართდება, ხდებოდა არა ბუნებრივი და ზოგმა კი უხეირობის გამო.

მთელ რიგ ცდების შემდეგ გამონახულ იქნა ახალი საშუალება დაორსულების წინააღმდეგ. ეს არის სპერმატოზოიდების შეყვანა დედაკაცის სისხლში.

რა ხდება სპერმატოზოიდის სისხლში შეყვანის დროს? რასაკვირველია, სპერმატოზოიდის მაგვარი აგებულების და შემადგენლობის მსგავსი რამ სისხლში და ორგანიზმში არაფერია. აშკარაა, რომ სისხლი დაიცავს ამ უცხო ელემენტებისაგან ორგანიზმს და გამოიმუშავებს ანტისხეულებს, ანტიტოქსინებს. ეს ასეც ხდება. ამ დროს გამუშავდება ე. წ. სპერმატოტოქსინები, რომლებიც აბათილებენ სპერმატოზოიდების შხამიან მოქმედებას ორგანიზმზე და ამავე დროს ედებიან მთელ ორგანიზმს, ავსებენ ყველა კუთხეს, რადგან ისინი იმდენი კი არ გაჩნდებიან, რამდენიც საჭირო იქნებოდა სპერმატოზოიდების დასაძლევად, არამედ გაცილებით უფრო ბევრი. ისე რომ ქალის ორგანიზმის ყველა კუთხის სისხლ-ძარღვში გროვდება განსაზღვრული რაოდენობა სპერმატოტოქსინისა, ისინი ავსებენ მთელ წვენს ორგანიზმისას და ქმნიან ისეთ არასასურველ ჰუმორალურ არეს, რომელიც დედაკაცის სასქესო ორგანოებში შემოსულ სპერმატოზოიდზე მოქმედობს, აბრუებს, ადამბლავებს მას, უკარგავს მოძრაობის უნარს და, მაშასადამე; საშუალებას—მიაღწიოს კვერცხს. გარდა ამისა, სპერმატოტოქსინები მოქმედობენ აგრეთვე საკვერცხის შინაგან სეკრეციაზე და მის დადებით ხემოტაქსის ანუ მიდრეკილებას სპერმატოზოიდისადმი სცვლიან უარყოფით ხემოტაქსისათ.

გამოირკვა, რომ სპერმატოტოქსინებს მცირე რაოდენობა ბუნებრივად ყოფილა დედაკაცის ორგანიზმში და ის უფრო ბევრი ჰქონია მრავალჯერ ნამშობიარებ დედაკაცს, ვინემ ქალწულს.

აქვს თუ არა გავლენა სპერმატოტოქსინებს სხვა ფუნქციებზე დედაკაცის ორგანიზმში? უნდა აღინიშნოს, რომ ოვულიაციაზე—ე. ი. კვერცხის გამოყოფაზე და თვიურზე არავითარი, ხოლო თვით შეყვანა თესლისა იწვევს მცირე ადგილობრივ და ზოგად ხასიათის რეაქციას, რომელსაც სუფთა დაცვითი ხასიათი აქვს შეყვანილ ტოქსინის ე.ი. სპერმატოზოიდის წინააღმდეგ და რომელიც გამოიხატება t^0 აწევაში—წონის დაკლებაში და სხვა.

მოსკოვის ექსპერიმენტალურ ენდოკრინოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული ცდების მიხედვით ცხოველებზე და შემდეგ ამავე ინსტიტუტის სათანადო სექციასთან დაკავშირებულ ორსულობის ასაცდენ საშუალებათა შემსწავლელ კომისიის მიერ დედაკაცებზე გადატანილი მაგალითების მიხედვით, ვრწმუნდებით, რომ ეს საშუალება მართლაც ნამდვილი და უნაკლო არის. ასე მაგალითად 30 დედაკაციდან, რომელთაც გაუკეთდა სპერმატოზოიდების შეყვანა, 26 დაორსულების საფრთხიდან დაცულ იქნა 2—12 თვემდე, ხოლო ოთხი დაორსულდა შეშხაპუნების კურსის დროს. ყველა დედაკაცები კარგად გრძნობენ თავს. 12 წონა მოიმატა, 4-ის წონა უცვლელი დარჩა, ხოლო 14 დაიკლო წონაში, მაგრამ საშუალოდ არა უმეტეს ნახევარ გირვანქისა.

ეხლა განვიხილოთ, თუ როგორ ხდება სტერილიზაცია, როგორია მისი ტეხნიკა.

ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ცდების და შედეგების თანახმად, თურმე სჯობია დედაკაცის სისხლში შეყვანილ იქნეს არა მამაკაცის, არამედ სხვა რომელიმე ცხოველის (ნაჩვენებია და ნარჩევია ხარი) თესლი, რადგან ჰეტეროგენიული თესლი უფრო კარგ რეაქციას იძლევა და მეორეც—მისი შოვნა უფრო ადვილია. გარდა ამისა, იგი საშიში არ არის ადამიანისათვის სხვადასხვა სნეულებათა გადაცემის მხრივ (მაგ., ათაშანგისა). მაგრამ ხარის თესლიც საშიშია ხოლმე ტუბერკულიოზის მხრივ, და განიზრახეს სპერმატოზოიდების შეყვანა უმოძრაო, დახოცილი სახით, რომელიც ამავე დროს აადვილებს მათ დათვლას და დოზირებას.

პრეპარატი მზადდება შემდეგნაირად: იღებენ ხარის სათესლე დანამატებს, სჭრიან წვრილად, ყრიან ფიზიოლოგიურ მარილის ხსნარში, იღებენ ემულსიას, რომელსაც მოუმატებენ ფორმალინს, რათა მოხდეს კონსერვაცია სპერმატოზოიდების, შემდეგ გასწურავენ და გახსნიან იქამდე, სანამ არ მიიღებენ საჭირო კონცენტრაციის ხსნარს, ასხამენ ამპულებში და ინახავენ. რაც შეეხება დოზას, იგი გამოანგარიშებულია შემდეგნაირად: სტერილიზაციისათვის დაახლოებით გამოანგარიშებით დედაკაცის ერთ კილო წონაზე საჭირო ყოფილა ერთი მილიარდი სპერმატოზოიდი. შეჰყავდათ ჯერ მცირე დოზებით, კვირაში ორჯერ. მთელი კურსი სტერილიზაციისა შესდგებოდა 8—10 შეშხაპუნებისაგან, ე. ი. უნდებოდა ერთი თვე და ამის შემდეგ სტერილიზაციაქმნილი მინიმუმ ორი თვიდან 12 თვემდე აღარ ორსულდებოდნენ. სტერილიზაცია კარგად მოქმედობს, ე. ი. კარგ შედეგს იძლევა, მრავალ ნამშობიარებზედაც. გამხდარი ქალები უფრო კარგად იტანენ ამ პროცედურას, ვინემ მსუქნები.

ს. ნარიკაშვილი.

ინგლის-ამერიკის ინტერესთა შეჯახება ანტარქტიკაში

ბირდის (ამერიკელი) ექსპედიციის აღმოჩენებმა სამხრეთ-პოლიუსის რაიონში, ერთგვარი მღელვარება გამოიწვია ლონდონის წრეებში. საქმე იმაშია, რომ ბირდის ექსპედიცია იმყოფება იმ რაიონში, რომელიც ინგლისი თავისად თვლის. ბირდის მიერ აღმოჩენილი ტერიტორია, რომელსაც მან „მერი ბირდის მიწა“ უწოდა, მდებარეობს ანტარქტიული კონტინენტის სიღრმეში, ედუარდ მეშვიდის და გრამის მიწებს იქით. ეს მიწები ეკუთვნის იმ ტერიტორიებს, რომლებზედაც, ინგლისელების აზრით ვრცელდება ინგლისის დომინიონის—ახალი ზელანდიის, ე. ი.—საბოლოო ანგარიშით—ბრიტანეთის იმპერიის სუვერენიტეტი.

ინგლისის „პოლიარული პრეტენზიები“ ასეა ჩამოყალიბებული „ტაიმს“-ში: „ბრიტანეთის იმპერიის სუვერენიტეტი ვრცელდება ორივე პოლიუსიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე მიწებზე“. გაზეთი აღნიშნავს, რომ არქტიკის რაიონებში, მოიპოვება მინერალების მნიშვნელოვანი მარაგი და რომ არქტიკის აღმოსავლეთ რაიონის ნახშირის მარაგი წარმოადგენს „სკანდინავიისა და ჩრდილოეთ რუსეთის მკვიდრ წყაროს“. რაც შეეხება ანტარქტიკას, მისი ბუნებრივი სიმდიდრენი, გაზეთის სიტყვით, ჯერ კიდევ სუსტად არის გამოკვლეული, მაგრამ „გამოკვლევები, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, ეჭვს გარეშე, აღმოაჩენენ ახალ სიმდიდრეებს, რომლებიც ელოდებიან ადამიანს ამ ყინულოვან სიჩუმეში“.

ბირდის მიღწევებით შეშფოთებული ინგლისელები სასწრაფოდ გზავნიან სამხრეთ-პოლიუსისაკენ საკუთარ ექსპედიციას, რომელიც ავსტრალიიდან გავა. ექსპედიციის ხელმძღვანელია დუგლას მაუსონი, ინგლისის მთავრობამ ექსპედიციას გადასცა გემი „დისკავერი“ რომლითაც ექსპედიციას აწყობდა ინგლისელი მკვლევარი სკოტტი (დაიღუპა სამხრეთ-პოლიუსთან). მაუსონის ექსპედიცია გამოიკვლევს ანტარქტიკის იმ რაიონებს, რომლებიც ავსტრალიიდან სამხრეთით მდებარეობენ. ექსპედიცია გამოარკვევს ამ რაიონის ეკონომიურ რესურსებს. აეროპლანების საშუალებით მოახდენს ჰიდროგრაფიულ გადაღებებს. გამოარკვევს ვეშაპებზე ნადირობის შესაძლებლობას და სხვ. თანხებს ექსპედიციისათვის საზოგადოებრივი ხელისმოწერის საშუალებით აგროვებენ.

ახალი ცნობები ვიტამინების შესახებ

უკანასკნელ ხანებში ვიტამინების შესწავლამ განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია. ვიტამინები, რომლებიც დღემდე ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდნენ ქიმიკოსებისათვის, ახლა უფრო და უფრო მისაწვდომი ხდება გამოკვლევისათვის. უფრო მეტი, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები ვიტამინების ხელოვნურად დასამზადებლად. ერთი ვიტამინის, ე. ი. ვიტამინი D-ს მიმართ ეს ამოცანა სავსებით გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს. ამერიკელმა და გერმანელმა ქიმიკოსებმა ულტრა-იისფერი სხივების საშუალებით მოახერხეს ზოგიერთი საკვები პროდუქტების „ვიტამინიზაცია“, ე. ი. ვიტამინების ხელოვნურად წარმოშობა მათში. ახლა, როგორც ჩანს, რიგი სხვა ვიტამინებზეა.

დიდი შედეგებია მიღწეული ვიტამინების თეორიის დარგშიც. ასე მაგალითად, დამტკიცებულია, რომ ვიტამინების სიჭარბე საჭმელში არა მარტო უსარგებლოა, არამედ ზიანის მოტანაც შეუძლია. გამორკვეულია, რომ ვიტამინით კვება საუკეთესო შედეგს იძლევა არა მარტო მაშინ, როცა ორგანიზმი იღებს ყველა ვიტამინებს, არამედ იმ პირობითაც, თუ მათ მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობით იღებს.

„უსისხლო ომი“

იტალიის პრესა იუწყება: ამერიკელი ქიმიკოსი ეგლოუ წინადადებას იძლევა კი არ მოისპოს ომი, „რაზედაც ოცნებობენ მშვიდობიანობის სხვადასხვა მოციქულები“, არამედ უსისხლო ხასიათი მიეცეს მას. მომავალი ომი, როგორც ამტკიცებს ეგლოუ, იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ უშხამოთ, „ჰუმანიურ გაზებით“, როგორიც არის მაგალითად ქლოროფორმი. ეგლოუ ასწერს მომავალი ომის ზოგიერთ სურათებს: „ქლოროფორმით შეიარაღებულ“ აეროპლანების თავდასხმა. ორი ტონა ქლოროფორმში საკმაო იქნება მთელი საარმიო კორპუსის დასაძინებლად.

— ომის ახალი მეთოდებით,—სწერს ეგლოუ, გაანთავისუფლებს მებრძოლ მხარეებს მეომართა დაღუპვისაგან: გამარჯვება იქნება იმ არმიის მხარეზე, ვისაც მეტი დაუძინებელი მეომარი დარჩება.

ტრაქტორის მუშაობის ხანგრძლივობა

კალიფორნიის (შეერთ. შტატები) უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტმა მიზნად დაისახა იმის გამორკვევა, თუ რამდენხანს შეუძლია შეუწყვეტლად მუშაობა ტრაქტორს. ამ მიზნით სამუშაოდ გამოყვანილ იქნა ფორდის ტრაქტორი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით (ფარცხი). ტრაქტორი ამუშავეს გაუჩერებლად. მცირე ხნით აჩერებდნენ მხოლოდ საწვავი მასალისა და ზეთის ჩასასხმელად. ტრაქტორმა იმუშავა 17 დღე-ღამე და ამ ხნის განმავლობაში დაამუშავა 1.280 აკრი მიწა და გაიარა 2000 კილომეტრი.

მაგარი ალკოჰოლი

მაგარი სპირტი დიდი ხანია ცნობილია ქიმიისათვის. ეს არის ჩვეულებრივი სპირტი, გადაყვანილი მაგარ მდგომარეობაში ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების შერევით, მაგრამ ამ ნივთიერებათა უმრავლესობა უვნებელი როდია. ისინი შეიცავენ შხამს, რის გამო მაგარი სპირტის გამოყენება ამჟამად მხოლოდ მრეწველობის საჭიროებით შემოიფარგლება. ახლა კი გერმანელმა ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს ალკოჰოლის მაგარ ნივთიერებად გადაქცევის სრულიად უვნებელი საშუალება. აღწევენ ამას ქიმიურად გადამუშავებული ჩვეულებრივი შაქრის ჩარევით სპირტში. სპირტის გამაგრების ამ ახალ საშუალებას ფართო გასავალს უწინასწარმეტყველებენ. მისი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აადვილებს ალკოჰოლიან სასმელების, ოდეკოლონისა და სპირტის შემცველი სხვა სითხეების შენახვას და გადაზიდვას.

ყინვების მიზეზი

გერმანელი მეცნიერი დორნო ამტკიცებს, რომ ყინვები ევროპაში გამოწვეულია იმით, რომ გოლფშტრემმა (თბილი დინება, რომელიც ცენტრალური ამერიკის ნაპირებიდან ევროპისაკენ მიემართება) დროებით გზა იცვალა.

რადიო-აპარატი გეოლოგ. გამოკვლევებისათვის



საზღვარ-გარეთ დამზადებული სპეციალური აპარატი, რომლის საშუალებითაც არკვევენ მადნების მდგომარეობას მიწის ქვეშ.

ორასი ენის მცოდნე კაცი

მსოფლიო რეკორდი ენების ცოდნაში ეკუთვნის ფრანკფურტის (მაინზე, გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორს ყოფ. მათემატიკის პროფესორს, რომელმაც იცის—200 ენა. ის სწერს და კითხულობს ისეთ ენებზე, როგორიც არის სანსკრიტული, ძველი ეგვიპტური, ფინიკიელთა, ინდოელთა, ძველი ჩინური და სხვ. ახალი ენებიდან მან იცის ყველა ევროპიული ენები გარდა ამისა ინდოჩინეთის, მალაის არხიპელაგის, აფრიკისა და სხვ. ტუზემების მრავალრიცხოვან ტომების ენები. ყოფ. პროფესორის ბინაზე ხშირად იყრიან თავს სხვადასხვა ქვეყნების ფილოლოგები. მოხუცებულობის მიუხედავად, პროფესორი განუწყვეტლივ აფართოებს თავის ცოდნას. მხოლოდ წარსულ წელს მან შეისწავლა 4 ახალი ენა.

უკრაინელი მეცნიერის მიწვევა ამერიკაში

ხარკოვის ასტრონომიული ობსერვატორიის უფროსმა ასტრონომმა პროფ. გერასიმოვიჩმა უმაღლესი ჯილდო მიიღო შეერთ. შტატების სამეცნიერო აკადემიის მიერ გამართულ საერთაშორისო კონკურსზე შრომისთვის „მზის ენერგიის წყაროები“.

პროფ. გერასიმოვიჩი გარვარდის ობსერვატორიამ (შეერთ. შტატები) მიიწვია სამუშაოდ.

ულტრა-იისფერი სხივების გამტარი მინები

ულტრა-იისფერი სხივების გამტარ მინებით გატაცების პერიოდის შემდეგ დასავლეთში დაიწყო მათი დაფიქრების ხანა, მართალია. ბაზარზე გამოშვებულ ულტრა-იისფერი მინები—„ვიტაპლასები“, „უვიოლები“ და სხვ. გამოკვლევების თანახმად ატარებენ ულტრა-იისფერი სხივების მეტ თუ ნაკლებ რაოდენობას, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ დიდი ქალაქების მტვერით, ანაორთქლით და სხვადასხვა გაზებით გაჟღენთილი ატმოსფერა სრულიად არ ატარებს ულტრა-იისფერ სხივებს. გამორკვეულია, რომ ჩვეულებრივ დარში ქვედა-სართულების დონეზე ულტრა-იისფერი სხივები ქალაქში საერთოდ არ მოიპოვება. მხოლოდ განსაკუთრებით ნათელ და მზიან დღეში ულტრა-იისფერი სხივები მცირე რაოდენობით აღწევენ დედამიწაზე. ასეთ პირობებში ულტრა-იისფერი მინები სრულიად უსარგებლოა.

ეს, რასაკვირველია, სრულიად არ ამცირებს ამ მინების როლს სააგარაკო და საერთოდ ყველა ისეთ ადგილებში, სადაც ჰაერი ძლიერ არ არის დაბინძურებული.

მუსიკა და მემანქანე ქალების შრომა

ამერიკელმა ფსიქო-ტეხნიკოსებმა ამ რამდენიმე ხნის წინად მოახდინეს მთელი რიგი ცდები იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქმედობს მუსიკა შრომის ნაყოფიერებაზე, ცდების ობიექტად აღებულ იქნა მემანქანე ქალების შრომა. აღმოჩნდა, რომ მუსიკა მნიშვნელოვნად გავლენას ახდენს მუშაობის სისწრაფისა და სისწორეზე. რა უცნაურადაც არ ჩაითვლება, მაგრამ ყველაზე დადებითი გავლენა მუშაობაზე მოახდინა „ჯაზ-ბანდმა“. იმ დროს, როცა „ჯაზ-ბანდი“ უკრავდა, მემანქანეები ნაკლებ შეცდომას უშვებდნენ და მეტ ნიშნებს ბეჭდავდნენ. მეორე მხრივ, გამოირკვა ფაქტი, რომელიც არა ნაკლებ იწვევს გაოცებას: მემანქანეები ყველაზე უფრო ცუდათ მუშაობდნენ აბსოლიუტური სიწყნარის პირობებში. ეს ფაქტი, ნაწილობრივ ნათელყოფს იმას, თუ რატომ უფრო ნაყოფიერია მემანქანეთა შრომა, როცა ისინი ერთ ოთახში არიან შეკრებილი.

ახალი სახის სპორტი საფრანგეთში

ცნობილმა ფრანგმა სპორტსმენმა რენესაზარმა დაამზადა ჰიდრო-ველოსიპედი, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტსმენებს შორის.

სასამართლო

ლორთქიფანიძის ტყვეობაში

ჭიათურის რაიონული მილიციის თანამშრომელი გიორგი დიმიტრის ძე ლორთქიფანიძე, მილიციის ფორმაში გამოწყობილი და რევოლვერ ამოწვდილი, იდგა ზესტაფონის მახლობლად, ქალა-ტყის ხიდთან. ეს იყო გასული წლის 11 დეკემბერს.

— რომელი ხარ? ასწი ხელი!—გაფითრებული გამვლელი მაშინვე ხელებს მაღლა სწევდა და გაშტერებული თვალებით აჩერდებოდა ლორთქიფანიძეს.

— რა კაცი ხარ შენ? სად დაძვრები? მიჩვენე შენი პირადობის მოწმობა?

გლეხს თავის სოფელში რად უნდა პირადობის მოწმობა!

ლორთქიფანიძე ქუჩაში არავის აპატიებს უმოწმობოდ. ათი-ხუთმეტი კაცი უკვე დაპატიმრებული ჰყავს. თვითონ ისევ რევოლვერით სდევს გზაზე და უცდის გამვლელს.

თიდის სოფლელი ქალი, რომელსაც მეზობლიდან ნათხოვარი საოჯახო ნივთი უჭირავს ხელში და სახლში მიეჩქარება.

ლორთქიფანიძე „ბაშპორტს" სთხოვს ქალს და რადგან ასეთი მას არ აღმოაჩნდა, აპატიმრებს, როგორც საეჭვო პიროვნებას.

ოცამდე დაპატიმრებულმა უკვე მოიყარა თავი. ეხლა საჭიროა მათი იზოლიაცია. ლორთქიფანიძე ცხვრებივით მიერეკება გლეხებს და ამწყვდევს მერკვილაძის დუქანში.

თვითონ ისევ ამოშიშვლებული რევოლვერით გამოდის „სადარაჯოზე" და უთვალთვალებს „მტერს".

რაშია საქმე? ვინ გამოაცხადა საალყო წესები ზესტაფონის რაიონში? ზორკეთელ გლეხს როდის სჭირდებოდა თავის სოფელში პირადობის მოწმობა?

საქმე იმაშია, რომ გიორგი ლორთქიფანიძემ ზედი-ზედ სამი დღე გაატარა თავის მეგობარ „მიტუშას" ქორწილში 9 დეკემბერს დაპატიჟებულმა 11-დე ვერ დასტოვა სუფრა. გამით ილხინეს თავად-აზნაურებმა ქეიფი. გიორგიც ნააზნაურალია და გაიხსენა ძველი ყარაჩოღელობა. უკანასკნელად წამოსვლის წინ იმოდენა ყანწი დასცალა, რომ ქვეყანა განცვიფრებაში მოიყვანა.

და მას შემდეგ ქალა-ტყის ხიდთან მოსულს ყველა მოქალაქე საეჭვო პირად ეჩვენებოდა. ყველასაგან იწევდა რევოლვერით, ყველას თხოვდა პირადობის მოწმობას.

მერკვილაძის დუქანში დამწყვდეული გლეხები ფანჯრიდან უყურებდნენ ლორთქიფანიძეს, რომელმაც კვლავ გააჩერა ორი ახალგაზრდა და მიუღირა რევოლვერი.

ერთმა ახალგაზრდამ სტაცა ხელი რევოლვერს, მეორემ—თვითონ ლორთქიფანიძეს და სულ მოკლე ხნის განმავლობაში გიორგი ლორთქიფანიძე განიარაღებულ იქნა.

ლორთქიფანიძის ტყვეებმა—იგრძნეს, რომ მოახლოვდა მათი განთავისუფლების ჟამი, დაჰკრეს ყიჟინა, გამოამტვრიეს კარი და გარს შემოერტყნენ მთვრალ მილიციელს.

ლორთქიფანიძე დაპატიმრებული გაიგზავნა ზესტაფონის გამასწორებელ სახლში.

ლორთქიფანიძე გაასამართლა შორაპნის სამაზრო სასამართლომ, რომელმაც ულირს მილიციელს ხელისუფლების სახელის გატეხისათვის მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით სასტიკი იზოლიაციით.

ექიმბაში

ახურეთის მილიციამ ცნობა მიიღო, რომ ახალშენ-ახურეთის რაიონში და მის მახლობელ სოფლებში „საგასტროლოდ" ჩამოსულია ექიმბაში ვინმე სოფიო ალექსის ასული ნაბახტიანი, რომელიც თავის თავს სპეციალ ასაღებს ქალების მუცლის მოშლის საქმეში.

ნაბახტიანი დაპატიმრებულ იქნა. დაიწყეს კვლევა-ძიება და გამოირკვა, რომ ნაბახტიანის ქალის მკურნალობას არა ერთი და ორი ქალი გამოუსალმებია სიცოცხლეს.

მისი უკანასკნელი მსხვერპლი გამხდარა ანა კურცის ქალი, რომელსაც მუცელი მოუშალა ნაბახტიანმა.

მუცლის მოშლის მეორე დღესვე კურცის ქალს დაუსივდა ფეხი. ქმარმა მიმართა ნაბახტიანის ქალს და აცნობა ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის შესახებ.

— შენ კაი კაცო, რა არის ფეხების დასივება! რამ შეგაშინა! ალბად, ქარები ჰქონია ტანში და ეხლა გამოაჩნდა,— გაისტუმრა ექიმბაშმა შეშინებული ქმარი.

გავიდა რამოდენიმე დღე და კურცის ქალი სისხლის მოწამვლის გამო გარდაიცვალა.

ექიმბაში ნაბახტიანი გასამართლებულ იქნა საჯაროდ.

მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით სასტიკი იზოლიაციით და ამავე ვადით საარჩევნო უფლებების წართმევა.

გერ.

ფიზკულტურა და სპორტი

თბილისის და ბაქოს ფიზკულტუროსნების შეჯიბრება

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შვიდი წლის თავის აღსანიშნავად 15 მარტს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა თბილისის და ბაქოს ფიზკულტუროსნების შეჯიბრება.

შეჯიბრება გაიმართა ფრინბურთში და კალათბურთში. ბაქოდან ჩამოსული არიან რკინისგზელთა კავშირის ფრინბურთელები და კალათბურთელები.

ფრინბურთში სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის რკინისგზელთა ნაკრები გუნდი. მატჩი დამთავრდა 2:0 ბაქოელების გამარჯვებით.

კალათბურთის შეჯიბრებაში ბაქოს ფიზკულტუროსნებთან თამაშობდა თბილისის რკინის გზის სამრეწველო-საქარხნო სკოლის გუნდი, შეჯიბრება დამთავრდა სტუმრების დამარცხებით 29:36.

დღეს გაიმართება მეორე შეჯიბრება ფრინბურთში და კალათბურთში. ფრინბურთში ბაქოელების წინააღმდეგ გამოდის საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ცენტრალური ბიუროს გუნდი (ყოფ. გამო-ცდების მუშაკების პირველი გუნდი, რომელმაც თბილისის პირველობა აიღო ფრინბურთში).

კალათბურთში სტუმრებთან თამაშობს საბჭოთა - სავაჭრო მუშაკთა კავშირის პირველი გუნდი, რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა კალათბურთის გუნდების საქალაქო შეჯიბრებაში.

თამაში დაიწყება საღამოს 7 საათიდან ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში.

ფეხბურთის სეზონის გახსნა

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონი გაიხსნება აპრილის პირველ რიცხვებში. ფიზკულტურის მუშათა თათბირი მასასთან დაახლოვების მიზნით, წელს განზრახულია ფეხბურთის შეჯიბრებებზე შემოღებულ იქნეს საბონიმენტო სისტემა.

შემთხვევები

გაფლანგვა

ნიკოლოზ დავითისძე სამხარაძე ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის საბჭოს პლაკატების გამავრცელებელ აგენტად. უკანასკნელ ხანებში სამხარაძემ ხელი მიჰყო საზ-ბის ფულების გაფლანგვას და ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიითვისა 300 მანეთი. სამხარაძე დაპატიმრებულია.

თაღლითობისათვის

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა კონსტანტინე იოსებისძე ვოლშევსკი, რომელმაც სამანქანო ტრესტს დასტყუა 115 მანეთი.

1400 მანეთის მოპარვა

გიორგი დიმიტრისძე კიკუამ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მას სატყეო ტრესტში ვიღაც უცნობმა პირმა პორტფელიდან ამოაცალა სახაზინო 1400 მანეთი.

მცირეწლოვანი დამნაშავე

მილიციამ დააპატიმრა მცირეწლოვანი ხაზარ აბდარისძე მურადიანი (უბინაო), რომელმაც ვ. ქართველაძეს (მცხ. მიმოსვლის ქ. 2) ჯიბიდან ამოაცალა 10 მანეთი.

ქურდობა

გაქურდეს ნიკ. ვახილიძის ბინა (მზის მოედანი, 4). წაიღეს 100 მანეთის ნივთები;—სიონა კობალაძეს (მცხ. არსენას ქ. 28), ცენტრალურ ბაზარზე ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 50 მანეთი;—ვლადიმერ ბეკიევს ბინიდან (მე-2 საბჭოთა შესახ.; 4), მოიპარეს 120 მანეთის ნივთები;—გაქურდეს ალექსანდრე გარდაფხაძის ბინა (პლეხანოვის პროსპექტი 136), წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები;—სტანისლავ ვისოცკის (მცხ. არტილერიის ქ. 23) პლეხანოვის პროსპექტზე ჯიბიდან ამოაცალეს 261 მანეთი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

პარტია № 16 (ლაზიერის პაიკთა დებიუტი)

თბილისის მოჭადრაკეთა შეჯიბრის მესამე ტურიდან გათამაშებულია 1929 წ. 11 მარტს

თეთრები: ვ. გოგლიძე—შავები: ლ. ასოვსკი

1. d2—d4, d7—d5 2. e2—e3, მg8—f6 3. კf1—d3, კc8—g4 4. f2—f3, კg4—h5 5 მg1—e2, e7—e6 6. მb1—d2, c7—c5 7. c2—c3, მb8—c6 8. f3—f4 (შექმნილი მდგომარეობა ცნობილია „სტონვოლი"-ს (ქვის კედელი) სახელწოდებით, რომელიც თეორიულად თეთრებს უპირატესობას აძლევს, ხოლო პრაქტიკაში: მეტად რთული მდგომარეობის მიღების გამო, თეთრებს მოგების დიდი შანსები აქვთ) 8..., კf8—d6 9. 0—0, ლd8—c7 (პაიკ d4 მოკვლის დამუქრებით და თუ თეთრები ითამაშებენ ed, მაშინ კd6:f4 და შავები იგებენ პაიკს; c პაიკით აყვანა არ არის კარგი, შავი კუს საბრძოლველი არის შეზღუდვის გამო) 10. მd2—f3, კh5—g6 11. მf3—e5, კg6:d3 12. მe5:d3, მf6—e4 (დებიუტი დამთავრდა, შავები რამოდენიმედ უკეთ დგანან, მათ თეთრების მეფეზე იერიშის მიტანის შესაძლებლობა აქვთ. თეთრების შავი კუ უმოქმედოა. შემდეგში თეთრებს სჭირდებათ მეტად ზუსტი თამაში, რათა კონტრ-შეტევის შესაძლებლობა გამოსძებნონ) 13. მe2—g3, 0—0—0 (შავების გეგმა ნათელია—იერიში თეთრების მეფის ფრთაზე. საერთოდ პარტიები, სადაც გაკეთებულია სხვადასხვა მხრივ როქები, რთული და საინტერესო გამოდის) 14 მg3:e4, d5:e4 15. მd3—f2, f7—f5 16. მf2—h3, h7—h6 17. ლd1—h5, ეd8—g8 18. მფg1—h1 (კარგი თავდაცვითი სვლაა, g ხაზის გახსნა აუცილებელია, ამიტომ საჭიროა მეფის მოშორება საშიშ ხაზიდან, ამას გარდა მხედრისთვის არე თავისუფლდება) 18.., g7—g5 19. კc1—d2, მc6—e7 20. c3—c4! (ამ მდგომარეობაში პაიკური თამაში, თეთრების ფიგურათა თამაშის დასრულების გამო თვითმკვლელობას უდრის, ამიტომ თეთრებმა გადასწყვიტეს რაც შეიძლება გაბედულად ითამაშონ. ტექსტში მოყვანილი სვლა შავებისთვის ბევრ განსაცდელს შეიცავს; მაგ. 20.., gf 21 dc, კ:c5 20. მh:f4 და შავები ვერ ასცდებიან ორ მუქარას b4 და მ:e6, თუ კი 21..., ლ:c5 22. ლf7,fe 23. ლe6+, მფb8 24. კ:e3, ლe5 25. ლd7, ეd8 26. ლa4, მc6 27 ეad1, კc7 28. კf4, ლe6 29. კ:c7, მფ:c7, 30. მf4, ლf7 31. მd5+ და თეთრებს უკეთესი თამაში აქვთ. თუ კი 20.., cd, მაშინ 21. c5, კ:c5 22. ეac1 და შავებს ახლო მომავალში კუ დაეკარგებათ). 20.., b7—b6 21. b2—b4! მc7—g6 22. b4:c5, b6:c5 23. d4:c5, კd6:c5 24. ლh5—d1 (ამ სვლით, როგორც პარტიის შემდეგი მსვლელობა გვიჩვენებს. თეთრები კარგავენ ტემპს, სჯობდა პირდაპირ ლe2) 24.., g5:f4 25. მh3:f4, მg6:f4, ლc7—c6 (ფიგურის მოგების მუქარით, e3—e4 შემწეობით) 27. ლd1—e2, ეg8—g4 28. კd2—e3, ეh8—g8 29. ეf1—f2, e6—e5? (შეცდომა, რასაც მოზდევს პაიკის წაგება. შავებს ალბად ეგონათ, რომ 30. fe, f4 31. კ:c5, ლ:c5 შემდეგ თეთრებს არ შეუძლიათ e4 პაიკის აყვანა, f2 ეტლის დაკარგვის გამო, ნამდვილად კი 32. ლ:e4, ლf2, შემდეგ შავები ჩქარა ღებულობენ შამათს. 33. ლc6+, მფd8 34. ეd1+ მფe7 35. ეd7+ და შემდეგი სვლით შამათი) 30. f4:e5, ლc6—b6 31. კe3:c5, ლb6:c5 32. ეb1—b1 დახლართული მდგომარეობაა, თეთრებს ლb2 შემდეგ გაუჩნდათ შამათის მუქარა. შავების შემდეგი სვლა ჩაწერილი იყო დასვენების წინ, რომელიც საუკეთესო არ აღმოჩნდა) 32.., ეg8—g6 (ამ სვლით შავები წინააღმდეგობას უწევენ ლb2 თამაშს, ბევრათ სჯობდა e4—e3 33. ლf3, ef 34. ლf5+, მფc7! 35. ლf7+, მფc8! ყამი სამუდამო ქიშით ლf5 და ლf7++, ეხლა კი პარტია სწრაფად იშლება შავების განადგურებით) 33. ეb1—b5!, ლc5—d4 34. ეb5—d5, ლd4—b6 35. c4—c5!, ლb6—b7 36. ლe2—d1!, ლb7—e7 37. ეf2—d2, ეg6—g7 38. ლd1—a4!, ეg4—g6 39. c5—c6! და შავები დანებდენ. რთული და საინტერესო პარტია.

პასუხი მკითხველებს

8 თებერვლის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ა. დობორჯგინიძესი: შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეa6—c6!

I. 1.., ეe8—e5 2. ეc6—d6× II. 1.., კh2—e5, მd1—e3× III. 1.., მf6—d7 2. ლc2—d3× IV. 1.., მf6—e4 2. ლc2—c4×.

ამოცანა გ. ტყეშელაშვილის: შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა 1. c4—c5.

I. 1.., e2—e1 ლ+ 2. ლe6—e1× II. 1..., კd6:f4 2. ლe6—b6× III. 1..., კd6:c5 2. ეf4—a4×.

ა. დობორჯგინიძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ომანიძემ, გუდიაშვილმა, ჩირინაშვილმა, ჩირაძემ, ბიბინეიშვილმა, ქაცარავამ, დ. შარაშიძემ, გაფრინდაშვილმა, დ. კვესელავამ, შ. ფუკომ, კ. მახარაძემ, მურვანიძემ (ოზურგეთი), აფხაზავამ (ფოთი), მამალაძემ (სოფ. ხევი) და ახვლედიანმა (ზესტაფონი)

გ. ტყეშელაშვილის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ომანიძემ, გუდიაშვილმა, ჩირინაშვილმა, ქაცარავამ, ჩირაძემ, დ. შარაშიძემ, გაფრინდაშვილმა, კვესელავამ, შ. ფუკომ, კ. მახარაძემ, აფხაზავამ (ფოთი), მამალაძემ (სოფ. ხევი), გ. შავგულიძემ (ქუთაისი) და ა. ჭიპაშვილმა (ხაშური).

შეცდომის გასწორება:

10 მარტის №-ში მოთავსებულ ცაბაძის ამოცანაში შეცდომით აღნიშნული იყო ორი თეთრი დედოფალი, d4 უნდა იყოს შავი დედოფალი.

რკინის გზებზე

ძლიერი ქარი აღმოსავლეთ უბანზე

15 მარტს ა.-კ. რკინის გზების აღმოსავლეთ უბანზე ამოვარდა ძლიერი ქარი. ქარი ხელს უშლის და აფერხებს მატარებლების მოძრაობას.

სადგ. ევლახში მიმავალი მატარებელი გაჩერდა გზაში და ის სადგურში ჩაიყვანეს ორ ნაწილად. ამის გამო ევლახში საათნახევრის განმავლობაში გაჩერებული იყვნენ დანარჩენი მატარებლები.

სადგ: ფოილოში მოსული მატარებელი ძლიერი ქარის გამო ველარ შესძლო წინ წასვლა და საჭირო გახდა ვაგონების ნაწილის მოხსნა.

სოგუთ-ბულახიდან გაგზავნილი მატარებელი გაჩერდა გზაში და სადგურში ჩაიყვანეს ორ ნაწილად, რამაც გამოიწვია მატარებლების გაჩერება ორი საათით სადგ. ბეიუკ-კიაზიკში. ასეთივე შემთხვევას ადგილი ქონდა სანგაჩალა-ყარადაღის შუა, სადაც მატარებლები სამ საათზე მეტს იდგნენ.

ქარმა გზის მუშაობა აჯიკაბულ-ბაქოს უბანზედაც შეაფერხა.

სანგაჩალა-ეიბათის უბანზე თავი მოიყარა დიდძალმა მატარებლებმა.

ქვის ლოდები

სადგ. კალაგერანში 15 მარტს—სადგურის მახლობლად მდებარე მთიდან რკინის გზაზე ჩამოვარდა ორი ქვის ლოდი, რომლებიც დაეცნენ ხაზზე მდგომ ღია ვაგონს და დაამსხვრია.

ბეწვეულის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, თებერვლის განმავლობაში მთელ ამიერ-კავკასიაში დამზადებული იქნა 205.000 მანეთის ბეწვეული. აქედან საქართველოში დამზადებულია 88.000 მანეთის, აზერბეიჯანში 90000 მანეთის და სომხეთში 27.000 მანეთის ბეწვეული.

კვერნის ბეწვეულის დამზადების წახალისების მიზნით, ამ ბეწვეულის დასამზადებელი ფასი გადიდებული იქნა ცალზე 30 მანეთამდე. დასამზადებელი ფასის გადიდების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა კვერნის ბეწვეულის დამზადება.

მიმდინარე წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დამზადებული უნდა იქნეს 170.000 ცალამდე კრავის ბეწვეული. ამ რაოდენობიდან საექსპორტოდ დამზადებული იქნება 70—80 ათასი ცალი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი და სტუდენტთა ალმასბიურო აცხადებს, რომ ა. წ. ორშაბათს 18 მარტს საღამოს 6 საათზე პარიზის კომუნის 58 წ. თავის აღსანიშნავათ მოწვეულია პარტიის, კომკავშირის, უპარტიო სტუდენტთა და მედპერსონალის გაერთიანებული სხდომა.

—.—

სახ. უნ-ტის პედ. ფაკულტეტის კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ა. წ. 19 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია კომუჯრედის დახურული კრება. უჯრედის წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნ-ტის კ. პ. (ბ) გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 10 საათზე დანიშნულია მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრეების მეცადინეობა. პარტიის და ა. ლ. კ. კ. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის ქვეგანყოფილება აუწყებს სვერდლოვის უნივერსიტეტის დაუსწრებელ მსმენელებს, რომ სამშაბათს, 19 მარტს, საღამოს 7 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის ქვეგანყოფილებაში გაიმართება სვერდლოვის უნივერსიტეტის დაუსწრებელ მსმენელებად ჩაწერილთა თათბირი.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ალ. ჟუკოვის (მე-5 სტამბა), კ. ს. დავიდოვის (ა.-კავკ. რკინის გზის სავაგონო პარკი), დოიჯაშვილის (საქ. კომპ. (ბ) ლენრაიკომი), ივანე გოცირიძის (თბილ. მუშათა თეატრი), რ. ოქიტაშვილის (მე-5 ლიტოგრაფია) მიხ. ბელიკოვის (ა.-კავკ. სახ. პოლიტსამმართველოს ჯარის მე-8 პოლკი). ს. ს. ოვანოვის (მშენებლთა კავშირი, „26" რაიონი), ავ. მ. ბიტანოვის (ქალაქის საავადმყოფოს უჯრედის მდივანი), ზ. მ. მარკოვინის (სახ. პოლიტსამმართველო), ხრისტოლიუბოვის (ა.-კ. კომ. უნ.), ა. ი. ტყემალაძის (ქალაქ. რაიონი).

თათბირზე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებიც სვერდლოვის უნივერსიტეტის დაუსწრებელ მსმენელად შარშანდელი წლიდან ითვლებიან და ახლაც მეცადინეობენ.

ამა წლის 19 მარტს, სამშაბათს, საღამოს 5 საათზე, ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 20), შესდგება ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომა.

კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა.

გაირჩევა შემდეგი ამხანაგების საქმეები: აბაზოვის (ავჭალა), ჰასანოვის, უოლშაძის, თაყაიშვილის, ბოლოტინის, ვასილ ვართანოვის, ქეჩულორია-კობახიძის, ქუთათელაძის, სტრონინანცის, დიკიძის (სართიჭალა), რევაზოვის (საგარეჯო), მახარაძის, ბაღდასარიანცის, გერასიმოვას, სადაკოვის.

სათემო ორგანიზაციებიდან მოსვლა სავალდებულო არ არის.

დღეს, შუადღის 12 საათზე საქ. კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის საორგანიზაციო განყოფილებაში მოხდება თათბირი. სავალდებულოა ამხანაგების: შოგირაძის (თბ. კომიტ.), კუდრიავცევის (თბ. კომიტ.). ბეჟილაძის („26 კომუნარის" რაიკომი). გუდავაძის (ლენრაიკომი), და გობეჩიას (ქალაქ. რაიკომი) დასწრება.

—.—

კვირას, 17 მარტს, დილის 11 საათზე ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საპროპაგანდო საგიტაციო განყოფილებაში ამხ. იონოვის კაბინეტში შესდგება თათბირი შემდეგ საკითხზე: მებრძოლ მატერიალისტების-დიალექტიკოსების საზოგადოების დაარსება. თათბირზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები, ბოლოტნიკოვი, მ. ტოროშელიძე, კ. მეგრელიძე, ა. ერქომაიშვილი; ა. მელიქი, არშავირ მელიქიანი, შ. დუდუჩავა; ა. ჭეიშვილი; ასლანიანი და იზბაილოვი.

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი ორშაბათს, დილის სრულ 11 საათზე იწვევს კომკავშირის აქტივის თათბირს ბიურო-კოლექტივის და ბიუროების წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა, აქტივის დანარჩენ წევრთა სასურველია.

სამშაბათს, 19 მარტს, საღამოს ექვს საათზე შესდგება ლენრაიონის განათლების მუშაკთა უჯრედის დახურული კრება. (რკ. გზ. მე-8 შრ. სკოლა, პლეხანოვის პროსპ. 135). დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

თავზარდაცემულნი მშობლები: ივანე და თებრო, თამარი გოგებაშვილი, ძმა ნიკოლოზი, რძალი ნინო—შვილებით ნატო და რევაზი, და ლუბა—სესიაშვილები მწუხარებით იუწყებიან სახ. უნივერსიტ. აგრ. ფაკულტ. კურს დამთავრებული სტუდენტ

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (ნიკოლაძის ქ. № 17), 1 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 864

გულდაწყვეტილნი და ანა ივანეს ასული, სიძე იოსები, შვილები: შაქრო და ლიზიკო და დედა ლიზა თანდილაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი, სახ. უნივერსიტეტის აგრ. ფაკ. კურსდამთავრებული

ალექსანდრე (კოკუნა) ივანეს-ძე სესიაშვილი

დაკრძალვა 17 მარტს, 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე (ბინა—ნიკოლაძის ქუჩა № 17). 872

ნინო ივანეს ასული და იოსებ ილიას-ძე ჩიტოშვილები, შვილებით: შალვა, ილია, დავითი და ზურაბი განუსაზღვრელის მწუხარებით იუწყებიან

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

გარდაცვალებას. 864

გულდაწყვეტილნი და ქსენია და სიძე ნიკოლოზი მჭედლიშვილები თავისი პატარა ვანიათი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილი

გამოსვენება კვირას, 17 მარტს, 1-ლ საათზე (ბინა—ნიკოლაძის ქ. № 17). 872

დამწუხრებულნი ბიძა მიხეილი მეუღლით შვილებით და რძალით, ბიძის ცოლი მარიამი შვილებით და რძლით და მამიდა ვარო სესიაშვილები იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

უდროოდ დაკარგვას. 866

სოსო კორკოტაშვილი, სანდრო ჭუჭულაშვილი, იოსებ აბესაძე, ბაქრია ქუმსიშვილი, არჩილი ჩალათაშვილი, ალექსანდრე და გიგო დარაშვილები მწუხარებით იუწყებიან მეგობრის აგრონომ

ალექსანდრე სესიაშვილის

დაკარგვას. 868

მამიდა ელენე ტურიაშვილისა, შვილებით: ნადო, მარო, ნიკოლოზ და გიორგი და სიძეები: გრიგოლი კაიშაური და ნიკოლოზ დავითაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ალექსანდრე ივანეს-ძე სესიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 876

ეთერ მენთეშაშვილი ტ მერი გოგოლაშვილი მწუხარებით იუწყებიან ძვირფას მეგობრის

ალექსანდრე სესიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 881

უახლოესი მეგობრები: ძმები შალიკო და არჩილ ჯალიაშვილები და თამარა აღსაბაძე-ჯალიაშვილისა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას

ალექსანდრე სესიაშვილის

გარდაცვალებას. 869

დამწუხრებული მეგობრები: ვერა გობეჩია, ლიდა ზვიადაძე, ვახტანგ კობახიძე, კონსტანტინე ნებიერიძე, ალიოშა მარჯანიშვილი, გრიშა კოსტავა, ტიტო აბდუშელიშვილი, პეტრე წულუკიძე, ივანე ჯაფარიძე და ალექსანდრე სესიაშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ახალგაზრდა აგრონომის

ალექსანდრე (ალე) ივანეს-ძე სესიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 863

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული სტუდენტები; კვირკველია, დგებუაძე, ბერძენიშვილი, გოგვაძე, მეავანაძე, მიგინეიშვილი, ნარეშელაშვილი, გოგოლაშვილი, მგალობლიშვილი, ფარცხალაძე, ნასყიდაშვილი, უსეინაშვილი, მირზაშვილი, გერასიმოვი და თოთიბაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახალგაზრდა აგრანომის

ალექსანდრე სესიაშვილის

გარდაცვალებას. 865

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოლღა სპირიდონის ასული, შვილი ვახტანგი, ძმები: ვასილი მეუღლით მაროთი, ილარიონი მეუღლით, რძალი ნატალია პაპავასი მეუღლე ვარლამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გიორგი ივანეს-ძე პაატაშვილი

გამოსვენება დღეს, 17 მარტს, 1 საათზე, საკუთარ ბინიდან, ეჩმიაძინის ქუჩა № 20, დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე, რკინის გზის გადაღმა. 862

თავზარდაცემულნი: დედა ანეტა და მამა ირაკლი გეგეჭკორი შვილი ეთერით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი

პატარა აბესალომის (ხუტუშას)

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას, 17 მარტს, ს. მცხეთაში. 874

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარო, მამა ბაგრატი, ბებია მაშო და ქეთევანი; ბაბუა მარკოზა დემეტრაშვილი; ბიძები: შალიკო, რაჟიკო; მამიდეები: ვალენტინა, სონია და თამარა; სიძე ალექსი ტაბატაძე; ბიცოლა სარა; ბიძაშვილი ლიუბა დიდის მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

კუკური ბაკურაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას—17 მარტს, 3 საათზე, საბჭოთა ქ. № 47. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2—2 842

რუსთაველის თეატრი
2—1 ნ. 2404

კვირას, 17 მარტს ხოზიკასი
„ხოჭოების დოლი" კომ. 3 მოქ.
დადგმა ალ. ახმეტელის და კ. პატარიძის. მხატვარი ირ. გამრეკელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში.

„მეჟრაბპომ-ფილმ"-ის სურათი
იგორ ილინსკი ვლადიმერ ფოგელი
ადა ვოიციკ გალინა კრავჩენკო
1928—29 წლის სეზონის საუკეთესო კომედიაში
დედოფალა მილიონებით
რეჟისორი ს. კომაროვი
ორშაბათს—18 მარტს—პრემიერა
კინო-თეატრებში „არფასტო", „მინიონი" და „პალასი"

ცირკი კოლოსი
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევისა
ტელეფ. № 8—64
3—2 ხ. 2396

დღეს
ახალი პროგრამის სანახაობანი
იაპონელი მსახიობი მაცაურა, იაპონელი მსახ. ქალი ისაიმა, აგრეთვე მთელი დასი და გასტროლიორები.
კვირას, 17 მარტს,
დღის დიდი სანახაობანი ახალი პროგრამით,
მონაწილეობს მთელი დასი და ყველა ახლად ჩამოსული გასტროლიორები. დასაწყისი დღის 2 საათზე. ბავშვები 8 წლამდე დიდებთან—უბილეთოდ ან 2 ბავშვზე ერთი ბილეთი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

იმ პირების და ოჯახების საყურადღებოთ, რომლებსაც პერსონალური პენსიები ეძლევათ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან.

პურის მისაღები წიგნაკების შესადგენად საჭიროა პენსიონერებმა წარმოადგინონ კომისარიატში (ძნელაძის ქუჩა № 30 ყოფილი საპიორნის) ამ წლის 20 მარტს სახლის მმართველობის, საბინაო კოოპერატივის, ანუ უბნის მილიციის მიერ შემოწმებული ცნობები მათ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების შესახებ.

880 საქარ. სოც. უზრ. კომისარიატი.

კვირას 31 მარტს, 1929 წ., დილის 10 საათზე

საქართველოს ბინათ-კავშირის შენობაში (შუა ბაზარი) შესდგება საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხ.-ბა

„ვაკეს" წევრთა წლიური საზოგადო კრება

გამგეობა სთხოვს ამხ-ბა „ვაკეს" წევრთ დაესწრონ ხსენებულ კრებას

871 გამგეობა

ჭრა-კერვის გაკვეთილები
ქართულ და რუსულ ენებზე
ბოლგარსკაია
კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ.
24—8 49

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—9

ღრუბლების თავშესაფარი
რეჟისორი შ. ბერიშვილი
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
სახკინმრეწვის კინოები
განთიადი
აპოლო
არფასტო
სოლეი
პალასი
მინიონი
დარბაზი
პროლეტარი
18 მარტიდან აპოლო-სოლეი-განთიადი
ღრუბლების თავშესაფარი
არფასტო დედოფალა მილიონებით
პატი არისტოკრატი
18 მარტიდან დედოფალა მილიონებით
6 ქალიშვილი ეძებს თავშესაფარს
18 მარტიდან დედოფალა მილიონებით
ნამდვილი ჯენტლმენი
18 მარტიდან მილორდ მაკ-გრიუ
ტარზანი 5 და 6 სერია
18 მარტიდან წარჩინებული მოგზაურები
დღეს, განთიადში და სოლეიში დღის სეანსები

დიდი წარმატების გამო
ორშაბათიდან 18 მარტიდან
მე-2 კვირას გრძელდება დადგმა სურათის
ღრუბლების თავშესაფარი
რეჟისორი შ. ბერიშვილი
ოპერატორი ა. პოლიკევიჩი
კინო-თეატრებში
აპოლო-სოლეი-განთიადი
ნ. 2410

იყიდება
კოსტა ხვიჩიას ძე კილასონიას სეული
სახლი
ქ. ზუგდიდში, შაუმიანის ქ. № 14 ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში თბილისი, რუსთაველის პროს. № 34.
0—2 გაზ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობა

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ნ. ი. იზორია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 23 მარტს დღის 1 საათზე რკინის გზის ლიანდაგის გაღმა ალიევის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ელიზაბედი იოსების ასული ხაჩატუროვას უძრავ ქონებას: ერთსართულიან სახლის ნახევარ უფლებას, შემდგარი ორი საცხოვრებელი ოთახი და ერთ სამზარეულოსაგან შეფასებულს 300 მან., შუშანიკა ავაკოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სახ. სანოტ. კანტ. წარ 26 სექტემბ. 1928 წ. თარიღით, № 159 გაცემულ წარწერისა ს. ს. ს. კოდ. 311—312 მუხ. დაცვით. 860

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად

საქართველოს კომუნალური ბანკი

ამით აცხადებს

ბანკის აქციონერთა საყურადღებოდ

რომ მათ ხელში მყოფი საქართველოს კომუნალური ბანკის (ყოფ. თბილისის ქალაქის ბანკის) უსახელო აქციები არა უგვიანეს 1926 წლ. 31 მარტისა წარმოდგენილ უნდა იქნეს ბანკის გამგეობაში ან განყოფილებებში სახელობით აქციებზედ გადაცვლის მიზნით

2—1 ნ. 2368

ბავშვების მეგობართა საზოგადოების

„მასიური თამაშის"

ბილეთების გათამაშება მოხდება 17, 18 და 19 მარტს

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის ბინაზე (რუსთაველის თეატრის შენობა, შესავალი ეზოდან) ან, თუ კარგი ამინდი იქნება, ვანო სარაჯიშვილის სახელობის ბაღში (სახ. ოპერის გვერდით) ყოველ დღე დილის 8 საათიდან შუ ღამის 12 საათამდე

867 ბავშვების მეგობართა საზოგადოება

ამიერ-კავ. კავშირ-გაბმულობის სამმართველო
იუწყება, რომ 18 მარტიდან ის
ხსნის საავტომობილო მიმოსვლას
თბილისსა და ფასანაურს შორის
ფოსტის გადასაზიდათ და მგზავრების გადასაყვანად ავტობუსებით.
ბილეთის შეძენა შეიძლება თბილისის საფოსტო კანტორაში პლეხანოვის პროსპ. № 44 ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.
ნ. 2409

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—6

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.)
მათემატიკასა და რუსულ ენაში
უმაღლეს სასწავ., 10 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ, სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს.
პლეხანოვის ქ. კუთხე 25 (შესავალი ზერინშევის ქუჩ. № 5)
ნახვა 9—12 ს. საღ. 2—6 საათ.
831 3—1

ვეძებ
ბინას
სადილით
კასპის შესახვევი (წინად კვირაცხოვლის) № 9 არსენალის ქუჩიდან დარეკეთ შემოსავალ კარებში. 858

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
დავით მანუჩარის-ძე
თოფურია
განაახლებს ავადმყოფების მიღებას ქალ. ბათომში ჯორჯიაშვილის ქ. № 1, ა. წ. 20 მარტიდან.
მიღება დილის 9—11 საღამოს 5—8
ქალებისათვის ტ ბავშვებისათვის განცალკევებით.
835 13—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-8

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ტ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევს 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 25—

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" ყოფ. „ნოის" პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს. 8 საათ

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და იოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ბოკჭაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის ტ ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914", ტრიპერის ტ მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14
25—3 806

კალინინის ქუჩა № 33
(ყოფ. ნიკოლოზის)
ექ. ი. დ. თოფურიძე
კანის, ვენერიული და სიფილისი (გონორეის გართულებები)
მამაკაცები 8—10 დილით—6—8 საღ.
ქალები 10—11 დილით

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10734 ა. ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 8

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 8845 გრიშა მხეიძის სახელზე, ჩ. გ. 85

დავკარგე: პირადობის მოწმობა, გაცემული ამ. კავ. რკინის გზის დეპოდან, № 157, მარგარიტა ონისიმეს ასული კეკელის სახელზე, ჩ. გ. 87

დავკარგე კომკავშირის წიგნაკი № 10487 კლავდია სტეფანოვას სახელზე, ჩ. გ. 877

დავკარგე: მეტრიკული, ელისაბედ ბესარიონის ასული ჭილაძის სახელზე, ჩ. გ. 875

დავკარგე: მეხანძრეთა ქ. № 2 მდებარე სახლის საბინაო დავთარი ვარლამ დავითის ძე ძიძიგურის სახელზე, 86

დავკარგე: ა. კ. საგზაო სატრანსპ. სამმხ. საზ-ბის საწევრო წიგნაკი 20855, ივანე ალექსის ძე მუჯირიძეს სახელზე, ჩ. გ. 87

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი ზაქარია ჩარხიძეს სახელზე ჩ. გ. 87

ტირაჟი—41.296

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.